# საერთო გაზეთი

№36 (675)
ოთხშაბათი
2 ნოემბერი,
2022წ.
ფასი 1.50 ლ.

ვალმოხდილი და ბედნიერია ის, ვის სახელზეც ელვარე ბრონეული დარჩა, დარჩა წყარო, დარჩა გზა, დარჩა ეკლესია, დარჩა სამყარო მომავლიდან მომავალი მგზავრებისთვის.

ქიშპით, ანგარებით, მტრობითა და სიძულვილით გაჟღენთილ ამ დროში ეს ადამიანი არა მარტო თავისი გულუხვი ქველმოქმედებით მაოცებს, არამედ მაოცებს თავისი თავმდაბლობით, თავისი ცხოვრების წესით, სამშობლოსადმი ისეთი უსიტყვო სიყვარულით, უსიტყვო ლოცვას რომ ჰგავს...

ვახტანგ ხარჩილავა, 2011 წელი



## იმპერატიული საკანონმდებლო ნორმის შესაბამისად, ბიძინა ივანიშვილი ოლიგარქის სტატუსს ვერ აკმაყოფილებს



## იგორ კვესელავა: რუსეთის წინააღმდეგ მედიასივრცეში მიმდინარე საინფორმაციო ომს საქართველოში უკრაინელები აფინანსებენ!

## დიმიტრი ლორთქიფანიძე: ალექსი არესტოვიჩის გაკეთებული განცხადება საქართველოს მიმართ პირდაპირი ტერორისტული მუქარაა





## ვაჟა ბერიძე: თუ რუსეთი ტაქტიკურ ბირთვულ იარაღს გამოიყენებს, მიგრაციის პროცესი კატასტროფული შედეგების მომტანი იქნება







## ქართული ჭადრაკის აღზევების 60 წელიწადი

1962 წლის 17 ოქტომბერს, მოსკოვის ტექნიკის სახლში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა, მოსკოველმა ელიზავეტა ბიკოვამ მე-11 გადადებულ პარტიაში თავი დამარცხებულად ცნო და ანგარიში გახდა 9:2 პრეტენდენტის, ნონა გაფრინდაშვილის სასარგებლოდ. პრესამ და რადიო-ტელევიზიამ ქვეყნიერებას ახალი მსოფლიო ჩემპიონის დაბადება აუწყეს.



კაცი, სახელად კარგი, აღმოჩნდა დიდი ...

## დასაბოლებელი კიდევ ბევრია

## ქართულ მედიაში „დასავლური მზე“ ანათებს

უამრავი ადამიანი მეკითხება და ჩემმა სააxლობლომაც იცის ეს მოულოდნელი ამბავი. პირადად კახა კალაძემ საჩუქრად გადმოგვცა მე და ჩემ ოჯახს მშენებარე ბინა თბილისში, რომელიც მალე სრულიად გარემონტებული ჩაგვბარდება.

წლებია მე და ჩემი მეუღლე ვცხოვრობთ ქირით თბილისში ისეთ პირობებში, სადაც ბავშვების ჩამოყვანასაც ვერ ვახერხებდით. იმ საბედისწერო დღის შემდეგ უამრავმა ჟურნალისტმა ჩამწერა, მკითხეს სად ვცხოვრობდი და რას ვსაქმიანობდი. არ დამიმალავს და გულწრფელად ვუპასუხე ყველას.

მართალი გითხრათ არ ველოდი ასეთ საჩუქარს. მინდა, სწორად გაიგოს ყველამ, არაფერი განსაკუთრებული არ გამიკეთებია.

ეს საჩუქარი უდიდესი შვებაა ჩემი ოჯახისთვის. კახა კალაძემ მთხოვა არ გამეხმაურებია ეს ამბავი, მაგრამ ვერ შევძლებ ამ თხოვნის შესრულებას. არასდროს არაფერი დამიმალავს და ამ სიხარულსაც ვერ დავმალავ.

სიკეთით გადაგვეხადოს მე თუ არა ჩემს შვილებს მაინც.

დევი მეზურნიშვილი

„საერთო გაზეთი“ – გაზეთი მოაზროვნე მკითხველისთვის

# კაცი, სახელად კარგი, აღმოჩნდა დიდი ...

## „ხაროში, პლახოი, ზლოი...“



ვისზე ვსაუბრობ — თქვენით უნდა მიხვდეთ...

და იყო კაცი, სახელად კარგი. საიდან ჩამოვარდა ქართულ რეალობაში, მხოლოდ მისმა ჩამომგდებმა იცის, მაგრამ უცბადვე რომ გახდა ქალთა გულთამპყრობელი, ფაქტად დაიდო. მეც ქალი ვარ, მაგრამ რატომღაც არ მომწონდა ეს ახალდროების პრინცი, ხელოვნურზე ხელოვნური მეჩვენებოდა. ქართული საზოგადოების მავნე ჩვევაა, თუ სხვაგანაც ასე ხდება საზოგადოებრივი აზრის შექმნა, ნამდვილად არ ვიცი, მაგრამ ხმის ამოღებისთანავე რომ მწვდებოდნენ ხოლმე ყანყრატოში, აგერ, ახლახან იყო და კარგად მახსოვს: „შენ რა, განაცდი?“ უცნაური ერი ვართ, საკუთარი აზრის გამოთქმა არ შეგიძლია ადამიანს, მაშინვე იარლიყი გაქვს მიკრული, ან „ის“ ხარ ან „ეს“. გვაცადეთ, ბატონო! გვაცადეთ!!!

ჰოდა, იყო ეს კარგი კაცი კარგი, მხოლოდ მე და „ნაცებს“ არ მოგვწონდა, თორემ ლამის სრულიად საქართველო აბოდებდა მის თვალის ჩაპაჭუნებაზე. რატომაც არა? გამხდარი, ზრდილობიანი, განათლებული... თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული, მიხეილ ლომონოსოვის სახელობის მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ბიზნესის მართვის მაგისტრის ხარისხით... — მაგრამ მე მაინც არ მომწონდა. ჩემი მოწონება-არმოწონება არაფერს ნიშნავდა, დადიოდა ეს კარგი კაცი და ხან ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს მდივანი იყო, ხან შინაგან საქმეთა მინისტრი, ხან ვიცე-პრემიერი, ხან საქართველოს პრემიერ-მინისტრი — მოკლედ, ყველაფერი ის იყო თავისი ბოდიშ-ბოდიშებით. იმდენ ბოდიშს იხდიდა და ისეთ შემთხვევებში, უფრო და უფრო არ მომწონდა. რა ბოდიშები აუტყდა ამ კაცს, ვის უნდა მოუხადოს ბოდიში და რა შემთხვევაში, ნეტავ, რატომ არ იცის-მეთქი არ მინდოდა, მთლად თეთრი ყვავი გამოვჩენილიყავი და ენას კბილს ვაჭერდი, რაღაც მეჩვენება, თორემ რანაირად შეიძლება მთლად ნაცების ჭკუაზე ვიდგე-მეთქი.

პოლიციას რომ თავზე პირველად დაამხეს დედა და ეს „კარგი კაცი“ მაინც იქით იხდიდა ბოდიშს, ძალიან გავბრაზდი, მაგრამ ვიფიქრე, ეტყობა, მე ჩამოვრჩი ცხოვრებას, როგორც „საბჭოთა გადმონაშთი“, სხვანაირად ვაზროვნებ, არადემოკრატიულად და „ღრუზინულად“-მეთქი“. მეორედ რომ დაამხეს პოლიციას დედა, კვლავ ძალიან გავბრაზდი, მაგრამ ვიფიქრე, რით ვერ დაიხსომე, რომ არ უნდა გაბრაზდე, ეს ძალიან დემოკრატიის მაჩვენებელია, დიახაც, ასე უნდა მოიქცეს ყველა ნარკომანი და სექსგზაარეული, პოლიციის თავზეც გავიარეთო — რა ვიცი, გენაცვალეთ, შინაგან საქმეთა მინისტრს უხაროდა, მის ხელქვეითებს რომ უტყაპუნებდნენ და მე, ერთ რიგით მოქალაქეს, რა უფლება მქონდა, პოლიცია შემცოდებოდა, დამეცვა და მხარი დამეჭირა?

პირდაპირ ეთერში ვუყურებდით, როგორ შევიდა სპეცდანიშნულების რაზმი ღამის კლუბ „ბასიანსა“ და კაფე „გალერიში“, რასაც ლამის ქვეყნის გადატრიალების კიდევ ერთი საფუძველი დაედო, მაგრამ ბოდიშ-ბოდიშით ესეც მიჩუმათდა — ვერც თავი გაიგო ვინმემ და ვერც ბოლო, ჭორადღა გავარდა, ბერა ივანიშვილი მფარველობს ნარკობიზნესს, ხოლო გახარია არყის დისტრიბუტორი იყოო. ცოტა აცდენილი ამბავია, მაგრამ ასე იყო. ეგეც გაურკვეველი დარჩა, საიდან გამოფრთხიალდა ასე უცბად ეს ჭორი და გავრცელდა, არც არავინ ჩასძიებია... რა „თეთრი ხმაური“, რა ლურჯი ოცნებები, ყველაფერი მიიფარცხა... სადღაც მაინც იქნება ის ბოდიში და გახარიას ვარამი, ლგბტ ნარკომანებს რომ უფრო ებოდიშებოდა, ვიდრე საკუთარი უწყების მუნდირს...

ე.წ. „გავრილოვის ღამეც“ მის წაწვრილებულ კისერზეა, კიდევ ერთხელ რომ აყანყალა საქართველო. შიგნით რა მოხდა, სხვა საკითხია, გარეთ რაც ხდებოდა ესაა მისი — რაღაცას კი იწყებდა, მაგრამ ვეღარ ამთავრებდა, ეგეთი დაუმთავრებელი ტიპია... აქციის დაშლა დაიწყო თავის გაგებაში და კინაღამ საქართველო დააქცია, დააპირისპირა პოლიცია და მომიტინგეები. ისინი რას აჟუილებდნენ, ცალკე თემაა, მაგრამ კინაღამ რომ ახალი სტილის სისხლისღვრა მივიღეთ, კი ვნახეთ. იმ დროს რატომ უნდა გადამდგარიყო თანამდებობიდან, არ ვიცი, მაგრამ უდროო დროს რომ გადადგა, კაცმა ვერ ახსნა, რა ეტაკა — რაღაც კი ნამდვილად ეტაკა.

პოლიცია იმთავითვე ნაკლები სიმპათიითა და სიყვარულით სარგებლობს ყველა ქვეყანასა და საზოგადოებში და ეს ბუნებრივია, ყველა ადამიანში ზის პოტენციური დამნაშავე და მაკონტროლებელი უწყება არ უყვარს, მაგრამ როგორც აღმოჩნდა, არც მთლად ასე ყოფილა საქმე, არ მოეწონა სწორედ იმ ხალხს პოლიციის აბუჩად აგდება და გამოხატა კიდეც. კარგად მახსოვს, რა ამბავი იყო ატეხილი სოციალურ ქსელ ფეისბუქში, ქალიან-კაციანად პოლიციის დამცველად გამოიდო ყველამ თავი. გასაოცარი ამბავი ტრიალებდა მაშინდელ ყველანაირ სივრცეში, ხალხი ვანო მერაბიშვილს ნატრობდა — ვერ აიტანა პოლიციის მუნდირის ასეთი შეურაცხყოფა, რა თმენის ვალდებულება უნდა „სპეცრაზმელს“, რატომ არ თხლიშა შეურაცხმყოფელს და არ გაშოტა ასფალტზეო. შინაგან საქმეთა მინისტრი კი დადიოდა ყელმოღერებული და უშურველად არიგებდა ბოდიშებს. ყველა-ყველა და, ან „ბასიანის“ სტაჟიანი ნარკომანებისთვის რატომ უნდა მოეხადა ბოდიში, ან სექსუალურად გზააბნეულებისთვის, გამოცანად დარჩა. „ბოდიშა“ კი დაარქვეს, მაგრამ გაიგონა? შეწყვიტა ბოდიშები? სადაც საბოდიშო იყო, იქ არ მოუხდია და სადაც მკაცრი ხელი იყო საჭირო, იქ ბოდიშად იღვრებოდა. ალბათ, მიხვდით უკვე, ვისზედ ვმეტყველებ — კი, გახარია-თვალთხარია რომ დაარქვეს. არადა, კაცი „ბოდიშა“ იყო, რისი თვალის გამომთხრელი, აფხარკალებული ქათამი რომ დაინახოს, გული წაუვა... ესეც დადებითად ეწერებოდა იმხელა ძალოვანი უწყების მინისტრს, ზედემოკრატიულის მანტია მოარგეს, დედამიწის არცერთ კუთხეში რომ არ გაუგონია არავის, გაფარჩაკებული პოლიცია. მათაც რა ექნათ, მინისტრის სტილი იყო ასეთი, ვისაც არ ენაღვლებოდა, ყველას უნდა ეპარტყუნა პოლიციისთვის და ისინი მყარი მდუმარებით უნდა დახვედროდნენ — და დააგდო პოლიციის პრესტიჟი პლინტუსსდაბლა. ერთი ქალისებრი ყმაწვილი მიდგას თვალწინ, ლამის თითებს რომ თხრიდა თვალებში პოლიციელს და ის ბრგე ვაჟკაცი უძლური იყო, აბსოლუტურად განიარაღებული, ვერ ახტებოდა მინისტრის მითითებას. კაცმა რომ თქვას, რა შინაგან საქმეთა სამინისტრო კაცი ის იყო, იეკონომიკოს და იბიზნესოს, იყიდე-გაყიდე და ქარვასლაში გაუშვი, მერე რა, რომ რაღაც უნივერსიტეტები დაუმთავრებია, მაგდენი დიპლომი ჩემს მეზობელ ტაქსისტსაც აქვს და საჭეს ატრიალებს, მინისტობაზე არავინ ახევს კალთას.

კარგიც ახსოვს ხალხს, ზამთრის თვეებში რომ შეეხიდა მოსახლეობას და კომუნალურ გადასახადებზე შვება მისცა, დღემდე კეთილ შლეიფად მოჰყვება, მაგრამ ალაგ-ალაგ ისეთ დაუკრეფავში გადავიდა, გია ვოლსკის რომ ნირი წაუხდება და უროყინად მოიხსენიებს მის სიტყვებს: „ძალიან ამბავია“...

ერთი მომენტიცაა — როგორც კი ვინმე თავს გამოიდებს რაღაც ადამიანთა უფლებების დაცვაზე, ოჯახურ დანაშაულზე, ქალთა მიმართ ძალადობაზე, დისკრიმინაციული ნიშნით ჩადენილ დანაშაულზე და ა.შ. მისთანებზე, მაშინვე ემჩნევა, რომ საიდანღაც მძლავრმა სიომ შემოუბერა. რა საინტერესოა, ეს მონაბერი სიო რატომ აშტერებს ადამიანებს? თქვენი არ ვიცი, მაგრამ ისედაც გული მიღონდებოდა „ბოდიშაზე“ და ესენიც რომ დაამატა, მთლად კარგად არ მენიშნა — ფაქტი სახეზეა!

ერთი ფრაზა დაამახსოვრდა ხალხს „მე თქვენ დაგამთავრებთო“, „ნაცებს“ რომ შეუძახა. იქით იმათ შეუღონდათ გული, დაიჯერეს და აქეთ გულუბრყვილო შეყვარებულებმა შეისხეს ფრთები — რადგან თქვა, დაამთავრებსო. რისი დამამთავრებელი იყო, კი ვნახეთ, როდის იყო, „ბოდიშა ტიპები“ რამის დამამთავრებლები იყვნენ, გარდა საკუთარი თავისა — იმდენი იბოდიშა, საკუთარი თავი დაამთავრა ყველანაირად და ახლა თავმოჭრილი ქათმის როლშია, სიკვდილი რომ არტყია ბეჭდად და მაინც ხვანცალებს, არ ნებდება ბედისწერას. შვილო, გახჩო, ქალთა გულთამპყრობელო და ზეძალიან იმნაირო, აბა, აქეთ მოიხედე!

საქართველოს მოქალაქეებს სკლეროზი არ აქვთ, გადასარევი მეხსიერებით დაიკვეხნიან, ამიტომ, ნუ ხვინტრიცებ უშნოდ და რაღაცნაირად სამგლე გოჭივით. ყველაფერი ახსოვთ, ყველაფერი იციან, უბრალოდ, ქართული სენის სახეობათაგანი სჭირთ, ყურმიდებულები არიან, თუმცა, გაბრაზებაც იციან.

რამდენჯერ გაგვატარა ამ კარგმა კაცმა სამართებლის პირზე, მაგრამ მაშინ ვერ ვაწმინდავებდით, რა ხდებოდა ჩვენს თავზე, ყველაფერი მხოლოდ რყევაში გადაგვყავდა, არადა, ფაქტობრივად, ვზანზარებდით. ჩემი კოლეგა ცხოვრობს გაბრიელ სალოსის (5 დეკემბრის ქუჩა) ქუჩაზე და სოციალურ ქსელშიღა კანკალებდა გოგო, გარეთ ვერ გამოვდივართ, აგვიკრძალეს და რა მოხდება, არ ვიცი, ბავშვებს რა ვუყოო. არაპროფესიონალი რომ ძალოვანი მინისტრის პოსტს იკავებს, ეს ერთი დიდი შარია და თავსაც რომ გამოიდებს, მეორე უბედურებაა. რატომ ვართ მუდმივად ასეთი დილემის წინაშე? გადავრჩით, ერთი სპეცრაზმელისა და ტერორისტი ჩატაევის სისხლით დამთავრდა ყველაფერი, მაგრამ აბა, გაიხსენეთ, რა რეალური საფრთხის წინაშე დაგვაყენა ამ კარგმა კაცმა? — ყველაფრის უკან რომ უცბად რუსეთი ამოიწვერება, ასეთი უცნაურობა შემთხვევით ხდება ყოველთვის?

ის უცნაური წერილი ხომ დავიწყებას მიეცა, მაგრამ იმ დროს საამბოდ იქცა. მაინც ვერ გავიგეთ, რა მოხდა, იქით მამუკა ხაზარაძე დამუნჯდა, აქეთ გახარიამ შეწყვიტა თითების პარჭყვა, მაგრამ ის კაცი ამ კაცს აბრალებდა, ისეთი მუქარის წერილი მომწერა, თვალს რული აღარ მეკიდებაო. უცნაურია ცხოვრება, ბოლოს ისე ჩაეხუტნენ ერთმანეთს, ერთი-ერთზე დაეტყეპნენ.

მოკლედ რომ ვთქვათ, ეს კარგი კაცი ნელ-ნელა გაგვიფუჭდა თვალსა და ხელსშუა, ახლა კორუფცია და ოლიგარქია აუტყდა. თქვენ ჩვენის პატივცემულო, ახლა საიდან გამოტყვრა ერთ დღეში ეს ორი ჯანდაბა, თქვენ რომ ბრძანდებოდით ხელისუფლების სადავეებთან, მაშინ მხოლოდ სისპეტაკე ღვიოდა?

უმადურ კაცზე საშინელი არაფერია... ასე იცის თანამდებობაზე შემთხვევით მოხვედრილმა ხალხმა, დაიწყებენ აჭიას და ამთავრებენ ბაჭიათი. ხან ჭორაობა არ უნდა, ხან მადა ეხსნება და ჩვენც ვუსმენთ, ვის როდის გაახსენდება დაკარგული სულიკო. ბიძინა ივანიშვილი კარის ყურში ჰყავდა, მაშინ ვერ ატყობდა ოლიგარქობას და ახლა შეეხსნა წყვილი თასმა ერთად? პირდაპირ ეთერში დამპატიჟეთ, იქითა მხრიდან ბიძინა ივანიშვილს დაუძახეთ თუ გინდათ და ვილაპარაკებო — გაუშვით, ილაპარაკოს, ნისკარტი ხომ არ მოსცვდება. როდის გახდა ივანიშვილი ოლიგარქი, მართლაც საინტერესოა, კაცი, რომელიც საქართველოს თავს ევლება — ერთი თეთრი თუ გაულია ვინმეს საქართველოსთვის, თვით იმავე გახარიას თამადობით?

ყველაზე შთამბეჭდავი თბილისის მერობის სურვილი იყო. განა რამეა, საქართველოს ყველა მოქალაქეს აქვს ლეგიტიმური უფლება, უნდოდეს მისი დედაქალაქის მერობა, მაგრამ როცა იყავი კარგი, გახდი ცუდი და ბოლოს ავი, ცოტა უნდა შეისვენო, არ მიიღებს ქალაქი საეჭვო რეპუტაციის პირებს, თბილისი სხვა ორგანიზმია, ის ცოცხალია, სუნთქავს და საკუთარი პრეტენზიები აქვს. „ბოდიშას“ ვერ მოირგებს თბილისი, მას თავი უნდა — ქალაქის მერი, უთავო კაცი ვერ გამოდგება... ამ კაცმა ისეთ დროს იშვირა ფეხი, მაღლა ღმერთი ვერ იგებდა, რა ეტაკა და დაბლა ხალხი, ერთ ცისმარე დღეს გაგვიგიჟდა უმიზეზოდ. ახლა გამომდგარა და არღნის ჩიტივით რაღაცას რაკუნობს. ნეტავ, თვითონ თუ მაინც იცის, რა უნდა? ზოგადად ისე ჩანს, ტივტივი უნდა, მაგრამ გააჩნია, რა ხარ და რატომ ტივტივებ... იმდენად უცბად გაცვდა ტიპი, ერთ დღეში ჩამოვიდა ჭორიკანა ტელეეთერებიდან, მისი სავარაუდო კონსპირაციული შეხვედრა მიხეილ სააკაშვილთან. „დაასტუკეს“ თუ რა მოუვიდა ამ ორ „რუსულჩიკს“, იმდენად უინტერესო გახდა, ყველამ მიივიწყა, არადა, თავში დიდი ამბავი ატყდა. ან ერთივის დაჰკარგვია, ან მეორე, უბრალოდ, ორივე ბედკრული საქართველოს შვილები არიან. ან ერთი სად გადადგა და რატომ, ან მეორე სად მიენცხრა და რატომ, მცოდნე არავინაა, ვარაუდები — ბლომად.

**მაკა ჯაყელი**



# რუსეთის წინააღმდეგ მედიასივრცეში მიმდინარე საინფორმაციო ომს საქართველოში უკრაინელები აფინანსებენ!

## ჭკუით, ქართველებო - არც რუსეთს, არც უკრაინას და არც აშშ-ს საქართველოს განადგურების უფლება არ უნდა მივცეთ!



*გვესაუბრება ანალიტიკოსი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ИГОР КВЕСЕЛАВА:*

**— ბატონო იგორ, საქართველო უკრაინის მეგობარ ქვეყნებში არ მოხვდა. რას გვერჩის უკრაინის ხელმძღვანელობა?**

— საინტერესო კითხვაა. ისტორიკოსები პოლიტიკის სიღრმეებში უფრო მეტად ჩახედულნი ვართ, ვიდრე ანალიტიკოსები ან პოლიტიკოსები. გულახდილად გეტყვით: უკრაინა-საქართველოს შორის ისტორიას თუ გადავხედავთ, „ჩახუტება" არასდროს ყოფილა. საქართველო დავითის, თამარის, გიორგი ბრწყინვალეს დროს უკვე ერთიანი სახელმწიფო იყო. სლავურ ხალხებში ძალაუფლების მოსაპოვებლად ბრძოლები მიმდინარეობდა. პოლონელებს



რუსეთის ხელისუფლების სათავეში მოსვლა სურდათ. ცრუ დიმიტრის და სხვათა ბრძოლების მერე მოდის რომანოვების დინასტია და გაერთიანებისთვის ბრძოლა იწყება. ისმის კითხვა: არსებობდა თუ არა უკრაინის სახელმწიფო? აქ საუბარი შემდგარ ან შეუმდგარ სახელმწიფოზე არ მაქვს. უკრაინის, როგორც სახელმწიფოს ან სამეფოს შესახებ ისტორიაში არაფერი მსმენია. უკრაინის რუსეთთან მიერთება 300 წლის წინათ მოხდა. უკრაინა გახლდათ რუსეთის შემადგენლობაში მყოფი ქვეყანა, რომელსაც დამოუკიდებლობა არ გააჩნდა. მე-19 საუკუნის ბოლოს და მე-20-ის დასაწყისში ჯერ კიდევ არ არსებობს დოკუმენტი, რომ უკრაინის სახელმწიფო არსებობდა. იგი საბჭოური პერიოდის სახელმწიფოა. საბჭოთა კავშირს ხშირად ევროკავშირს ვადარებ. მათში საერთო ტენდენციებს ვხედავ. სხვადასხვა კონსტიტუციების მქონე ეროვნების ხალხების გაერთიანება ეკონომიკური, კულტურული და სხვა თვალსაზრისით, მარტივი არ არის. ეს ერთობა შეუძლებელი იქნებოდა, რომ არა სტალინური სოციალიზმი. მსოფლიოში არცერთი გაერთიანება მყარი არ ყოფილა. ერთობა ერთ-ორ საუკუნეს ძლებს და მერე ცალ-ცალკე სახელმწიფოებად იშლება.

**— ბატონო იგორ, მსოფლიოში არცერთი გაერთიანება მყარი არ ყოფილაო, ახსენით. ევროკავშირი რამდენად მყარი გაერთიანებაა?**

— ამის ნათელი მაგალითია ამერიკა. ამერიკისკენ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეებიდან ადამიანები დაიძრნენ და ჩამოყალიბდა არა ამერიკელი ერი, არამედ ხალხი. ერი არ არსებობს. იქ მსოფლიოს ხალხები ჩავიდნენ და ე.წ. ამერიკული ცივილიზაცია შექმნეს. გეზი აღებული იქნა შემდეგი მიმართულებით — ამერიკა ერთპოლუსიანი სისტემის მსოფლიო ლიდერი უნდა ყოფილიყო. ასეც იყო, სანამ ხელისუფლებაში პუტინი მოვიდოდა.

მსგავსი გაერთიანება მოხდა 1648 წელს, როცა დაიდო სამშვიდობო ხელშეკრულება, ვესტფალიის ზავი. ამ გაერთიანებამ იმ დროისთვის ევროპაში სისხლისღვრები შეაჩერა. ევროკავშირის მოვალეობაც ეს არის — სისხლისღვრა შეაჩეროს. კი ბატონო, ევროკავშირი შეიქმნა, მაგრამ ომები თავიდან ვერ აიცილა. ევროპამ ვერც პირველი მსოფლიო ომი აიცილა, ვერც მეორე და, როგორც ჩანს, ვერც მესამე. 1939 წელს ომი პოლონეთისთვის დაიწყო და მერე გერმანია-რუსეთის ომში გადაიზარდა. ასევეა ახლაც — ომი უკრაინისთვის დაიწყო და რუსეთ-დასავლეთის ომში გადაიზარდა. ევროკავშირმა ამ ომებს ვერ უშველა და ვერც უშველის, რადგან არავითარი თანამეგობრობა არ არსებობს, მთავარი ინტერესებია. ამ ომით დაინტერესებულია აშშ, რადგან მას მსოფლიო სივრცეში გასვლა უნდა. მეტიც, **აშშ-ს ევროკავშირის არსებობა არ მოსწონს. ის ამერიკას ბევრ რამეში ეწინააღმდეგება. საფრანგეთის პრეზიდენტმა და გერმანიის კანცლერმა განაცხადეს: ევროპას საკუთარი არმია უნდა ჰყავდესო. ეს კი ნატოს წინააღმდეგ წასვლას ნიშნავდა, რომლის სათავეშიც აშშ დგას. ამერიკას არ აწყობს ეკონომიკურად, კულტურულად ძლიერი ევროპა, რომელიც მისი მოწინააღმდეგე ხდება.** ამ ბრძოლაში იკვეთება აშშ-ის, ევროპის, რუსეთისა და ჩინეთის პოლუსები. აშშ ჩინეთიდან ქარიშხლის მოახლოებას გრძნობს როგორც სამხედრო, ისე ეკონომიკური მიმართულებით. ამიტომ მან გადაწყვიტა, ევროპას თავის სიძლიერე დაანახოს — თუ უკრაინაში მისი გავლენა და ინტერესები დამკვიდრდება, უზარმაზარი მიღწევა იქნება. ამით აშშ ხაზს უსვამს იმას, რომ ევროპაშიც თავად არის ძლიერი, რადგან ტერიტორიით და წიაღისეულით უმდიდრესი უკრაინა მისია. ამ მიზნის მისაღწევად რუსეთი წინააღმდეგობაა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ევროპას რთული ზამთარი ელის. თუმცა, გერმანია, ბუნებრივ აირთან მიმართებით, მეტად მომზადებული აღმოჩნდა, ვიდრე ევროპის სხვა ქვეყნები. პარალელურად, ენერგეტიკული ომიც მიმდინარეობს. გერმანელები ზამთარს უფრო იოლად გადაიტანენ, რადგან მათ სხვა ნედლეულის ჩანაცვლება მოახერხეს. გერმანია ამერიკას უჭერს მხარს. მათ ევროპის საკითხი საკუთარ თავზე აიღეს. შესაძლოა ამ ორმა ქვეყანამ ევროპა გაიყოს. ალბათ, ამ კუთხით, საფრანგეთიც მიიღებს მონაწილეობას. ეს გახლავთ სიახლე. ახლა უფრო კონკრეტულად იმის შესახებ, რას გვერჩის უკრაინა? საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი უკრაინაში წავიდა და იქ მაღალი თანამდებობა დაიკავა. სააკაშვილი ჩვენი ქვეყნის ხელისუფლებაში ამერიკის ხელდასხმულია. თუმცა, ახლა იგი უკრაინის ხელისუფლებას წარმოადგენს. ქართულმა მართლმსაჯულებამ იგი ბრალდებულად ცნო, დღემდე ძებნაში არიან მისი ბანდის წევრები. ამ დროს, რა ხდება? — ადამიანები, რომელსაც საქართველო კრიმინალში ადანაშაულებს, უცებ პოლიტიკაში შემოდიან და უკრაინაში მაღალ თანამდებობებს იკავებენ. ეს ნიშნავს, რომ უკრაინელები „ნაცმოძრაობას" მფარველობენ. საქართველომ ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ უკრაინასთან კარგი ურთიერთობა ჰქონოდა. ჩვენი ქართველი მეომრები უკრაინაში იხოცებიან, ჰუმანიტრული დახმარების კუთხით პირველ ადგილზე ვართ, ლტოლვილებს ვიღებთ. სხვა რაღა გავაკეთოთ?! ჩვენ იმის ფუფუნება არ გვაქვს, რომ უკრაინას მილიარდები ვაჩუქოთ. უკრაინა ნაცებს უჭერს მხარს. ევროპა ამაზე დუმს. **უკრაინას ახლა იმაზე ბევრად მეტს უთმობენ ამერიკელებიც და სხვებიც, ვიდრე საჭიროა. ასევე უსმენენ მათ, ვისი მოსმენაც არ შეიძლება!** არცერთ პოლიტიკურ გააზრებაში არ ჯდება უკრაინის მიერ საქართველოს მიმართ გადადგმული ნაბიჯი. **უკრაინა ითხოვს: რუსეთი უნდა დავამარცხოო. ასეთი რამ მსოფლიო ისტორიას ჯერ არ ახსოვს. რუსეთს უამრავი ომი აქვს გამოვლილი და არასდროს დამარცხებულა.** უკრაინა რუსეთს სხვისი მიწოდებული იარაღით ებრძვის. მაგრამ ირანის მიერ რუსეთისთვის საჰაერო დრონების მიწოდება დიდი ხმაურის მიზეზი გახდა. ამერიკა უკრაინას გამანადგურებელ იარაღს რომ აწვდის, ეს თურმე, არაფერია. იარაღის მიწოდების მომხრე არ ვარ, რადგან იგი ადამიანებს ხოცავს, ანადგურებს. როგორც აღვნიშნე, ასეული წლებია დამარცხებული რუსეთი არავის უნახავს. უკრაინა ნადგურდება როგორც ეკონომიკურად, ისე პოლიტიკური, სამხედრო თვალსაზრისით. მისი ხელისუფლებაც არ არის წმინდა სლავური. ვფლობ ინფორმაციას, რომ ქართულ მედია-სივრცეში მიმდინარე საინფორმაციო ომს უკრაინელები აფინანსებენ, რათა გარკვეულწილად, კავკასიაში რუსები ჩაძირონ. მათ ჩვენი მეშვეობით რუსეთისთვის ინფორმაციული ომის მოგება სურთ. დიახ, ეს თანხები უკრაინიდან ირიცხება. ამ ტელევიზიებს, გაზეთებს, ახლა შეგნებულად არ ვასახელებ. ეს მედია-საშუალებები ზოგჯერ საშინელ რაღაცებს კადრულობენ, ასევე, მათი ექსპერტებიც. საქართველო-უკრაინის ურთიერთობაში დიდი მნიშვნელობა აქვს სააკაშვილის ფაქტორს. ჩემი აზრით, მიშა ქართული ხელისუფლებისთვის დიდი თავის ტკივილია. როგორ, რისთვის ჩამოვიდა, ამაზე დასკვნა ჯერ არ დადებულა. მისი ჩამოსვლა არ მომხდარა, არც ევროპის, არც უკრაინის და არც ამერიკის დახმარების გარეშე. ამას ხაზგასმით ვამბობ. გამოძიებამ დაადგინა, ვინ ჩამოიყვანა საქართველოში სააკაშვილი?! შეუძლოდ ყოფნას ასახელებს და პროცესზე არ ცხადდება. ასე როდემდე უნდა გაგრძელდეს?! ამ პროცესში ზელენსკიც მონაწილეობს. მასთან, ბუნებრივია, ასევე შეთანხმებული იყო ადეიშვილის ევროპაში წასვლა.



**— უკრაინის გარდა არც ევროპა გვწყალობს...**

— დიახ, ევროპა საქართველოს არაფერს უთმობს. უკრაინას და მოლდოვას კანდიდატის სტატუსი თუ ეკუთვნოდათ, ჩვენ რა დავაშავეთ?! მე თუ მკითხავთ, ბევრად ადრე გვეკუთვნოდა ეს

5 გვ. →

# არესტოვიჩის განცხადება საქართველოს მიმართ პირდაპირი ტერორისტული მუქარაა

## მთავრობამ ქვეყანა ომში არ ჩააბა, მიუხედავად ამისა, მაინც ივანიშვილის ოჯახზე ახორციელებენ უკანონო ზეწოლას!







*გვესაუბრება დამოუკიდებელი უფლებადამცველი, ყოფილი პარლამენტარი ДИМИТРИ ЛОРТКИПАНИДЗЕ:*

**— ბატონო დიმა, წინა კვირას ღარიბაშვილმა აზერბაიჯანის პრეზიდენტს უმასპინძლა. ალიევმა აღნიშნა, რომ აზერბაიჯანი საერთაშორისო ბაზარზე ექსპორტზე ელექტროენერგიის გატანას აპირებს. რა დატვირთვა აქვს ამ ვიზიტს?**

— ჩემი აზრით, ამ ვიზიტს ძალიან სერიოზული დატვირთვა ჰქონდა. ვთვლი, რომ ეს გეოეკონომიკური და გეოპოლიტიკური მნიშვნელობის ვიზიტია, რომელიც მომავალი რეგიონული თანამშრომლობის ფორმატის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ქვაკუთხედია, როგორც პილოტი-პროექტის, რითაც ამიერკავკასიაში გენერირებული ელექტროენერგია და, ზოგადად, ენერგომატარებლები შეიძლება ევროპის კონტინენტზე აღმოჩნდეს. მათ შორის ერთ-ერთი დამკვეთი და მომხმარებელი, შესაძლოა, უნგრეთი იყოს, რომელსაც ალტერნატიულ ენერგომომარაგებასთან დაკავშირებით ძალიან მზარდი ინტერესი გააჩნია. ეს იყო მსჯელობის მთავარი საგანი პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილსა და უნგრეთის პრეზიდენტ ვიქტორ ორბანს შორის გამართულ ოფიციალურ შეხვედრაზეც. როგორც ჩანს, ალიევის საქართველოში სტუმრობა და პრემიერ ღარიბაშვილის ვიზიტი უნგრეთში უნდა შეფასდეს, როგორც ერთი ჯაჭვის შემადგენელი რგოლები. ამ შემთხვევაში ძალიან მნიშვნელოვან გეოპოლიტიკურ და გეოეკონომიკურ პროექტთან გვაქვს საქმე.

**— უნგრეთის პრეზიდენტმა ვიქტორ ორბანმა აღნიშნა, რომ საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მიუნიჭებლობა ევროკავშირის მხრიდან დისკრიმინაციული მიდგომა იყო. რა მოსაზრება გაქვთ ამ საკითხზე?**

— ვიქტორ ორბანის ეს შეფასება სრულიად ობიექტურია, რაც ფაქტებიდან მომდინარეობს, რომლის მიხედვითაც საქართველო მოლდოვასაც და უკრაინასაც, აბსოლუტურად ყველა პარამეტრით — ეკონომიკური განვითარების ზრდის, ანტიკორუფციული, მედია-თავისუფლების და ბევრი სხვა მნიშვნელოვანი მაჩვენებლით უსწრებდა, რომელიც დასავლური დემოკრატიის მთავარი ინდიკატორია. აქედან გამომდინარე, ორბანის შეფასება უშუალოდ ევროკავშირთან მიმართებით, იყო სამართლიანიც და, ამავე დროს, ძალიან ხისტი. ეს ნიშანდობლივია იმ კუთხითაც, რომ საქართველოს ამ შემთხვევაში ევროკავშირთან სამათხოვრო არაფერი აქვს. კულტურათა დიალოგის იმ თავისებურებიდან გამომდინარე, რითაც საქართველო ცდილობს, თავისი ისტორიული, კულტურული, ღირებულებითი არჩევანი დაიცვას, ევროკავშირი ამას გაგებით უნდა მოეკიდოს. აი, ეს ქვეტექსტი იკითხება ბატონი ორბანის განცხადებიდან. ყველა სხვა შემთხვევაში, საქართველოსთან მიმართებით რაიმე ტიპის ტენდენციური დამოკიდებულება, უბრალოდ, არაობიექტური იქნებოდა. იმიტომ, რომ საქართველომ თავის დროზე ყველა ის გამოცდა ჩააბარა, რაც ევროკავშირთან პარტნიორობას, ასევე, სამხედრო კომპონენტში ნატოსთან თანამშრომლობას გულისხმობს. გავიხსენოთ ცხელი წერტილები — კოსოვო, ერაყი, ავღანეთი, სადაც საქართველოს მსოფლიო მასშტაბით ასიათას სულ მოსახლეზე სამხედრო შეიარაღებული კონტინგენტის ყველაზე უფრო დიდი წარმომადგენლობა ჰყავდა. ასე რომ, მის მიმართ მიღებული გადაწყვეტილება არა მხოლოდ დისკრიმინაციული, არამედ სრულიად უსამართლო და პოლიტიკური კონიუნქტურით ნაკარნახევი იყო.

**— მაშინ, რას გვაძლევს ევროკავშირში შესვლა?**

— საქართველოს ამ გაერთიანებაში წევრობა არასდროს განიხილებოდა, როგორც შესაძლებლობა, რათა საქართველოს მსოფლიო თანამეგობრობის სივრცეში თვითრეალიზაცია მოეხდინა. პირიქით, თუკი საბოლოო ჯამში მართლაც მოვაწერდით ხელს იმ საკნონმდებლო პაკეტებს, რითაც ჩვენი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია მოხდებოდა, ამით, უბრალოდ, საქართველოს, როგორც ეროვნულ სახელმწიფოს დავასამარებდით. დიახ, დავასამარებდით ორიათასწლოვან ქრისტიანულ კულტურაზე დაფუძნებულ სახელმწიფოს, ქვეყანას, რომელსაც ეკლესიის სახით კონკორდატით აღიარებული დამფუძნებელი პარტნიორი ჰყავს, რომლის როლი და მნიშვნელობა საქართველოს კონსტიტუციით არის განსაზღვრული. რა ფორმითაც ევროკავშირი წევრობას გვთავაზობს, ეს იმდენად ბევრ და მნიშვნელოვან წინააღმდეგობასთან არის დაკავშირებული, რომ ამის ფასი ჩვენი ქვეყნისა და მოსახლეობის მომავლისთვის ძალიან ტრაგიკული იქნება. ამიტომ, თუკი ევროკავშირთან ურთიერთობაზეა საუბარი, კი ბატონო, ტექნოლოგიურად განვითარებულ ევროპასთან ურთიერთობის მოსურნენი ყოველთვის ვიქნებით, მაგრამ იდეოლოგიური თვალსაზრისით, ნეოლიბერალურ გლობალისტურ იმპერიალიზმს მხარს არასდროს დავუჭერთ და მისი პარტნიორი ქვეყანა არ გავხდებით.

**— ბატონო დიმა, საქართველო არ მოხვდა უკრაინის მეგობარი ქვეყნების სიაში. რა არის ამის მიზეზი?**

— რა თქმა უნდა, ამ მხრივ ჩვენ ილუზიის ტყვეობაში არ ვართ. უკრაინას, საქართველოსთან მიმართებით, უმადურობის სინდრომი გაუჩნდა, რისი საბაბიც ნამდვილად არ მიგვიცია.

თუმცა, ერთია, რას აკეთებს საქართველო უკრაინისთვის და მეორეა, თავად ეს ქვეყანა რით ხელმძღვანელობს, როცა უმადურობას გამოხატავს — იგი, ამ შემთხვევაში, იმ გლობალური პატრონების დავალებას ასრულებს, რომელთა ერთ-ერთი მთავარი ამოცანა, უკრაინის მსგავსად, საქართველოს საომარ პლაცდარმად გადაქცევაა. დასავლეთმა ეს აქამდე ვერ მოახერხა, ამიტომ ახალი სცენარი — უმადური უკრაინა გაითამაშა. ამით სურთ, ქართული საზოგადოების იმ ნაწილზე მოახდინონ ზეგავლენა, რომელიც „ნაცმოძრაობის“ მხარდამჭერად ითვლება. ანუ, არსებული ხელისუფლების წინააღმდეგ ამ საზოგადოების ნაწილის კონსოლიდაცია მოახდინონ. ეს პოლიტიკური აქტის განხორციელების ძალიან უსუსური მცდელობაა. სინამდვილეში, უკრაინის ხელისუფლებას არავინ ჰკითხავს: მადლიერებას გამოხატავს თუ უმადურობას, მას რასაც უბრძანებენ, იმას ასრულებს. რადგან ამ ხნის მანძილზე ვერ მოახერხეს, ჩვენი ხელისუფლება მეორე ფრონტის გახსნაზე დაეყოლიებინათ, ამიტომ უმადურობის დემონსტრირებაზე გადავიდნენ. ხვალ, ალბათ, არესტოვიჩის მუქარის ასრულების პრაქტიკულ ხორცშესხმაზეც გადავლენ. მან თქვა: თუ საქართველო ასე გააგრძელებს, უკრაინას მის ტერიტორიაზე ძალის პროვოცირება მოუწევსო. ეს სხვა არაფერია, თუ არა საქართველოს წინააღმდეგ პირდაპირ ტერორისტული მუქარა.

**— უკრაინამ ივანიშვილის ოჯახის წევრებს სანქციები დაუწესა. ეს რას ემსახურება?**

— ეს არის უტიფრობით გაჯერებული სამარცხვინო აქტი და ერთგვარი უსუსური მცდელობა, რათა ამ გზით ივანიშვილზე ზეგავლენა მოახდინონ. ვფიქრობ, არამარტო ივანიშვილის, არამედ ნებისმიერი თავმოყვარე ადამიანის მიმართმ სგავსი ტიპის აქტი განხილული უნდა იქნას, როგორც ტერაქტი მის წინააღმდეგ. ივანიშვილს ვერაფერი მოუხერხეს და მასზე ზეგავლენის მოსახდენად ოჯახის წევრებზე უკანონო ზეწოლას ახორციელებენ. მიზანი შემდეგია: ივანიშვილი ოჯახის წევრებისგან დარტყმის ობიექტად უნდა იქცეს და ამ გზით საკუთარი სურვილების ხორცშესხმა მოახერხონ. ეს მართლაც სამარცხვინო და უტიფარი მოქმედებაა, რასაც ვერც უკრაინისთვის და ვერც მისი

საკმარისია ვინმემ მკვეთრად ეროვნული ხასიათის განცხადება გააკეთოს, ან ისეთი ნაბიჯი გადადგას, რომელიც არ ჯდება სადღაც ვიღაცის მიერ დადგენილ ტრაფარეტში, მყისვე განგაშის სიგნალი ჩაირთვება და საზოგადოებას შიში იპყრობს — ეს საქართველოს გამოსარჩლებული კაცი საქართველოს გამოსარჩლების გამო თანამდებობიდან არ გაათავისუფლონ ან რაღაც სხვა ფორმით არ დასაჯონო.

განსაკუთრებით ხშირად ხდება ასეთი ამბავი ირაკლი ღარიბაშვილთან დაკავშირებით, რომელიც თხემით ტერფამდე ქართველი კაცია და არც არასდროს დაუმალავს, რომ მისი უპირველესი და უმთავრესი მოვალეობაა ემსახუროს საქართველოს და ქართველ ხალხს.

ყველას კარგად ახსოვს მისი განცხადება — ჩემი უფროსი რომელიმე ევროპარლამენტარი კი არა, ქართველი ხალხია!

მსგავსი რამ ასე ნათლად და ასე ღიად, საქართველოს დამოუკიდებლობის ამ ოცდაათწლიან პერიოდში არავის უთქვამს.

ჩემი აზრით, ეს განცხადება იმდენად მნიშვნელოვანია, რომ ის თამამად შეიძლება ჩაითვალოს ქართული სახელმწიფოს შემდგომი განვითარების მთავარ დევიზად.

„ნაცმოძრაობამ“, რომელიც ბევრს კი იფხორება, მაგრამ სინამდვილეში, მონური კომპლექსებით დასნეულებული ძალაა, ირაკლი ღარიბაშვილის ეს განცხადება დასავლური კურსიდან გადახვევად და რუსულ ორბიტაზე დაბრუნების



პატრონებისთვის ვერავითარი სასარგებლო შედეგი ვერ მოჰყვება. პირიქით, ყოველივე ეს ქართული საზოგადოების კონსოლიდაციას შეუწყობს ხელს.

**— ბოლოს სახალხო დამცველის არჩევნებზეც გვითხარით ორიოდ სიტყვა.**

— საქმე ისაა, რომ მნიშვნელოვანია თავად პროცედურა, რომელიც საკამათო და სადავოა. კანდიდატს 90 ხმა სჭირდება. თუ ამ ოდენობას ვერ მოაგროვებს, მისი არჩევა არ ხდება. ამ შემთხვევაში, ნინო ლომჯარიას ადგილს მისი აპარატის ერთ-ერთი წარმომადგენელი დაიკავებს, ხოლო განმეორებითი არჩევნების ჩატარების პროცედურა, საერთოდ, გაწერილი არ არის. შესაძლოა, ეს ყველაფერი პოლიტიკური ნების გამოვლენაზე იყოს დამოკიდებული. პოლიტიკური გადაწყვეტილება იმგვარი იქნება, რომ პარლამენტი, ამა თუ იმ კანდიდატთან დაკავშირებით კონსესუსზე ვერ შეთანხმდება, საბოლოოდ, ეს პროცესს ჩიხში შეიყვანს და მუშაობა არსებულ ბაზაზე წარმოდგენილი პირის ხელმძღვანელობით გაგრძელდება. როცა პოლიტიკური ხელმძღვანელობა შეიცვლება, საქართველოს პარლამენტი ან საერთოდ გააუქმებს ომბუდსმენის ინსტიტუტს ან ახალი საარჩევნო წესით აირჩევს. მიმაჩნია, რომ ომბუდსმენის არჩევაში ხალხი პირდაპირ უნდა ერეოდეს. პოლიტიკური მიზანშეწონილობა „ქართულ ოცნებას“ კარნახობს, რომ „ნაცმოძრაობის“ წარმომადგენელს, რომელიც უკვე არაერთხელ ავირჩიეთ ლომჯარიასა თუ მისი წინამორბედების სახით, მხარი არ დაუჭიროს.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24



მცდელობად შეაფასა და გახარებული და სახეგაბრწყინებული ელოდა როგორ გადააყენებდნენ პოსტიდან პრემიერს, რომელმაც ასეთი „თავხედური“ პოზიცია დააფიქსირა.

იყო ასეთი პოეტი, ალე ფეოდოსიშვილი, რომელმაც გასული საუკუნის ოცდაათიან წლებში თქვა: „დედას მოვკლავ და დავახრჩობ მამას, რევოლუცია თუ ითხოვს ამას“.

„ნაციონალები“ კოლექტიური ალე ფეოდოსიშვილები არიან, რომლებიც დასავლეთს არწმუნებენ, რომ ძალაუფლებაში ყოფნის ფასად მზად არიან ნებისმიერი დავალება შეასრულონ, მათ შორის, დედა, სამშობლოც, მოკლან და მამაც ზედ მიაყოლონ.

„ნაციონალები“ პოლიტიკური სპეკულიანტები არიან, რომლებიც სამშობლოს თავისუფლებით და დამოუკიდებლობით ვაჭრობენ.

ამ ფონზე, ნამდვილი გმირობაა ის, რასაც საქართველოს ამჟამინდელი ხელისუფლება აკეთებს, თუმცა ამ გმირობას დანახვა, დაფასება, თანადგომა და მხარდაჭერა სჭირდება საქართველოს თითოეული მოქალაქისგან, ვისთვისაც თავისუფლება და დამოუკიდებლობა ღირსების საქმეა.

ადრე ნათქვამს გავიმეორებ: „დამოუკიდებლობა არ არის ერთჯერადი აქტი, ერთხელ რომ მოიპოვებ და მერე სულ დამოუკიდებელი ხარ. დამოუკიდებლობა მარადიული, უწყვეტი პროცესია, რომლისთვისაც ყოველდღე უნდა იბრძოლო და რომელიც ყოველდღე უნდა მოიპოვო“.

**ვახტანგ ხარჩილავა, თებერვალი 2022წ.**

# რუსეთის წინააღმდეგ მედიასივრცეში მიმდინარე საინფორმაციო ომს საქართველოში უკრაინელები აფინანსებენ!

← 3 გვ.

სტატუსი. ამერიკა ხომ დემოკრატიის შუქურად აღიარებდა საქართველოს. განა უკრაინაში არ არის ეკონომიკის დაბალი დონე, კორუფცია, ოლიგარქიული სისტემა, გაუმართავი სასამართლო?! მაშინ რატომ აყენებთ უკრაინას საქართველოზე წინ?! იმიტომ, რომ ასე აშშ-ს და ევროპის ზოგიერთ ქვეყანას სჭირდება?! ეს არ არის სწორი პოლიტიკა. საქართველოს და უკრაინის ურთიერთობა არ შეიძლება ასე გაგრძელდეს. მასთან ნორმალურად დიპლომატიური ურთიერთობაც არ გვაქვს. უკრაინას არ უნდა ჩვენთან ყოფნა, ეს მხოლოდ ფორმალობაა. ამ შემთხვევაში არც ამერიკა უჭერს მხარს საქართველოს. შედეგად, უკრაინაც ისე გვექცევა, როგორც გვექცევა. უკრაინაში ხელისუფლების შეცვლამ, შესაძლოა, ჩვენი ურთიერთობა გამოასწოროს. ამჟამად უკრაინა ნებისმიერ მოქმედებას აშშ-სთან ათანხმებს. ნაცების საკითხიც მასთან თანხმდება, რათა ეს საქართველოსთვის თავის ტკივილად იქცეს.

**— ბატონო იგორ, უკრაინამ ივანიშვილის ოჯახს სანქციები დაუწესა. ეს რამდენად სამართლიანია?**

— უკრაინას არც პოლიტიკური, არც ეკონომიკური, არც მორალური და არც დიპლომატიური თვალსაზრისით, უფლება არ აქვს, ივანიშვილს ან მის გარემოცვას სანქციები დაუწესოს. უკრაინასაც ჰყავს მილიარდერები, რატომ მათ არ უწესებენ სანქციებს?! რას ნიშნავს საქართველოსკენ თითის გამოშვერა?!

**— ზელენსკიმ, თქვენ თუ ვერ ახერხებთ, ქართველებო, ჩვენ დაგეხმარებით დეოლიგარქიზაციაშიო.**

— ეს უკვე სასაცილოა. უკრაინის ხელმძღვანელობა, ზელენსკი ყოველ გამოსვლაში დასავლეთს მიმართავს: გადაგვარჩინეთ რუსეთისგან, მოგვაწოდეთ იარაღი, ებრძოლეთ რუსებსო. საკუთარი ქვეყანა ვერ გადაურჩენია, ყველაფერი ნადგურდება და ამ დროს ზელენსკი გვეუბნება: მე დაგეხმარებით დეოლიგარქიზაციაშიო. სად, ვისთან თანხმდება ეს საკითხი? როცა „ნაცმოძრაობის“ დევიზს, პროგრამას ერთი-ერთში იმეორებ, ეს ხომ ქართული სახელმწიფოებრიობის, პოლიტიკის წინააღმდეგ მიმართული ნაბიჯია. ზელენსკი უნდა დაგვეხმაროს, რომ ოლიგარქები გამოვავლინოთ?! ივანიშვილი სწორედ საჭირო დროს მოვიდა ხელისუფლებაში. მან ერს ეს დამნაშავე რეჟიმი მოაშორა. ბიძინა ივანიშვილი რომ არა, სააკაშვილის ხელისუფლებას ვერ დაამხობდნენ.

**— ბატონო იგორ, ზემოთ უკრაინის საქართველოსადმი დამოკიდებულებაზე ვისაუბრეთ. როგორ ფიქრობთ, იმისთვისაც ხომ არ გვსჯიან, რომ აქ მეორე ფრონტი არ გავხსენით?**

— ჩვენ ვინ ვართ?! საქართველოს, შევარდნაძის პერიოდში, 1992-2003 წლებში არმია არ ჰყავდა. ომის პერიოდში შევარდნაძეც მოტყუვდა და სააკაშვილიც. ბატონ ედუარდს ეგონა, რომ ამერიკა და რუსეთი ჩვენ გვერდით დადგებოდნენ. სწორედ მაშინ, ანუ, რეალურად აფხაზეთი 1992 წლის 12 აგვისტოს დავკარგეთ. ჩვენ ჩრდილოეთკავკასიელებმა, მოხალისეებმა, იგივე უკრაინელებმა დაგვამარცხეს. ეს ყველაფერი რუსული იარაღით მოხდა. ჩვენ არმია არ გვყავდა. **საქართველო ახლა არის იმ დონეზე, რომ ომი აწარმოოს? ომის წარმოება რას ნიშნავს? — რომ გალის ტერიტორიაზე შევიდეთ და აფხაზეთისკენ სვლა დავიწყოთ. ასევე, პარტიზანული ომები გავშალოთ ოსეთში?! ჩვენ ხომ ოსეთიდან, აფხაზეთიდან უნდა დავიწყოთ. თუ რუსეთის საზღვართან — დაღესტანში, ჩეჩნეთში შევიჭრათ და პარტიზანული ომები გავაჩაღოთ?! ეს აბსოლუტური უაზრობაა.** რას მოგვცემს ქართველ ხალხს ომის დაწყება?! დაგვავიწყდა, რომ 40 კილომეტრში რუსის ტანკი დგას?! ასე ხომ ორ-სამ დღეში ყველაფერი დამთავრდება. ჩვენ რუსეთს საბაბს მივცემთ, შემოვიდეს და გაგვანადგუროს. იგი მთელ მსოფლიოს, უკრაინას უპირისპირდება და საქართველო ხომ ერთ ლუკმად არ ეყოფა? მერე ვინ გვიშველის — პარტნიორები ჩვენ უფრო მაღლა დაგვაყენებენ, ვიდრე უკრაინას?



ერთი მითხრან: როგორ დავიწყოთ ეს ომი? რა გამოსავალს გვთავაზობენ ომის მომხრეები — შეიკრიბოს ორიათასკაციანი პოლკი, იარაღი აისხას და რუსეთის საზღვარზე გადავიდეს, თუ ჩრდილოეთ კავკასიაში პარტიზანული ფრონტი გავშალოთ?! აქედან თუ დავიწყებთ, მაშინ აფხაზებს, ოსებს უნდა ვებრძოლოთ. სანამ რუსამდე მივალთ, იგი ოსს დაეხმარება და რუსეთის სახელით ჩვენს დამარცხებას ოსები შეძლებენ. ესენი ამაზე არ ფიქრობენ! ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რათა უკრაინას საინფორმაციო ომი მოვუგოთ. რიგ ტელევიზიებში გაიძახიან: რუსეთი ოკუპანტიაო. სამწუხარო იცით, რა არის? — როცა აფხაზეთი დავკარგეთ, მაშინ ასე აშკარად არ ვამბობდით: რუსეთი ოკუპანტიაო. **ახლა უკრაინასთან მიდის ბრძოლა და გავიძახით: რუსეთი ოკუპანტია. სხვათა შორის, როცა ჩვენ ომში ვიყავით, უკრაინას საქართველოს დასახმარებლად არავითარი ღონისძიებები არ გაუტარებია. პირიქით, უკრაინამ, რუსეთმა საქართველოს კანონიერი ხელისუფლების დამხობას ხელი შეუწყვეს. დიახ, ეს გააკეთეს უკრაინამ და რუსულმა არმიამ, ეს გააკეთა პრავჩუკმა, ეს გააკეთა ბალტინმა. დიახ, ეს ყველაფერი უკრაინამ გააკეთა.** უკრაინელებს და მის დამცველებს ვეკითხები: რას ნიშნავდა ეს ყოველივე? არ ახსოვთ, რაც ჩვენ უკრაინამ გაგვიკეთა? ზელენსკის იუმორისტული გამოსვლებიც არ ახსოვთ აგვისტოს ომთან დაკავშირებით, რას ეძახდა ქართველებს?! ჩვენ რაში ვართ დამნაშავენი? პოლიტიკოსების გამო უკრაინელი და ქართველი ხალხი ერთმანეთს რატომ უნდა დავეტაკოთ. მინდა გითხრათ, რომ რუსეთ-უკრაინის ომი ასე მარტივად არ დამთავრდება — ზამთარსაც მოილევს და კიდევ გაგრძელდება. რუსეთის დამარცხება ურთულესი იქნება, რამაც უნდა დაგვაფიქროს. ამერიკას ეს არ აინტერესებს. რუსეთი აშშ-ს კი არ დაარტყამს, არამედ უკრაინას და ეს ექო ევროპას და ჩვენ — საქართველოს, კავკასიას შემოგვიბრუნდება. ამერიკელები ამ ყველაფრისგან თავისუფალნი იქნებიან. საბოლოოდ, ამერიკაც გადარჩება. ჩვენ რა მოგველის? საქართველო დემოგრაფიულად ისედაც ნადგურდება — ასიათასობით ადამიანი ევროპაში გადადის, აქ აღარავინ რჩება. საქართველო იღუპება, იშლება, ნახევრდება. ასე თუ გაგრძელდა, საქართველოში ქართველები უმცირესობაში დარჩებიან. ასე რომ, ჭკუით, ქართველებო!!! ჩვენ ჭკუა გვაქვს, მაგრამ მოდით, ეს საქართველოს კეთილდღეობას მოვახმაროთ და არა სხვა ქვეყნებისას, რომლებიც ჩვენს საწინააღმდეგო წისქვილზე ასხამენ წყალს. ჩვენ ჩვენს წისქვილზე დავასხათ წყალი, რათა ქართველი ერი, საქართველო გადარჩეს. არც რუსეთს, არც უკრაინას, არც აშშ-ს და, საერთოდ არავის, საქართველოს განადგურების უფლება არ უნდა მივცეთ! მოდით, ვიფიქროთ იმაზე, რომ არა შეუმდგარი, არამედ ეროვნული სახელმწიფო ვიყოთ.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# ქართულ მედიაში „დასავლური მზე“ ანათებს

ერთმა კაცმა სოკრატესთან საუბარი წამოიწყო: — იცი, რა მითხრა შენზე შენმა მეგობარმა?

— შეჩერდი! სანამ რამეს მეტყოდე, სამ საცერში გაცერი და ისე მითხარი! — შეაჩერა სოკრატემ.

— სამ საცერში? — დაიბნა მოსაუბრე.

— დიახ, სამ საცერში. პირველი საცერი — ეს არის სიმართლის საცერი. დარწმუნებული ხარ, რომ ის, რის თქმასაც აპირებ, სიმართლეა?

— არა, უბრალოდ, რაც მოვისმინე, იმის თქმას ვაპირებ...

— მაშასადამე, შენ არ იცი, სიმართლეა თუ არა ის, რაც უნდა მითხრა. კეთილი. ახლა მეორე საცერში გავცრათ შენი სათქმელი — ეს არის სიკეთის საცერი. მიპასუხე, ის, რაც უნდა მითხრა, კარგია?



— არა, პირიქით.

— მაშასადამე, უნდა მითხრა რაღაც ცუდი და თანაც არ იცი, სიმართლეა თუ არა. კეთილი. ახლა მესამე საცერზე გადავიდეთ — ეს არის სარგებელი. შენი აზრით, რამდენად სასარგებლო იქნება ჩემთვის ის, რისი თქმაც გინდა?

— ვფიქრობ, არანაირ სარგებელს არ მოგიტანს...

— მაშ, ასე, თუ ინფორმაციაში, რომელიც უნდა გადმომცე, არ არის არაფერი არც კარგი, არც მართალი და არც სასარგებლო. რატომ მეუბნები, რა აზრი აქვს მის თქმას? — გაიღიმა სოკრატემ და ზურგი აქცია საჭორაოდ შემართულ კაცს...

●

ილევა 2022 წელი, ტოტალური ცილისწამებებისა და ლანძღვა-გინებების უსარგებლო კიდევ ერთი წელი და დაიწყება მომდევნო 2023 წელი, რომელიც, ყოველგვარი მკითხაობის გარეშეც ნათელია, რომ ბევრად ბინძური ნააზრევ-ნაკეთების გამომზეურების წელი იქნება, რადგან, საქართველოში სხვაგვარად, უბრალოდ, წარმოუდგენელია.

სხვათა შორის, მასმედიას თუ არ გაუსწრო, არც არაფრით ჩამორჩება სოციალური ქსელებიც, რომელიც ისეთივე უკონტროლოა, როგორც, საერთოდ, ყველაფერი — არავის აქვს ნაფიქრი იმაზე, რომ სიტყვა ტელევიზიით ითქმება, პრესაში დაიბეჭდება, ხეზე ამოიტვიფრება, ქვაზე თუ სოციალურ ქსელში აიკრიფება გასავრცელებლად, ერთი და იმავე ინტერესის, დანიშნულებისა და ძალა-მუხტი-განწყობის შემქმნელია.

...და მოდის ნებისმიერი პიროვნების შეურაცხმყოფელი ნიაღვარი, რომელიც საკუთარ მორევშივე მოიცავს ცილისწამებასაც, უხამსობასაც, სიბილწესაც და საერთოდ ყველაფერს, რასაც ადამიანის მოთხრა ჰქვია, გამკითხავი კი არავინაა.

ამბობენ, საქართველოში მასიური ნევროზიაო — როგორც ჩანს, ნევროზიც მხოლოდ ე. წ. დაბალ ფენაში ყოფილა, თორემ, რასაც ვუსმენთ, რა ბრალდებებს უყენებენ ერთმანეთს პოლიტიკოსები იქნებიან, ჟურნალისტები თუ სხვანი, მეტ-ნაკლებად ცნობილ-ცნობადი ადამიანები, ან ერთმანეთი უნდა ჰყავდეთ კარგა ხნის დათეთქვილ-დასამარებულები, ან ჟამიდან ჟამამდე გულშემოყრილ „ცნობილებს“ სასწრაფო დახმარების მანქანების კოლონები უნდა მიარბენინებდნენ საავადმყოფოებისკენ...

გვარ-სახელებისა და კონკრეტული „თემების“ დასახელებისგან თავი შევიკავოთ, რადგან საუბარი პრობლემაზეა და არა კონკრეტული პირების შეძენილ თუ თანდაყოლილ ავკაცობა-ავქალობაზე — რატომ ხდება ასე, რისი ბრალია, რომ ასე დაბინძურდა საინფორმაციო სივრცე?

რა თქმა უნდა, ბეჭდური თუ ელექტრონული მედიის ამგვარად დამახინჯება-დასნეულება არც უეცრად და არც ერთ დღეში, ერთ თვესა თუ ერთ წელში არ მომხდარა, „ვიღაცის“ მიერ ჯერ გაითვალა სვლები და შემდეგ კანონის ფარქვეშ მოაქციეს იმ ე.წ. „ახალგაზრდა რეფორმატორებმა“, თავდაპირველად „მოქკავშირელები“ რომ იყვნენ, შემდეგ კი „ნაციონალები“. მოკლედ რომ ვთქვათ, შესაბამისი მუხლები, რომელიც ეხება და ეხებოდა ინფორმაციის თავისუფლებასა და ცენზურის დაუშვებლობას, ისე გადაკეთდ-გადმოკეთდა ან სულაც გაქრა, რომ აიშვა მედია-ალვირი, ვისაც რისი თქმა და დაჯღაპვნა მოუნდება, იმას არაკუნებს.

ამ ფონზე მართლა ნევროზის „ამკიდებელია“ სოცქსელის ხელშეუხებელ ცენზორად დანიშნული ქალბატონისებრი თავისი ფაქტ-ჩეკერებით. აგინე, ათრიე, ჩაჩეჩქვე „ქართული ოცნება“ და მასზე კარგის მთქმელი კი არა, ნეიტრალური პოზიციის დამკავებელიც ყველა ფორმით, ცენზორი ქალბატონისებრის მრისხანე თვალი ცხრაპირ მიწისქვეშეთში შეიყუჟება, მაგრამ აბა, „ნაციონალებს“, ლგბტ და მათთან გათანაბრებულ პირებსა და ქვეყნებზე გადაკრულად თქვი რამე, ისე შეგიჩერებენ სოცქსელში არსებობას ერთი დღიდან დაწყებული განუსაზღვრელ დრომდე, რუსთაველის საფლავს რომც მიაგნო, ტყუილად დაიჩივლებ... ეს ქალბატონისებრი მაინც ვინ დაგვისვა თავზე, პასუხს რატომ არავინ იძლევა ან მას არავინ სთხოვს?

რომელი ენიდან არის შემოსული სიტყვა „ჩათლახი“ საქართველოში და რა არის მისი პირდაპირი მნიშვნელობა, გვერდზე გადავდოთ, საინტერესო ის არის, რომ ეს სიტყვა ერთნაირად მოერგო ქალსაც და კაცსაც როგორც ფიზიკურ, ისე პიროვნულ მახასიათებლად; როგორც არსებით სახელად, ისე ზედსართავ სახელად...

თავის დროზე ამ გულისამრევი ე.წ. „თავისუფალი მედიის“ აღვირამხსნელი იმ აღვირახსნილი სააკაშვილის ბანდა-გუნდი იყო, რომელსაც მედია-კანონში ხვრელები შევარდნაძის ხელისუფლების დასაქცევ-დასაძირებლად უნდოდა, განსაკუთრებით კი კონკრეტული პიროვნებების ცოცხლად დასამარხად, თუმცა იმდენად საფუძვლიანად იყო გათვლილი, რომ დღესაც ადგებათ.

„სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია“ — ეს ფრაზაც კი აუტანელი გახდა. ქვეყანა თუ ხარ, სახელმწიფო, ხელისუფალი, კანონმდებელი და ა.შ. ის, ვინც სწუხარ რაღაც ფაქტის გამო, რატომ არ მიიღე საჭირო ზომები იმისათვის, რომ საწუხარი ფაქტის წინაშე




არ დამდგარიყავი? ჰოდა, ახლა ვიძახოთ მრავალ ხმაში, რომ სამწუხაროა, მაგრამ ფაქტია ის, რომ ე.წ. თავისუფალი მედია კარგა ხანია მავანთათვის ფულის საჭრელ საამქროდ იქცა, მათთვის, ვინც გარკვეული ანაზღაურების ფასად სიხარულით გაიწყვიტა ყველაფერი, უპირველესად კი — შუბლის ძარღვი.

„კანონები ბუნდოვანია“, „კანონებში ხვრელებია დატოვებული“... — თქვე კაი დედ-მამიშვილებო, იურისტობაზე რომ დებთ თავს, იმდენი მაინც ხომ უნდა გათვალოთ, რომ იმ ხვრელში არ ჩავარდეთ და არ ჩააგდოთ სხვაც, თანაც რამდენჯერმე და უსასრულოდ...

თქვე კარგო ადამიანებო და რაღაცნაირო იურისტებო, სახედარი ერთხელ რომ ჩავარდება ტალახში, მეორედ იმ გზაზე, თუნდაც მშრალი იყოს, აღარ გაივლის მათრახის რტყმევის ქვეშაც კი და თქვენ რა გჭირთ, რატომ არ გინდათ ის წუმპე დააშროთ, რომელშიც ხვალ თუ არა ზეგ, აუცილებლად თქვენც ჩავარდებით, თუ თქვენზე ძლიერმა (ან გაქნილმა) მოისურვა და ამისათვის გვარიანად გადაიხადა?

მედიის გაჩათლახებასთან ობიექტური მიზეზების ცვენა ახლავს, რომელთაგან უპირველესია კონკრეტული მედია-საშუალების ხელმძღვანელის უნიჭობა და შემდგომ სიღატაკე და პირიქით, ან ორივე ერთად, რასაც აუცილებლად საფუძვლად უდევს შინაგანი, თვითნაბადი მოთხოვნილება ჩათლახობების ჩადენისა.

ჩათლახული ფორმულა „შენ დააბრალე და მან იმართლოს თავი“, სააკაშვილის ხელისუფლებას არ მოუგონია, რაღაც ფორმით მანამდეც არსებობდა, მაგრამ ქუჩიდან ხელისუფლებაში შეყრილი უმეცარი „შპანა“ სახელად „ახალგაზრდა რეფორმატორები“, შემდგომში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, წინ გაახედა ვიღაც ძალიან ჩათლახმა, კანონით გაასწორეს წელში, გაალამაზეს და წარმატებით იყენებენ დღემდე.

მუხლები, რომლებიც ეხება ცილისწამებას, შეურაცხყოფას, საიდუმლოების გახმაურებას, ჟურნალისტის მოწმედ დაკითხვის დაუშვებლობას ინფორმაციის მიმცემი წყაროს ვინაობასთან დაკავშირებით, ჟურნალისტისთვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლას (ანუ გაავრცელოს ინფორმაცია ან თავი შეიკავოს ინფორმაციის გავრცელებისგან), ცენზურას და ა.შ. გამიზნულად ისეა გადაზელილ-გადათქვეფილი, კარგად

## „პირზე მომდგარსა სიტყვასა...“

„დემოკრატიის და სიტყვის თავისუფლების ფუნდამენტურ პრინციპებზე, ალბათ, საერთოდ არ ჰქონდა წარმოდგენა იმ ქართველ კაცს, რომელმაც თქვა: „პირზე მომდგარსა სიტყვასა, განა სუყველას თქმა უნდა?“

არც დემოკრატიის განვითარების ინსტიტუტების დეკლარაციებში, არც სამეცნიერო სტატიებსა თუ სახელმძღვანელოებში ამოკითხული თეზისებით გაუკეთებია ეს დასკვნა ზემოთმოყვანილი სტრიქონების ავტორს და არც ევროსაბჭოსა თუ გაეროს ინსტრუქციებით — საუკუნეთა განმავლობაში დაგროვილი გამოცდილებით მიხვდა, თუ რა სახიფათოა ლაგამამოუდებელი, თავის ნებაზე მიშვებული სიტყვა, რა დამანგრეველი ძალა აქვს მას.

სამწუხაროდ, სიტყვის თავისუფლება ზოგმა ლანძღვისა და პროვოკატორობის თავისუფლებად გაიგო და ხელშეუხებელ ღირებულებად გამოაცხადა.

ამიტომაც შეაჩვია ჩვენმა საზოგადოებამ ერთმანეთს ენა...

ჩვენ, როგორც ჩანს, იმდენად შევაჩნიეთ ყური ამ უმსგავსობას, რომ ერთ მთავარ უბედურებას ვერ ვგრძნობთ და ვერ ვამჩნევთ — ყოველივე ეს არაქართულია, ქართველი კაცის ბუნებისთვის უცხო და მიუღებელია.

დიახ, ჩვენ უკვე ვერ ვაცნობიერებთ, რომ ურთიერთობის, კაცობისა და დედაკაცობის საუკუნეთა განმავლობაში ნაწრთობი მორალური და ზნეობრივი კოდექსი დაგვენგრა და ის მთავარი ძარღვი გაგვიწყდა შუბლზე, სინდისის ძარღვს რომ ეძახიან...“

„რა ხდება? ჟურნალისტიკაა ეს თუ ასინეთას კანტორა, რომლის თანამშრომლებს ადამიანების დაპირისპირება, საზოგადოების გახლეჩვა, ჭორებისა და ცილისწამებების გავრცელება უქცევიათ მთავარ ხელობად?

რაც უნდა ვმალოთ და ვჩქმალოთ, მაინც ვერ გავექცევით ერთ საგანგაშო მოვლენას — ქართველ ჟურნალისტთა ერთი ნაწილი, დიდი ხანია, აქტიურად ჩაბმული პოლიტიკური, პარტიული თუ ფინანსური დაპირებების პროცესებში, როგორც ამა თუ იმ ჯგუფის ფარული მოკავშირე, როგორც „საბრძოლო

რომ ჩაუღრმავდე, შესაძლოა, ჟურნალისტმა შეუზღუდავი უფლებების მქონე მმართველადაც კი წარმოიდგინოს თავი. თუმცა, შესაძლოა კი არა, სწორედ ასეა და სწორედ ამიტომაც დაკარგა ბეჭდურმა მედიამ მკითხველი და ტელევიზიამ — სახე.

გავცრათ სოკრატეს საცერში — არაფერი კარგი, არავითარი სიმართლე და არანაირი სარგებელი, მაშ, რა საჭიროა ასეთი ე.წ. თავისუფალი მედია?

სულიერად და მატერიალურად გაღლეტილ საქართველოში მედიის თავისუფლება ის შეთხზული ლეგენდაა, რომლის მიღმა გაცხოველებული აღებ-მიცემობაა გაჩაღებული. მედია-საქმეში ჩახედული ადამიანი არ სჭირდება იმის გაშიფვრას, რისთვის მომზადდა კონკრეტული სატელევიზიო სიუჟეტი. ხალხი იმდენადაა პოლიტიზებული, იმდენი რამ ნახა უკვე, მოისმინა და გადაიტანა საკუთარ ზურგზე, რომ უშეცდომოდ ხვდება, რატომ ამზადებს ესა თუ ის ტელევიზია ამა თუ იმ პიროვნებაზე „მამხილებელი“ სიუჟეტების ციკლს, ანუ ვინ დგას ამ „სერიალების“ უკან და რა ინტერესისთვის იხდის ფულს.

ჯანდაბასო, იტყვის კაცი, გადაიღონ და თვითონვე უყურონო, მაგრამ სააკაშვილის ხელისუფლების გაჩათლახებული მედია რომ დღემდე არ ერიდება შანტაჟს, არც დეზინფორმაციის გავრცელებას და არც პროვოკაციებს?

ბავშვს ჰკითხეს, რა გატირებს წამდაუწუმო? — გამდის და ვტირიო. — ასეა ამ მედიის გაჩათლახების ამბავიც, გასდის და ჩათლახობს... იმის ნაცვლად, რომ მანკიერება წარმოეჩინა და სარკის ფუნქცია შეესრულებინა, საკუთარი სურვილით წაუწვა ყველას, ვინც გადაუხადა და ხელს სხვისკენ იშვერს, მეძალადებაო...

გასერიალებულია ჩვენი ყოფა-ცხოვრება ამდენი იდიოტური სერიალის გადამკიდე და უკვე მართლაც იდიოტური სიუჟეტის დაუსრულებელ სერიალს დაემსგავსა, რადგან ერთ სრულმეტრაჟიან ფილმში ყოველდღიურად



ჩნდება ახალ-ახალი სერიები ახალ-ახალი სეზონებითა და ნაირ-ნაირი სენსაციურ-სკანდალური სათაურებით, რომლებიც რეალურად ისეთივე ცარიელი და ფუყეა, როგორც ცუანა სოკო. შურისმაძიებლური შინაარსის მქონე მდარე სერიალად გვიქცია ცხოვრება თვითმარქვია ჟურნალისტების პლეადამ და მის მდარე პერსონაჟებად გვაქცევს ვიღაც მათი ხელით, ხმის ამოღება კი მიუღებელია, თავისუფალ მედიაზე თავდასხმად არ მონათლონ გაღმიდან — ეშინიათ!..

სამართლებრივ სახელმწიფოში საქციელი, როცა სახეზე იქნებოდა ადამიანთა ერთი ჯგუფის მიერ საკუთარი პოლიტიკური თუ ფინანსური ინტერესების განხორციელების მიზნით სხვა პიროვნების მიზანმიმართული, ორგანიზებული დევნა საინფორმაციო საშუალებების გამოყენებით, მკაცრად დაისჯებოდა, მაგრამ ჩვენ ხომ უპირველესად, სახელმწიფო არ ვართ და მით უმეტეს, სამართლებრივი სახელმწიფო? როცა სხვა ქვეყნების დიპლომატიური კორპუსი გკარნახობს საკუთარი ქვეყნის შიდა სამზარეულოს განლაგება-დასაქმებას, მიგითითებს, გავალდებულებს — იქ მთავრდება ცნება „სახელმწიფო“!

მოისურვებს ვიღაც და ვიღაცაზე ისეთს იტყვის, ასე მომივიდა ხმაო, მტრის კარს! კანონი არ ავალდებულებს ხმის გამავრცელებლის დასახელებას და „ეჭვმიტანილი“ იწყებს იმის მტკიცებას, რომ სიცრუეა, რაც მას დააბრალეს — ეს ნორმალურია? საბოლოოდ და როდესმე გაირკვევა, რომ კონკრეტული მსხვერპლი უდანაშაულო იყო იმ საკითხში, რაც დააბრალეს, მაგრამ დამნაშავე არავინ აღმოჩნდება, გარემოების მსხვერპლი კი ადამიანთა მეხსიერებაში ეჭვმიტანილად დაილექება, ანუ კამპანია, რომელიც ამ ადამიანის წინააღმდეგ დაიწყო, წარმატებულად დამთავრებულია, მისი სახელი, ღირსება და საქმიანი რეპუტაცია შელახულია. გადახედეთ სულხან-საბას იგავიდან დღემდე სიტყვით მოკლულებისა თუ მორალურად განადგურებულების რიცხვს და ვინაობას, ერთი კაცი მაინც თუ არის დასჯილი სასიკვდილო ტყვიად ნასროლი სიტყვისთვის? — არა!

ძველმა „რუსთავი-2“-მა, რეალურად „მიშავიზიამ“ დაიწყო მედიის გარყვნა და გარყვნა კიდეც ბოლომდე, გამოჩეკა ქილერი მედია-წიწილები და მიმოაბნია, მათ კი სხვები დაიმგვანეს — ვაჭარ და ქილერ ჟურნალისტთა გილდია შეიქმნა...

ხალხი მოეგო გონს, თორემ „ოცნება-ხელისუფლება“ დიდი ხნის ამოყირავ-გადაყირავებული იქნებოდა...

განა ვინმესთვის საიდუმლოა, რომ „ქვეყნისა და ხალხის კეთილდღეობის“, „ევროატლანტიკური კურსის“, „დასავლური ღირებულებების“ და ა.შ. მყვირალა სიტყვების უკან მხოლოდ ცალკეულ პირთა კეთილდღეობის ინტერესებია ჩადებული და რეალურად დიდი ბრძოლა-თამაში მიმდინარეობს, რომელშიც დაინტერესებულ პირებსა და მხარეებს აქტიურად ჰყავთ ჩართული მოსყიდული ჟურნალისტები მოსყიდულ ტელეკომპანიებსა და მოსყიდულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად? — ყოველ შემთხვევაში, ხალხი ასე ფიქრობს და როგორც იტყვიან ხოლმე, ხალხი არ ცდება!

„ჩვენს საქმეში, შენ რომ იაღლიში მოგივიდა, ეგეთი იაღლიშები არ მოდის“, — „მურტალოსავით“ ვინ ვის ეტყვის ბოლოს ამ ფრაზას, ვინ დარჩება მოგებული, არ ვიცით, მაგრამ ჩვენთვის, „უბრალო მოკვდავებისთვის“, ჯერჯერობით, კვლავ გაუგებარი დარჩა რას გვერჩის ან ხელისუფლება, ან ოპოზიცია, ან ორივე ერთად ამ აუტანელ მედიასთან ერთად, კაცს რომ ტელევიზორი ვერ ჩაურთავს, ან ვიღაცის უტიფრობა გაუხეთქავს გულს, ან ვიღაცების სექსუალური აღტკინება გადაიყვანს ჭკუიდან...

საქართველო თურქული, ინდური, ლათინური ამერიკის და



ა.შ. ქვეყნების მრავალსერიანი მელოდრამების პარალელურად, ბეჯითად უყურებს ქართული წარმოების, ასევე მრავალსერიან პოლიტიკურ შოუს სახელწოდებით „როგორ ავაყვავოთ საქართველო“. ამ იაფფასიან შოუში მხსნელების როლებს სწორედ ისინი თამაშობენ, ვინც ეს ქვეყანა მოაოხრა, შეკვეცა, გაყიდა, დასახსნელად და გადასარჩენად აქცია. მათ შორის ყველაზე მეტს ისინი წივიან და ყველა სერიაში წამყვან როლს თამაშობენ, რადგან უცხო ქვეყანაზე ჩამოკიდებულ-დამოკიდებულ ამ მართლაც უნიათო ხელისუფლების შემხედვარეებს, საფუძვლიანი იმედი აქვთ, რომ, რისთვისაც თავგამოდებით, უსირცხვილოდ და უკადრებელი ხერხებით იღვწიან დღედაღამ, აუსრულდებათ, კვლავ ხელში ჩაიგდებენ ხელისუფლების სადავეებს.

მედიაიმპერია, რომელზეც ზემოთ ვილაპარაკეთ, სწორედ მათ ეკუთვნით თავიანთივე ქილერ-ჟურნალისტებიანად...

არა მხოლოდ სააკაშვილს, არამედ ბევრ სხვასაც ჰგონია, რომ საქართველო ღრმა სკლეროზითაა დაავადებული და მას პირწმინდად აქვს დავიწყებული, ვინ იყვნენ და საიდან მოვიდნენ ეს მრავლობითი სააკაშვილები და მისი კარის ჟურნალისტები...

...ნოდარ დუმბაძის მეუღლე ავარიაში მოჰყვა და ცოტა ხნით მახსოვრობა დაკარგა. ერთი ქალბატონი, რომელსაც მისი ვალი ჰქონდა, შეწუხებული ეკითხება ბატონ ნოდარს: — როგორაა ქალბატონი ნანული, მართალია, მახსოვრობა დაკარგაო? — კი, დაკარგა ცოტათი, მარა ის ახსოვს, შენ რომ მისი ვალი გაქვსო, — მიუგო ბატონმა ნოდარმა.

საქართველოს საქმეც ასეა. მართალია, კი დავკარგეთ მცირე ხნით მახსოვრობა, მაგრამ ის ნამდვილად გვახსოვს, რა ვალი მართებთ ზემოთნახსენებ „ამხანაგებს“ საქართველოსი. ეს ის ვალია, რომელიც არც დავიწყებას და არც რესტრუქტურიზაციას არ ექვემდებარება.

„ამათ უნდოდათ, რომ ჩვენთვის სახელმწიფო დანაშაული მოეკერებინათ, მაგრამ აქაც უნიათოები გამოდგნენ, საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანეს“, — „საყვედურობდა“ სააკაშვილი ხელისუფლებას და ამ შემთხვევაში მართალი იყო. თვითონვე აებნა გზა ფანტაზიებში, თორემ ახლა მსუყე წილში ეჯდებოდა „უკრაინელ ძმებს“. მისი ავადობის ფაქტობრივი დიაგნოზი ხომ სწორედ ამაზე დარდია!...

ხელისუფლებამ, თავისი უნიათობითა და უპრინციპობის წყალობით, საქმე მართლაც ვერ მიიყვანა ბოლომდე, რითაც, ძველი და ახალი „გადატრიალების“ დიდოსტატებს დაუსჯელობის ილუზია განუმტკიცა. ფაქტობრივად, ახალისებს სხვადასხვა ჯურის ავანტიურისტებსა და პროვოკატორებს შინ თუ გარეთ, რომლებიც ბედავენ და ღიად აშანტაჟებენ სახელმწიფო საქართველოს.

რატომაც არა, პასუხის მომთხოვნი ხომ არავინაა, ხელისუფლების ყველა მაღალჩინოსანს თვალები აცაბაცა გაურბის, მზერას ვერ ალაგებენ, ხან უკან იყურებიან, ხან გვერდზე, წინ ვერ გაუხედავთ, ეშინიათ, თვალი არ მოსჭრათ მკვეთრმა და სასტიკმა რეალობამ...

„ჩვენი მზე ჩრდილოეთიდან ამოდისო“, — წაილაქუცა ერთხელ ერთმა კაცმა და სიკვდილამდე აძახეს. ანეკდოტიც გამოითქვა, ვგენი ხარაძემ თავი მოიკლა ეს რომ გაიგო, მთელი ცხოვრება ვამტკიცებ, მზე აღმოსავლეთიდან ამოდის, ეს რა თქვაო. მერე რა თუ ახლა „ჩრდილოეთის“ ნაცვლად „დასავლეთს“ არ ამბობენ, საქმით გვიჩვენებენ, საით ეგულებათ ამომავალი მზე...

„დასავლური მზე“ ანათებს დღეს ქართულ მედიაში და იმიტომაც ბრწყინავს ოქროს ნაცვლად ჯართი!...

**ზურაბ ოქხერელი**

დავალების“ შემსრულებელი, როგორც დაინტერესებული მხარე.

არასასურველი კონკურენტის განადგურება და ჩაძირვა ჟურნალისტი-ქილერის ხელით შემკვეთისათვის უაღრესად ხელსაყრელია, რადგან შემკვეთის ვინაობის დასახელებას ჟურნალისტ-ქილერს კანონი არც სთხოვს. მას შეუძლია განაცხადოს, რომ ინფორმაცია მიიღო პირისგან, რომელმაც არ ისურვა ვინაობის გამჟღავნება. ასეთ შემთხვევაში მას ვერავინ აიძულებს, დაასახელოს ინფორმატორის ვინაობა. ამასთან ერთად, ჟურნალისტი არ არის პასუხისმგებელი მიწოდებული ინფორმაციის გამო, თუ ამ ინფორმაციას მისეული დასკვნა და შეფასება არ ახლავს.

„როგორი მოსასმენია, როდესაც ამა თუ იმ პირს მავანი და მავანი საჯაროდ უწოდებს მკვლელს, ბანდიტს, ნაძირალას, მაფიოზს, გათახსირებულს, გარეწარს, გიჟს, გარყვნილს, თუმცა კანონი მას ამისთვის პასუხს ვერ მოსთხოვს. თუ სურვილი აქვს, თვით ამ პირმა უნდა დაამტკიცოს, რომ არ არის მკვლელი, არ არის გარეწარი, არ არის ბანდიტი, თუ არადა, კარგად იყოს.

„იდეოლოგია“, რომელიც უდევს საფუძვლად იმ საკანონმდებლო აქტებს და ნორმატივებს, რომლითაც დღეს რეგულირდება ელექტრონული თუ ბეჭდვითი მედიის საქმიანობა, ფართო ასპარეზს იძლევა მიზანმიმართული დისკრედიტაციისთვის, შანტაჟისა და ანგარიშსწორებისთვის.

როგორც ვთქვით, მოქმედი კანონი პრესის შესახებ ამის საშუალებას იძლევა.

რა თქმა უნდა, ჟურნალისტი ყოველმხრივ დაცული უნდა იყოს კანონით, რომ პირნათლად შეასრულოს თავისი მოვალეობა, მაგრამ ასევე დაცული უნდა იყოს საზოგადოება არაკეთილსინდისიერი ჟურნალისტისგან.

შეიძლება ვინმეს მოეჩვენოს, რომ ეს მეორეხარისხოვანი, უმნიშვნელო საკითხია, თუმცა სინამდვილეში, ეს ის საკითხია, რომლის მოუგვარებლობა ხელს უშლის სახელმწიფოს მშენებლობას, სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბებას, რადგან იქ, სადაც დაუცველია საზოგადოების ერთი კონკრეტული წევრი, დაუცველია მთელი საზოგადოება, დაუცველი, დაშინებული, დაშანტაჟებული საზოგადოება კი ვერც მაღალი სულიერი ფასეულობებისა და ღირებულებების დამცველად გამოდგება და ვერც სახელმწიფოს მშენებლად“.

**ვახტანგ ხარჩილავა, 2012 წ.**

# სანქციების მსოფლიო ისტორია

## კარიბული ყულფი. როგორ გაუძლო თავისუფლების კუნძულმა ტოტალურ ბლოკადას



### სისხლიანი ექსპორტი

ყოველ დილით კუბაზე მყოფი ტურისტები ერთსა და იმავე სურათს ხედავენ: მეთევზეების ასობით ნავი და ხის შხუნები ზღვისკენ მიემართება. ადამიანის შეიძლება მოეჩვენოს, რომ ნაოსნობით გატაცება პროდუქტების დეფიციტის პირობებში საკვების მოპოვების ერთადერთი გზაა.

მაგრამ კუბელ მეთევზეებს თევზი სულაც არ აინტერესებთ. ხომალდების ტრიუმები სავსეა კუბური სიგარებით, რომლებიც სანქციების გამო დეფიციტია. მექსიკის ან კარიბის ზღვის კუნძულოვანი ქვეყნების სანაპიროებთან კუბელებს კონტრაბანდისტები ელოდებიან, რომლებიც სიგარების ერთ შეკვრაში 200 დოლარს იხდიან — კუბის ოფიციალურ საექსპორტო ფასზე ერთნახევარჯერ მეტს.

კუბაზე, მეთევზეებს დოლარები და დეფიციტური საქონელი შემოაქვთ.

ეს ბიზნესი წარმატებულია, რადგან აშშ-ში სიგარების შეტანა დანაშაულია. XX ს-ის მეორე



ნახევარში მათი მოწევაც კი სისხლის სამართლის დანაშაულად მიიჩნეოდა. ობამას ხელისუფლების დროს თამბაქოს იმპორტი დროებით აღდგა, რამდენიმე წლის შემდეგ კი კვლავ აიკრძალა.

სიგარის კონტრაბანდა კერძო-სახელმწიფოებრივი პარტნიორობაა. ქვეყანას იმპორტისთვის ვალუტა სჭირდება, ხალხისთვის კი კონტრაბანდა დიდი ფულის შოვნის გზაა. კუბის მთავრობა ამაზე თვალს ხუჭავს, რადგან ქვეყანა მუდმივად ეძიებს ახალ გზებს სავალუტო რეზერვის შესავსებად.

კუბის ჩრდილოვანი ეკონომიკის შესახებ ზუსტი სტატისტიკა არ არსებობს. არაოფიციალური მონაცემებით, რესპუბლიკა ჩრდილოეთ კორეელებს ასყიდდა საბჭოთა იარაღს, ვენესუელურ ნავთობს ზედმეტ ფასებში ყიდდა და საკუთარი მოქალაქეების სისხლითაც კი ვაჭრობდა.

1990-იან წლებში სისხლის გაყიდვით მიღებული შემოსავალი 30 მილიონი დოლარი იყო, რაც იმდროინდელი შემოსავლების მეხუთედს შეადგენდა. კუბის მოსახლეობა ამ გზით მიღებულ შემოსავალზე არც დღეს ამბობს უარს.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ცნობით, მხოლოს 2014 წელს კუბელებმა 400 ათასი დოზა სისხლი ჩააბარეს.

უკანასკნელი ორი ათწლეულის განმავლობაში კუბამ ლეგალური ექსპორტის აწყობა შეძლო. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა, ძირითადად, ნედლეულსა და პირველადი მოხმარების ნივთებს ყიდის, საზღვარგარეთ მაინც ბევრი მომხმარებელი ჰყავთ.

კუბა ნიკელის, მარგანეცის მადნეულისა და ფოსფატების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ექსპორტიორია. 2000-იანი წლების დასაწყისში კუნძულზე ნავთობი იპოვეს, გაჩნდა პრიმიტიული ნავთობგადამამუშავებელი კომპლექსები. საექსპორტო საქონლის ძირითადი ბაზა რომისა და სიგარების ლეგალური გატანაა. რესპუბლიკა საზღვარგარეთ ყიდის ხის ნახშირსა და თაფლს.

2020 წლისათვის ექსპორტით კუბის შემოსავალმა 8,8 მლრდ დოლარი შეადგინა.

მიუხედავად ამისა, ეს აშკარად არასაკმარისია მოსახლეობის მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. სანქციები ქვეყანაში თანამედროვე წარმოების განვითარებას აფერხებენ, რაც ინვესტიციების ნაკლებობას იწვევს, რუსეთიდან, ჩინეთიდან ან ევროკავშირიდან ტექნოლოგიების იმპორტის შეძენა კი ძალიან ძვირია. მოქალაქეების მსყიდველუნარიანობა მათ მოთხოვნილებებს აშკარად ჩამოუვარდება.

მოსახლეობის დასახმარებლად ქვეყანაში 1962 წლიდან საბარათე სისტემა მოქმედებს. თითოეულ კუბელს უფლება აქვს, ყოველთვიურად სიმბოლურ ფასად შეიძინოს სხვადასხვა პროდუქტები და პირველადი მოხმარების ნივთები.

სისტემა ასე მოქმედებს: დაბადებისთანავე ნებისმიერ მოქალაქეს ახლომდებარე მაღაზიას მიამაგრებენ. სწორედ იქიდან იღებს ის სახელმწიფოს მიერ დაწესებულ პროდუქტების ყოველთვიურ ნაკრებს. 2017 წლისთვის მასში შედიოდა 3 კგ ბრინჯი, ნახევარი კგ მარცვლეული, 1 კგ მაკარონი, 2 კგ შაქარი, 1 ბოთლი სოიოს ზეთი, ნახევარი კგ ყავა, 10 ც კვერცხი, მარილი, ქათმის ხორცი, თევზი და ძეხვი.

ბავშვების, ფეხმძიმე ქალებისა და ქრონიკული დაავადებების მქონეთათვის გათვალისწინებულია დამატებითი საკვები: მშრალი რძე, სოიოს იოგურტი, და ხილის კომპოტი. სახელმწიფო კუბელებს უზრუნველყოფს ნახშირით, ნავთით ან გაზის ბალონებით, სახლში არსებული ღუმელის ტიპის მიხედვით.

მოსახლეობის ეკონომიკურ პრობლემებს ეს ზომები ვერ წყვეტენ, მაგრამ ასრულებენ დაზღვევის როლს იმ შემთხვევისთვის, თუ ადამიანი რაიმე მიზეზით შემოსავლის გარეშე დარჩა და პროდუქტებს სხვაგან ვერ შეიძენს. პანდემიისა და მსფლიოში ფასების ზრდის გამო კუბაში ეკონომიკური სიტუაცია კვლავ გართულდა და ქვეყნის წინაშე, როგორც 1990-იან წლებში, სასურსათო უსაფრთხოების საკითხი დადგა.

კუბა კრიტიკულად არის დამოკიდებული სურსათის იმპორტზე, ე. ი. ქვეყანას ვალუტა სჭირდება. შაქრით მისი მიღება ძნელია, რადგან ბოლო წლებში ცუდი მოსავალი იყო. ტურიზმის სფერომ კი ეპიდემიის გამო იზარალა.

ამ ფონზე ქვეყანა ეკონომიკისა და შემოსავლების არატრადიციულ მეთოდებს ეძიებს. კერძოდ, 2021 წლის აგვისტოში კუბამ კრიპტოვალუტა ლეგალიზებულ კანონიერ საგადასახადო საშუალებად გამოაცხადა. მაგრამ იქ მისი წარმოებისთვის საჭირო ციფრული მოწყობილობების დეფიციტია და თანაც ელექტროენერგიის მიწოდებაში მუდმივი შეფერხებებია. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა ენერგიის აღდგენადი წყაროების, კერძოდ, მზის ბატარეების დანერგვას ცდილობს, პრობლემას ეს ვერ ვერ ჭრის. დღეისათვის კუბაზე მოხმარებული ელექტროენერგია წიაღისეულიდან მიიღება.

### კუბა ფიდელ კასტროს გარეშე

სხვადასხვა წლებში თითქმის ყველა „წითელი“ ქვეყანა მიხვდა, რომ დოგმებიდან გადახვევა ეკონომიკური კეთილდღეობის სანაცვლოდ, სისუსტე კი არა, სასიცოცხლო აუცილებლობაა. მაგრამ კუბა კასტროა, კასტრო კი სამუდამოდ უნდა იყოს — ასეთ დასკვნამდე მივიდნენ კუნძულის მმართველები 21-ე საუკუნის ათიანი წლების ბოლოს. მას შემდეგაც კი, რაც რაულ კასტრომ ფორმალურად შესრულა დანაპირები და ორი ვადის შემდეგ ძალაუფლება გადააბარა, ეს პრინციპი უცვლელი დარჩა.

2019 წელს პრეზიდენტად მიგელ დიას-კანელი აირჩიეს, რომელმაც პირობა დადო, რომ მხოლოდ კოსმეტიკურ რეფორმებსა გაატარებდა და რევოლუციის ძირითად იდეებს არ უღალატებდა.

იმავე წელს ქვეყანამ ახალი კონსტიტუცია მიიღო. გაჩნდა პრეზიდენტისა და პრემიერ-მინისტრის თანამდებობები, შეზღუდვები ქვეყნის მმართველის თანამდებობაზე ყოფნის ვადის პირობებში, გაფართოვედა პირადი თავისუფლებები და შერბილდა ცენზურა. მიუხედავად ამისა, საბაზო კონსტიტუციური პრინციპები უცვლელი დარჩა: საზოგადოების სოციალისტური მოდელი, ქვეყნის მიერ ეკონომიკის კონტროლი, პარტიის წამყვანი როლი და ოფიციალური კომუნისტური იდეოლოგია.

და მაინც, ახალი ლიდერები იძულებული იყვნენ, ეკონომიკურ ჭრილში მაინც განეხორციელებინათ ცვლილებები. 2021 წელს კუბის მთავრობამ ოფიციალურად თქვა უარი დოლარზე.

მიგელ დიას-კანელი იმედოვნებდა, რომ ჯო ბაიდენი შეარბილებდა ტრამპის დრაკონულ გადაწყვეტილებებს, მაგრამ ამერიკის პრეზიდენტმა დაგმო კუბელების გადაწყვეტილება და მათ დახმარებაზე უარი განაცხადა.

კუბა ისევ მარტო დარჩა საკუთარი პრობლემების წინაშე და მხარდამჭერის მექანიზმი ცოტა თუ დარჩა. კერძოდ, რუსეთი პერიოდულად აგზავნის კუბაზე საკვებ პროდუქტებს, სამედიცინო მოწყობილობებს და მედიკამენტებს. ჩინეთი ინვესტიციებს დებს ნიკელისა და ნავთობის საბადოების განვითარებაში, დაბალ ფასად შეაქვს სამედიცინო მოწყობილობები და პირველადი მოხმარების ნივთები. 2021 წლის ბოლოს ჰანოიმ ჰავანას კორონავირუსის საწინაღმდეგო ვაქცინის წარმოებისთვის ძვირადღირებული მოწყობილობები გადასცა და მზად არის, თანხები სოფლის მეურნეობასა და სხვა დარგებში ჩადოს.



ექსპერტები მიიჩნევენ, რომ სიტუაციის გადარჩენა ვენესუელას შეუძლია. თუ ამერიკა ნავთობზე ემბარგოს მოხსნას გადაწყვეტს რუსეთისთვის ნავთობის ემბარგოს ხარჯზე, კუბა შეძლებს საკუთარი ენერგეტიკული უსაფრთხოების გამყარებას. თუმცა მთავრობას მაინც მოუწევს ეკონომიკური რეფორმების გაგრძელება, რადგან ამის გარეშე ამერიკის ზეწოლის წინააღმდეგ ბრძოლას შედეგი არ ექნება.

ასეა თუ ისე, კუბას შეუძლია, რომ პრობლემები ტურიზმისა და ვაჭრობის აღდგენით გადაჭრას. დახმარებაზე არც ძველი მეგობრები ეტყვიან უარს.

სწრაფად ცვალებად პირობებში ადაპტაცია მარტო ბიოლოგიური ორგანიზმების კი არა, პოლიტიკური სისტემების კანონიცაა. სტაბილურობის სასარგებლოდ მოდერნიზაციაზე უარის თქმით ბევრმა ქვეყანამ ავნო საკუთარ ეკონომიკას. თავისუფლების კუნძულის გადარჩენა მარტო მის ხელისუფლებასა და მოქალაქეებზე როდია დამოკიდებული. ამერიკის სანქციებმა ქვეყანას საშუალება არ მისცა, რომ ნორმალურად განვითარებულიყო, მაგრამ საწადელს მაინც ვერ მიაღწია — ვერ შეძლო რეჟიმის დამარცხება. ალბათ, დროა, რომ ვაშინგტონი მიხვდეს: შეუძლებელია ეკონომიკური ზეწოლით აიძულო დამოუკიდებელი ქვეყანა, რომ საკუთარ ინტერესებზე თქვას უარი.

(გაგრძელება იქნება)

ბელა გველესიანი
568 90 81 22

# იმპერატიული საკანონმდებლო ნორმის შესაბამისად, ბიძინა ივანიშვილი ოლიგარქის სტატუსს ვერ აკმაყოფილებს

კანონპროექტი დეოლოგარქიზაციის შესახებ, რომელიც საქართველოს პარლამენტმა განსახილველად მიიღო, კვლავ აქტუალურია და ის თავის მასშტაბებით საქართველოს ფარგლებს უკვე გასცდა.

საზოგადოების დიდ ნაწილი ამ საკანონმდებლო ინიციატივას გარე ძალების მიერ ბიძინა ივანიშვილის დასასჯელად შემოგდებულ ნაღმად მიიჩნევს, რომელიც ისედაც ერთმანეთთან დაპირისპირებულ საზოგადოებაში ყოველ წამს შეიძლება აფეთქდეს.

2007 წლიდან საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრი ადვოკატი ვარ და არაერთი გახმაურებული სასამართლო დავის მონაწილეც ვყოფილვარ. ამ წლების განმავლობაში ბევრი თეორია და პრაქტიკული ხერხი ავითვისე, რომლებიც საკითხის სწორი გადაწყვეტისათვის ძალიან მნიშვნელოვანია. ამ ახალი საკანონმდებლო ინიციატივაში საზოგადოების დიდი ნაწილია ჩართული, მედიასაშუალებებიდან ლამის ყოველდღე გვესმის უამრავი პოლიტიკური შეფასება. მიმაჩნია, რომ კანონის განმარტებისას პირველი სიტყვა იურისტს უნდა ეკუთვნოდეს. ჩემდა სამწუხაროდ, ჯერჯერობით კანონპრეოქტთან დაკავშირებული ფუნდამენტური შეფასებები პროფესიონალი სამართალმცოდნეებისგან (არ ვგულისხმობ პარლამენტარებს, რადგან მათი განმარტებებები უმეტესწილად მაინც პოლიტიკურია) არ მომისმენია.

იურისპრუდენციაში არსებობს ასეთი ტერმინი — კანონის განმარტება, ამიტომ კიდევ ერთხელ გადავხედე ცნობილი პროფესორის, ბატონი გიორგი ხუბუას იურიდიულ ნაშრომს „სამართლის თეორია“, სადაც გარკევით წერია, რომ ყველა კანონს აქვს მიზანი და ის ორიენტირებული უნდა იყოს შედეგზე. აქედან გამომდინარე, მოდით, მიყვეთ თავად ამ კანონონპროექტს და მე, როგორც მოქმედი იურისტი შევეცდები, ჩემი აზრით მნიშვნელოვან ასპექტებზე გავამახვილო ყურადღება.

დეოლიგარქიცაზიის შესახებ კანონპროექტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, ტერმინი ოლიგარქი საკმაოდ საინტერესოდ არის განმარტებული. კერძოდ:

**მუხლი 3**. საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური წონის მქონე პირი (ოლიგარქი)

1. „ფიზიკური პირი, რომელიც შემდეგი კრიტერიუმებიდან სულ მცირე 3 მათგანს ერთდროულად აკმაყოფილებს, ამ კანონის მიზნებისათვის მიიჩნევა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ეკონომიკური და პოლიტიკური წონის მქონე პირად (ოლიგარქად)

**ა)** ის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობს;

**ბ)** ის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს;

**გ)** ის არის იმ მეწარმე იურიდიული პირის საბოლოო ბენეფიაციარი, რომელსაც ამ მუხლის ამოქმედების შემდეგ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ბაზარზე დომინანტური მდგომარეობა უკავია და რომელიც ამ მდგომარეობას 1 წლის განმავლობაში ინარჩუნებს ან აუმჯობესებს;

**დ)** მისი და იმ მეწარმე იურიდიული პირების აქტივების დადასტურებული ოდენობა, სადაც ის ბენეფიციარია, შესაბამისი წლის 1 იანვრის მდგომარეობით 1000000-ჯერ აღემატება შრომისუნარიანი პირებისთვის დადგენილ საარსებო მინიმუმს.

არსებული განმარტებების საფუძველზე უნდა დამთავრდეს ბიძინა ივანიშვილის ოლიგარქად წარმოჩენის ყოველგვარი მცდელობა.

მოდით, პუნქტობრივად განვიხილოთ:

**ა) ის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობს;**

ბიძინა ივანიშვილი აღარ მონაწილეობს პოლიტიკურ ცხოვრებაში, რაც მან საჯაროდ, ღიად არაერთგზის განაცხადა.

**ბ) ის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს;**

მოდით, წარმოვიდგინოთ, რომ ბ-ნი ბიძინა ივანიშვილი ახდენს მნიშვნელოვან გავლენას. ვისზე ახდენს, რომელ მედიასაშუალებებზე? რომლებიც მისი პიროვნების წინააღმდეგ ცრუ ინფორმაციის საზოგადოებისთვის წარმოჩენით არიან დაკავებული ყოველი დღე თუ ღამე, ცისფერი ეკრანებიდან ხან რა სტატუსს აკერებენ ამ ღირსეულ კაცს და ხან რას.

**გ) ის არის იმ მეწარმე იურიდიული პირის საბოლოო ბენეფიაციარი, რომელსაც ამ მუხლის ამოქმედების შემდეგ „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ბაზარზე დომინანტური მდგომარეობა უკავია და რომელიც ამ მდგომარეობას 1 წლის განმავლობაში ინარჩუნებს ან აუმჯობესებს.**

დომინანტური მდგომარეობა უკავია და რომელიც ამ მდგომარეობას 1 წლის განმავლობაში ინარჩუნებს ან აუმჯობესებს. ამით არის ყველაფერი ნათქვამი.

კანონს აქვს ასეთი თვისება, ის აწესებს სანქციას, მაგრამ სანქციამდე ის ამა თუ იმ ქმედებას ანიჭებს კვალიფიკაციასაც და პირს სჯის მხოლოდ მაშინ, თუ იგივე კანონი პირდაპირ მიუთითებს ამაზე.

უკრაინის მაგალითზე შემოთავაზებული ახალი საკანონმდებლო პროექტის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის ჩანაწერმა პირდაპირ მიუთითა, რომ ამ კანონში ჩამოთვლილი ყველა კრიტერიუმი ერთობლიობაში, კომბინაციაში უნდა იქნას განხილული და თუ ამ მუხლის მინიმუმ 3 პუნქტის ერთობლიობას არ დააკმაყოფილებს, მარტივად რომ ვთქვათ, პირი არ/ვერ დაისჯება. **იმპერატიული საკანონმდებლო ნორმის მოთხოვნის შესაბამისად, ბიძინა ივანიშვილი ვერ აკმაყოფილებს ოლიგარქის სტატუტს.**

ხშირ შემთხვევაში, საზოგადოებრივი ორგანიზაციები და მედიასაშუალებები ჩვეული დემაგოგიით საზოგადოებას არწმუნებენ და აპელირებენ მხოლოდ მათვის საჭირო საკითხებზე, ნიუანსებზე და ისიც დამხინჯებული ფორმატით. მიზანმიმართულად ყურადღებას არ აქცევენ კანონის სრულ კონტექსტს და ასეთი თამაშის წესებით მოსახლეობა შეჰყავთ შეცდომაში.

დასანანია, რომ ხშირად საქართველოში აკრედიტებული საერთაშორისო ორგანიზაციებიც სხვათა ფეხის ხმას აქტიურად აჰყვებიან ხოლმე და ერთიერთში იმეორებენ იმას, რასაც ოპოზიციური მედიასაშუალებები მიზანმიმართულად ახმოვანებენ.

ამ წერილით არ მსურს პოლიტიკურ წიაღსვლებში შესვლა, ეს პოლიტიკოსების საქმეა, მაგრამ დავძენ ერთს, კარგი იქნებოდა, თუ ისინი ამა თუ იმ კანონის მხარდაჭერის დროს პრაქტიკოსი იურისტების აზრსაც მოისმენენ, რადგან ცნობილია, რომ სიტყვა საქმის გარეშე მკვდარია!

პარლამენტის მიერ დეოლიგარქიზაციის შესახებ კანონის განმარტებითი ბარათიდან ირკვევა, რომ პარლამენტის იურიდიულ კომიტეტში ევროკომისიის რეკომენდაციით შექმნილია სამუშაო ჯგუფი, რომელსაც კონკრეტულად დავალებული აქვს 12-პუნქტიანი გეგმის შემუშავება. აღნიშნული კონკრეტული საკანონმდებლო პროექტი წარმოდგენილია უკრაინის ქვეყნის მაგალითზე.



ვიმედოვნებ, წერილს გამოუჩნდება ოპონენტებიც, ისინი თავისებურად წარმოაჩენენ ამ კანონპროექტის სხვადასხვა მხარეს. მე მხოლოდ მის ერთ მონაკვეთს შევეხე და შინაარსობრივად მასზე გავამახვილე თქვენი ყურადღება. ყველა მოსაზრებას აქვს არსებობის უფლება, მით უფრო, როდესაც ის სწორ არგუმენტებზეა აგებული. ჩემი, როგორც იურისტის შეფასება ამ შემთხვევაში ასეთია: **‚ამ კანონის ჩანაწერიდან და იმ ფაქტობრივი გარემოებების გათვალისწინებით, რომ ბიძინა ივანიშვილი არ იკავებს არანაირ პოლიტიკურ თანამდებობას, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებზე მნიშვნელოვან გავლენას არ ახდენს, არ ფლობს დომინანტურ მდგომარეობას და არ ერევა პოლიტიკურ ცხოვრებაში, როგორც იურისტები ვამბობთ ხოლმე, სრულიად საკმარისია კვალიფიკაციისათვის და იმის დასტურად, რომ კანონი დეოლიგარქიზაციის შესახებ ბიძინა ივანიშვილს არ ეხება და არც მეცენატობა არის დასჯადი!**

**ლევან ჭიღლაძე**



# კაცი, რომელიც უპატრონოდ დარჩენილ ქვეყანას პატრონობს

**ის არასოდეს გამოჩენილა ტრიბუნაზე, არასოდეს გამოსულა ტელევიზიით, არასოდეს ულაპარაკია თავის თავზე, არასოდეს მოუწონებია თავი მის მიერ გაკეთებული უამრავი კეთილი საქმით...**

**მას ხალხი შემთხვევით გადაღებული რამდენიმე ფოტოთი იცნობს, რომლებიც ათასში ერთხელ თუ იბეჭდება ჟურნალ-გაზეთების ფურცლებზე.**

**ის არ არის ე. წ. ცნობადი სახე, რომელსაც დიდიან-პატარიანად ყველა ცნობს.**

**ის არ არის ცნობადი სახე, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში არ არსებობს ეროვნული მნიშვნელობის საქმე, რომლისთვისაც ამ კაცს ხელი არ შეეშველებინოს.**

**სამაგიეროდ, ცნობადი სახეები არიან ადამიანები, რომლებსაც ორი საბანი და ერთი ყუთი კოკა-კოლა მიაქვთ გაჭირვებული ოჯახისთვის, უკან კი ორი ვიდეოკამერა მისდევთ, რომ ამ ქველმოქმედების ფაქტი დაფიქსირდეს და ისტორიას სამუდამოდ შემორჩეს.**

**ორ საბანს კიდევ არა უშავს, მაგრამ საქართველოში ცნობადი სახეები ხდებიან ცარიელი დაპირებებითაც, რომლებსაც აღსრულება არასოდეს უწერიათ.**

**მათი ხელობა ადამიანების ფუჭი იმედითა და ფუჭი სიტყვებით ცდუნებაა.**

**— გვიშველე, გვიხსენი! შენ ხარ გმირი! გაგვიძეხი წინ, საქართველოს შენი იმედი აქვს! — შეჰღაღადებენ ადამიანები სიტყვით მაცდუნებელ ფარისევლებს და ისინიც პირდებიან... პირდებიან...**

**ისინი პირდებიან, ეს კი ფარისევლების იმედად დარჩენილი ქვეყნისათვის ჩუმად, უხმაუროდ აკეთებს კონკრეტულ საქმეებს.**

**სხვები ხმაურობენ, სხვები დაფნის გვირგვინებს ითხოვენ, ეს კი სულ იმას ცდილობს, ჩრდილში იდგეს, უხილავი დაუჩინარი იყოს...**

**ამპარტავანთათვის და სახელის მაძიებელთათვის გაუგებარი ფილოსოფიით ცხოვრობს იგი, რაც ბევრს აღიზიანებს კიდეც, რადგან ამ ანგარიშიან დროში, სადაც სიკეთე და ქველმოქმედება პიარის საგნად ქცეულა, ამ ფილოსოფიის არსი უცხოა და უჩვეულო.**

**ანგარებიანი ქველმოქმედება, ქრთამად გაცემული სიკეთე, ბოროტებაზე უარესი ბოროტებაა, რომელიც ადამიანებს რყვნის.**

**ერთ კაცს ვიცნობდი — ყოველ გაზაფხულზე და შემოდგომაზე ტყეში მიდიოდა და სხვადასხვა ჯიშის ხეხილს ამყნობდა — წლების შემდეგ აქ მგზავრი რომ გამოივლის და ამ ატმითა და ვაშლით პირს რომ გაისველებს, ამას რა სჯობიაო, — ეუბნებოდა იგი თავის მეზობლებს, რომლებიც ამ საქციელს ახირებად უთვლიდნენ.**

**სიკეთე ის არის, რაც იმ მგზავრისთვის კეთდება, რომელმაც საუკუნეების შემდეგ უნდა გამოიაროს იქ, სადაც ოდესღაც შენ იდექი.**

**ვალმოხდილი და ბედნიერია ის, ვის სახელზეც ელვარე ბროწეული დარჩა, დარჩა წყარო, დარჩა გზა, დარჩა ეკლესია, დარჩა სამყარო მომავლიდან მომავალი მგზავრებისთვის.**

**ქიშპით, ანგარებით, მტრობითა და სიძულვილით გაჟღენთილ ამ დროში ეს ადამიანი არა მარტო თავისი გულუხვი ქველმოქმედებით მაოცებს, არამედ მაოცებს თავისი თავმდაბლობით, თავისი ცხოვრების წესით, სამშობლოსადმი ისეთი უსიტყვო სიყვარულით, უსიტყვო ლოცვას რომ ჰგავს...**

**ვამთავრებ ამ წერილს და ამ კაცის სახელი და გვარი არ მითქვამს და ეს არც არის საჭირო — დავარქვათ მას, უბრალოდ, კაცი, რომელიც უპატრონოდ დარჩენილ ქვეყანას პატრონობს...**

ვახტანგ ხარჩილავა, 2011 წელი

# თუ რუსეთი ტაქტიკურ ბირთვულ იარაღს გამოიყენებს, მიგრაციის პროცესი კატასტროფული შედეგების მომტანი იქნება



*გვესაუბრება ანალიტიკოსი ვაჟა ბერიძე:*

**— ბატონო ვაჟა, ბოლო დროს მიგრაციის ნაკადი გაიზარდა. რამდენად აქვს ჩვენს ქვეყანას რესურსი ამდენი ადამიანის მიღებისა და მათი მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად?**

— თუ ჩვენ სახელმწიფო ვართ, მაშინ დროის მოტანილ ყველა გამოწვევას უნდა გავუმკლავდეთ.. შესაძლოა, ისეთი პრობლემების წინაშეც აღმოვჩნდეთ, რასაც 20-30 წლის წინათ ვერც კი ვიფიქრებდით. გამორიცხული არაა, დამოუკიდებლობის პერიოდში, 21-ე საუკუნეში ატომური აპოკალიფსის მომსწრე გავხდეთ, რისთვისაც მზად უნდა ვიყოთ. რაც შეეხება მიგრაციულ პროცესებს, ეს კაცობრიობისთვის დამახასიათებელია. ამიტომ გარკვეული მიდგომა, პოზიციის დაფიქსირებაა საჭირო. შევხედოთ, როგორი დამოკიდებულებაა მიგრაციული პროცესების მიმართ ევროპაში. ადამიანების, კაპიტალების თავისუფალი გადაადგილება დემოკრატიულ სამყაროში მთავარი პირობა და ლოზუნგი იყო. რეალურად, როცა სირიაში ასეთი მასშტაბური კონფლიქტი დაფიქსირდა და ლტოლვილები ევროპას მიაწყდნენ, ისინი არ შეუშვეს, უფრო სწორად, მცირე რაოდენობით მიიღეს და ძირითადი ნაკადი თურქეთისკენ დაიძრა. დიახ, თურქეთს დღეს 3 მილიონი სირიელი დევნილი ჰყავს. იქ სპეციალური ბანაკიც არსებობს და რამდენიმე მილიარდ ევროს ევროკავშირი იხდის, რათა სოციალური პრობლემები მოაგვარონ. როცა უკრაინაში ომი დაიწყო, დევნილებს, ფაქტობრივად, ბარიერის გარეშე გაუღეს კარი. ადგილნაცვალი დევნილები, დაახლოებით, 15 მილიონის ფარგლებშია, მათ შორის, რამდენიმე მილიონი პოლონეთში გადავიდა. აშშ-იც მზად არის უკრაინელი დევნილები მიიღოს. ლტოლვილები საქართველომაც მიიღო, სახელმწიფომ მათ მისაღებად გარკვეული ვალდებულებები, ხარჯები იკისრა. გარდა ამისა, რუსეთიდან შემოვიდა კიდევ ერთი ნაკადი — ადამიანები, რომელთაც ომში წასვლა არ უნდათ. ჩვენ არანაირი უფლება არ გვაქვს, მათ ბარიერი დავუწესოთ და შემოსვლა ავუკრძალოთ. თუ რუსეთი თავად დაკეტავს საზღვარს, ეს სხვა თემაა. ჩვენ ეს ხალხი უნდა მივიღოთ და განვსაზღვროთ, რატომ, რა დროით მოდიან, ჩვენს ქვეყანას სატრანზიტოდ იყენებენ თუ აქ დამკვიდრებას ცდილობენ და ა.შ. ჩვენ დამოუკიდებლობა იმისთვის არ გვინდა, რომ დროშები ვაფრიალოთ, ატრიბუტებით დავტკბეთ. დამოუკიდებელი არსებობა არის ინსტრუმენტი, რათა დიდი ქვეყნებიდან კარნახის გარეშე, ყველა პრობლემას გაუმკლავდე. კარგად უნდა შეფასდეს — რუსეთიდან შემოსული არცთუ მცირე ნაკადიზემოქმედებს თუ არა რაიმე თვალსაზრისით ჩვენს ეროვნულ უსაფრთხოებაზე. მთავრობა, არასამთავრობოები, საზოგადოება უნდა დააკვირდეს, რა საფრთხეები მოდის დიდი რაოდენობით ქვეყანაში მათი შემოსვლით. სხვათა შორის, ის დიდი ნაკადი, რაც ომის დაწყების პირველ პერიოდში საქართველოს მოაწყდა, შენელდა. როცა საფრთხეები ჩამოყალიბდება, მთავრობამ ამის მერე უნდა იმოქმედოს. თუ ეს ნაკადი ომს გამოექცა და საკუთარი მთავრობის მიერ დევნილები არიან, მათ შესაბამისი პირობები უნდა შევთავაზოთ. თუნდაც კარვები, როგორც ეს თურქეთშია სირიის მოქალაქეებისთვის. მოსახლეობის გარკვეულ ნაწილს ეს მიგრაცია აწყობს, რომ ბინა ძვირად გააქირავოს, მაგრამ ეს პრობლემა გახდა ჩვენი სტუდენტებისთვის, რომლებიც ბინებს ვეღარ ქირაობენ. ეს ეროვნული პრობლემაა. ჩვენ კამპუსების მშენებლობა არ შეგვიძლია — რაღაც გზა უნდა მოიძებნოს, რომ სტუდენტმა ისწავლოს. ამ საკითხისადმი დაბალანსებული მიდგომაა საჭირო. საყურადღებოა, რომ უძრავ ქონებაზე მოთხოვნაც გაიზარდა და ფასებიც. თუმცა, ეს ტენდენცია ადრეც იყო. მეორე მხრივ, ეკონომიკურ ზრდასთან, ვალუტის კურსთან მიმართებაში, ამ ნაკადის შემოსვლა ხელისშემწყობი, დადებითი მოვლენა მგონია. თუმცა, „ეროვნული ბანკის“ პრეზიდენტმა განაცხადა: გარკვეული სხვაობა პოტენციურ სავარაუდო ზრდასა და რეალურ ზრდას შორის ინფლაციაზე ზემოქმედების ზრდას იწვევს. შედეგად, ინფლაცია არ მცირდება იმ ტემპით, როგორითაც სასურველიაო. ამ პროცესში შემაშფოთებელს ვერაფერს ვხედავ. გაცილებით მაშფოთებს ტაქტიკური ბირთვული იარაღის გამოყენების საკითხი. ასეთ შემთხვევაში მიგრაციის პროცესი კატასტროფული შედეგების მომტანი იქნება. სხვა მიგრაციას რაც შეეხება, ეს მოძრაობა უძველეს დროშიც იყო. ასეთი პროცესები გარდაუვალია, ოღონდ, სუვერენულმა სახელმწიფოებმა აქედან მომავალი ნეგატიური ტენდენციების, შედეგების მინიმიზება და თავიდან აცილება უნდა შეძლონ.

**— იმ ფონზე, რომ პარალელურად ჩვეული მიგრაციის პროცესიც გრძელდება, რამდენად შევძლებთ, ვარჩინოთ და დავაბინავოთ შემოსული ადამიანები ისე, რომ საქართველოს მოსახლეობის სოციალურ გარემოზე ამ ყველაფერმა გავლენა არ იქონიოს?**

— ეს ყველაფერი გასათვლელია — თუ რა პრობლემებს შეუქმნის ქვეყანას ეს მიგრაცია როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური თვალსაზრისით. პოზიტიური და ნეგატიური უნდა დაბალანსდეს და ეროვნული უსაფრთხოების პრიზმაში იქნას აღქმული. წინააღმდეგი ვარ, რუსეთიდან შემოსული მიგრანტებისთვის საზღვარი ხელაღებით ჩავკეტოთ. კატაკლიზმებისგან, საფრთხეებისგან დაზღვეული არავინ არის, ამ ხალხს ხელს ვერ ვკრავთ. ომს გამოქცეულები შემოვლენ საქართველოში თუ აქ ეკონომიკური საქმიანობის გაგრძელების მსურველნი, ამაში დიდ საფრთხეს ვერ ვხედავ. თუმცა, რა თქმა უნდა, რუსული სპეცსამსახურები ყველაფერს წინასწარ გათვლიან და ისინი ამ ხალხს შემოაყოლებენ თავიანთ აგენტურას, რათა სამომავლოდ, თუ მიგრანტთა რაოდენობა გარკვეულ ნიშნულს გადასცდა, ეს ადამიანები რუსული გავლენების გასაძლიერებლად გამოიყენონ. ჩვენ ასეთ გავლენებს მზად უნდა დავხვდეთ.

**— ბატონო ვაჟა, რუსული ბაზრის წილი საქართველოში 50%-ით გაიზარდა. ეს საფრთხის შემცველია?**

— საერთოდ, იმ ქვეყანაში, რომელიც გარკვეული თვალსაზრისით იმპორტზეა დამოკიდებული, ყველაფერი საფრთხის შემცველია. როდესაც მსოფლიო დალაგებულია, მასშტაბური კონფლიქტები არ ხდება, მაშინ შეიძლება ღია ბაზრის თავისუფალი კონკურენციის პირობებში კერძო ბიზნესი ორიენტირებული იყოს იაფი პროდუქციის შემოტანაზე და ეს ოსტატურად რეგულირდებოდეს. რუსეთიდან პროდუქციის შემოტანა ყოველთვის საფრთხის მატარებელია. თუმცა, როცა საბაზრო პოლიტიკის თვალსაზრისით, რუსული ხორბლის შემოტანა, აშკარად, მომგებიანია, მთავრობამ თავი არ უნდა გაიგიჟოს: აშშ-დან შემოვიტან უფრო ძვირიან და უარესი მონაცემების მქონე ხორბალსო. თუ ორი თანაბარი ღირსებების მქონე პროდუქციასთან გვაქვს საქმე, უპირატესობა აშშ-დან იმპორტს უნდა მივანიჭოთ, ასევე, ენერგომატარებლებს და სხვა. ამ ყველაფრის დარეგულირება ისეთ პირობებში, როცა შუაგულ ევროპაში სრულმასშტაბიანი ომი მიდის, ცოტა ძნელია. ამიტომ, ახლა ზოგადეკონომიკური პრინციპებით ამ ყველაფერზე შეხება სწორი არ იქნებოდა.

**— წინა კვირას ალიევი გვესტუმრა. როგორ შეაფასებთ მის ვიზიტს?**

— გაჟღერდა ინფორმაცია, რომ აზერბაიჯანული ენერგომატარებლების ევროპისკენ მიწოდება იზრდება. ასევე, უკრაინიდან მომავალი რესურსების გარკვეული ნაწილიც, სავარაუდოდ, აზერბაიჯანს, საქართველოს, თურქეთს გაივლის. ზანგეზურის კორიდორის ამოქმედებამდე შორია. რა მოხდება, საერთოდ, ამ ურთიერთობების დარეგულირების თვალსაზრისით, არ ვიცით, მაგრამ სომხეთ-აზერბაიჯანის მარადიულ კონფლიქტზე ჩვენი რეგიონული უსაფრთხოების პოლიტიკა არ უნდა ავაგოთ. ჩვენ მშვიდობის ფაქტორი უნდა ვიყოთ. აქედან გამომდინარე, შევნიშნავ: ამ დერეფნის გახსნას გარკვეული დრო დასჭირდება. ასევე, გაიჟღერა ინფორმაციამ, რომ საქართველოსა და რუმინეთის გავლით შეიძლება ენერგომატარებლები უნგრეთს მიეწოდოს. ამ კონტექსტში საინტერესოა, რომ ამ პერიოდში ღარიბაშვილი უნგრეთში იმყოფებოდა და მის პრეზიდენტს, ვიქტორ ორბანს შეხვდა. აი, ასეთი პროცესების მომსწრე ვართ. იმის თქმა, რუსეთიდან პროდუქციას არ შემოვიტანთ, ჯერჯერობით, ჩვენ ამის ფუფუნება არ გვაქვს. ასეთი



რთული ვითარების ფონზე, ჩვენი ოპოზიცია მოითხოვს, რომ სანქციებს შევუერთდეთ. ჩვენ არ შევუერთდით სანქციების დაწესებას რუსეთისადმი, რადგან ეს რუსეთისთვის კი არა, არამედ საქართველოსთვის იქნებოდა დამაზიანებელი. ამიტომ, ეს დაპირისპირება ბაზრის მოცულობებთან დაკავშირებით, ამ ეტაპზე არც მიზანშეწონილად მიმაჩნია და არც ქვეყნისთვის სახიფათოდ.

**— ბატონო ვაჟა, ევროკავშირში შესვლა რამდენად არის ჩვენი ქვეყნის განვითარების გზა?**

— ზოგადად, ევროკავშირი ჩვენი ცივილიზაციური არჩევანია. საბოლოო ჯამში, ყველაფერი საქართველოს მოსახლეობის გადასაწყვეტია, მათ შორის, ჩვენი სტრატეგიული კურსის მიმართულების შინაარსიც. მანამდე იმ ლოგიკას უნდა მივყვეთ, რითაც აქამდე მივდიოდით. **თუ ჩვენს სუვერენიტეტს შეეხებიან, დავკარგავთ თავისთავადობას და ვილაცის ნების მექანიკური აღსრულებლები ვიქნებით, ასეთ ევროკავშირში ყოფნას აზრი არ აქვს.** თუმცა, ჯერჯერობით, რეალური ალტერნატივაც არ ჩანს. შანხაის ჯგუფში და ბრიქსში ვერც შევალთ და არც არავინ მიგვიღებს. ამიტომ ცივილიზაციური არჩევანი, ჩვენი ტრადიციების შენარჩუნების ამოცანიდან ამოსვლით და სუვერენიტეტის შეუბღალავად, დინჯად უნდა გავაკეთოთ. ეს რთული გზა იქნება.

ხშირია საუბრები ნეიტრალიტეტზე. ეს ნიშნავს ღია ოკეანეში თავისუფალ ცურვაში პატარა გემის შესვლას, რომელსაც უამრავი ქარტეხილი და ქარაშოტი ემუქრება. ნეიტრალიტეტი კარგია. მაგალითად, კოსტა-რიკას საერთოდ, სამხედრო ხარჯები არ აქვს, რადგან ჯარი არ ჰყავს. ჩვენ სხვა რეალობაში ვარსებობთ. გავიხსენოთ, რა თქვა მაკრონმა — კავკასია სხვა გეოგრაფიააო. ამიტომ, კიდევ ერთხელ მიგვატოვებენ?! ეს გასარკვევია. ახლა გვაძალებენ: გინდათ თუ არა, „ნაციონალები“ აირჩიეთო. ქართველ ხალხს არ უნდა ნაცების ხელისუფლებაში დაბრუნება.

ამ ეტაპზე ჩვენ ევროპისკენ მივდივართ. გვიშლის ხელს რამე? — კელი დეგნანი?! — არ მგონია, ამ შემთხვევაში ამერიკის ელჩი „კაუზა ვიტა“ იყოს. გაცილებით სერიოზული გარემოებებიც არსებობს. **ამ საკითხზე ქვეყნის პატრიოტებმა, ბიძინა ივანიშვილის ჩათვლით, რომელიც, მიმაჩნია, სამშობლოს მოამაგე, მოკეთე და უპირველესი გულშემატკივარია, უნდა იფიქრონ. არ შეიძლება მე ვარ და ჩემი ნაბადის პოლიტიკა ვაწარმოოთ და სისხლით მოპოვებული თავისუფლება და დამოუკიდებლობა დავკარგოთ.** პატარა ქვეყანა ვართ და აბსოლუტური დამოუკიდებლობა ვერ გვექნება. აშშ-შიც კი არის სისტემის კრიზისი. მოკავშირეების გარეშე პატარა ქვეყანა ვერ იარსებებს. ვინ არის ამ ეტაპზე ჩვენი მოკავშირე? — სამწუხაროდ, რუსეთი მტრად მოგვეკიდა, აშშ-ში დემოკრატიის კუთხით სერიოზული კრიზისია, ევროკავშირმა 12-პუნქტიანი დავალება შემოგვაჩეჩა. ტრამპის და „რესპუბლიკელების“ ომიც გლობალურ კატაკლიზმებში გადაიზარდა. საინტერესო პროცესები ვითარდება, თუმცა ამაზე მსჯელობას ჩვენს ტელევიზიებში ვერ მოისმენთ. საოცარი ამბები ხდება. აგრესიული კონსერვატორის, ბორის ჯონსონისა და ლიზ ტრასის მერე, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის პოსტს ინდოელი მილიონერი რიში სუნაკი იკავებს. იგი 200 მილიონი გირვანქა სტერლინგის მფლობელია, რომელსაც მილიარდერი სიმამრი ჰყავს. რა საოცარია არა, საუბარია ბრიტანეთზე, სადაც საუკუნის განმავლობაში პრემიერ-მინისტრი მხოლოდ ერთი ებრაელი და რამდენიმე შოტლანდიელი იყო. ახლა ისეთი კაცი მოვიდა, რომლის სახელი და გვარი ბაიდენმა ვერ დაისწავლა. ეს გლობალური საკითხია. ისეთი დროა, სამყარო იცვლება და მას მიყოლა სჭირდება. აი, ასეთი ვითარებაა.

**თამარ შველიძე**

# დასაბოლებელი კიდევ ბევრია



ოფიციალურად არავინ ამბობს, უფრო ზუსტად, ვერავინ ბედავს თქვას, რომ საქართველო, მრავალი წელია, ყრუ გაუგებრობაშია მოხვედრილი, მაგრამ, სამაგიეროდ, ხალხი ამბობს.

მრავალი წელია, რაღაც გაურკვეველი ცივილიზაციისკენ მივდივართ, რაღაც ღირებულებებისკენ, რასაც „შინ, ევროპისკენ!“ ლოზუნგიც მოუგონეს. ხან მაპ-ს გვაძლევენ, ხან დოლ-გარმონის ფონზე „შალახოს“ ვუვლით, ხან რაღაც სტატუსს, ხან სამში ყველაზე გრძელ რეზოლუციას ვაწერთ ხელს, მაგრამ რეალურად, ამოხსნილ გამოცანად ვიქეცით „მიდის, მოდის იქავე დგას. რა არის? კარები.“ კარები კი არა, საქართველოა პოლიტიკურ ველზე. საქმე ის გვახლავთ, რომ ვერაფრით დაემთხვა საქართველოსა და ყველა სხვა დანარჩენის ოცნება-სურვილები ერთმანეთს. ვითომ ერთი-ერთზეა, მაგრამ, ნურას უკაცრავად, კაბის კალთაზეც ვერ გამოვბმივართ „დეიდა ნატოს“, ან შარვლის ტოტზე — „მამა ევროპას“. იქით აგრესიული „უფროსი ძმა“ გვყავს მოდარაჯედ, მხოლოდ მართლმადიდებლობა რომ გვაკავშირებდა „დედმამიშვილობაში,“ ეს ჩემი „პატარა“ არ გამირყვნანო და ვართ ასე ლურჯწვერას კოშკში დამწყვდეული მზეთუნახავივით, მხსნელი ულისწული/რაინდი კი არა და არ ჩანს, ვერ შობა ჯერ დედა-საქართველომ. ახლა საიდანღაც გაბოროტებული „ნახევარძმაც“ ამოიწვერა, დეიდის მხრიდან მოყოლილი უკანონო შვილი თუ დეიდისა და მამის სისხლის აღრევის გზით შობილი და გვარყევენ სასურველი სიხშირითა და სიმძლავრით.

„არასოდეს იომოთ საქართველოსთან, ამით თქვენ შეებრძოლებით დედას ღვთისას,… რაც დაღუპავს რუსეთს...

დედამიწაზე ღვთისმშობლის პირველი წილხვედრია საქართველო — ივერია, მეორე — ათონის მთა, მესამე — კიევო-პეჩორის ლავრა და მეოთხე — დივეევო.“ ეს სერაფიმე საროველის სიტყვებია.

ქუთაისელი ავტოინსპექტორისა არ იყოს: „ვერ გევიგე, „ოპელი?“

არა მხოლოდ რუსეთის, არც ერთი ხელისუფალი რომ არავის შეგონებას არ უსმენს, მით უმეტეს, წმინდა მამების შეგონებებს, ახალი ამბავი არ არის. თუმცა, თუ გავიხსენებთ რუსეთის სამხედრო ქმედებას სირიის ტერიტორიაზე თურქების მიმართ, ერთი ხილული უცნაურობა უნდა აღინიშნოს — ერთი პილოტის მოკვლის გამო საომარი განგაში იყო გამოცხადებული რუსეთსა და თურქეთს შორის. 2008 წელს კი, როცა სამაჩაბლოში უწყინარი მშვიდობისმყოფელები (თუ არ ვცდები, 13 ადამიანზეა საუბარი) შეეწირნენ სააკაშვილის ხელისუფლების მიერ სამაჩაბლოში ე.წ. კონსტიტუციური წესრიგის აღდგენას და ჩამოგდებული თვითმფრინავის პილოტების ცხედრებს უდიერად ეპყრობოდნენ, მაშინ არ გადარეულა რუსეთი. თბილისს კი არა, მთელ საქართველოს თავზე უშხუილებდა და ასეთი ამბები არ დაუწევია, მხოლოდ ის წერტილები ჰქონდა მიზანში, რაც აშშ-ის სამხედრო ბაზებად მოიაზრებოდა. იქნებ, ამ ხელისუფალს მაინც აქვს მცირეოდენი რწმენა თუნდაც მხოლოდ სერაფიმ საროველისა, რომლის სახელობის დედათა მონასტერი ბორჯომში გვაქვს და ზუსტი ასლია საროვის მონასტრისა? რა ვიცი, გენაცვალეთ, ყველა ისე მოგვდგა, პირდაპირ თუ ირიბად, ლამის ერეკლე II-ის გამოუვალ მდგომარეობაში ხელმეორედ შევიდეთ უშიშარ-რეალისტი ხალხი, ჩვენივე ქართველებისგან „ღრუზინებად“ სახელდებულები...

ჩვენ კი მივდივართ ღლონტის ღორივით გეზაღებულები სადღაც, მაგრამ სადაც არ უნდიხარ და თან ზუსტად არც იცი, სად მიდიხარ და რატომ, ნეტავ, ტყუილად რას ვპაკიპუკობთ, ყველანი ერთმანეთს ვაბოლებთ?

ყველანაირ გაურკვევლობაში ჩვენ ვართ და ახლა გეოპოლიტიკური გაუგებრობაც გვაკლია, რასაც წამიერად „გაგვიჩალიჩებენ“ და ვიყოთ მერე თვალცრემლიანები, „კაკები“ გვინდოდა, „ქაქები“ კი არაო...

არ შეგიყვანმა რუსეთმა „მტრული ქვეყნების სიაში“, არ შეგიყვანა „დასაბომბი ქვეყნების სიაში“, მაგრამ გიციცქვირებს, აბა, რას იზამს ეს კუდრაჭაო და ვიღაცების მოსმენისა და ნაკარნახავის შესრულების მოცემულობა გაქვს, როცა, მაგალითად, გიდევს ბოლოდროინდელი 2008 წელი?

დამთავრდა „მთვრალი რუსეთი“ და ხელში შეგვრჩა „მძიმე პახმელიაზე“ მყოფი რუსეთი, რომელსაც სიმთვრალეც და სიფხიზლეც პათოლოგიური აქვს, ტიპია ასეთი. რა ვქნათ ახლა, მაინცდამაინც მოვეკვლევინოთ თუ — რა... ღია აგრესიაზე გადასული არ ეპუება არაფერს, როგორც საჭიროდ თვლის, ისე მანიპულირებს. ფეხზე ჰკიდია ცოცხალი ძალის დანაკარგიც და „რკინა ძალაც“ უშურველად იხარჯება საკუთარი საზღვრების მოსანიშნად და ისე მიჰყავს საქმე, რომ ყველას ვნებს, ვინც ოდნავ მაინც გაფაჩუნდება. კოლექტიური დასავლეთისგან მხოლოდ შეშფოთება-აღშფოთების მაგალითი გვქონდა აქამდე და ვისაც მეტი მხარდაჭერის მოლოდინი აქვს, გული ერჩის და თავიც მოსძულებია, აგერ არის უკრაინაც, რუსეთიც, აშშ-იც, ევროპაც, ბომბებიც და ბირთვული იარაღიც, ღვთისმშობლის წილხვედრიდან მოშორებით იომოს ნებისმიერი ქვეყნის დასაცავად!..

ვინმე თუ დაკვირვებია, რომ რუსეთი დიდად აღარ იწუხებს თავს, სად და რაზე მოაწერს საქართველო ხელს, უბრალოდ, თვალ-ყურს ადევნებს და ულვაშებში ელიმება, მიდით, აბა, ვნახოთ, რა ვაჟკაცები ხართ, აღასრულეთ, რასაც ჯლაბნითო. ჩვენ და ისინი კი დაუსრულებლად დავდივართ ერთმანეთთან სტუმრად, ხელს ვაწერთ რაღაც დოკუმენტებზე, რაც მხოლოდ უძლური ფარატინა ფურცლებია.

დაუსრულებელი ხომ არაფერია, ყველაფერს აქვს დასაწყისი და დასასრული და ვართ ასე, თითქოს ყველა ერთად ველოდებით, როდის გადავიღლებით ყველანი უამრავი საშინაო დავალების შესრულებითა თუ მიცემით რაღაცის მოლოდინში და ვატყობ, ლოგიკურ დასასრულამდე მივალთ. კარგად რომ ჩაუღრმავდეს კაცი, ისე ჩანს, თითქოს რუსეთს უნდა ეხეირებოდეს კიდეც კოლექტიური დასავლეთის გადაღლა, რადგან დასავლეთი თვითონვე მოახდენს საკუთარი თავის დისკრედიტაციას და მთავრობები თუ არა, ხალხი მოვა აზრზე და სისხლით თუ უსისხლოდ, საკუთარ ხელისუფლებასაც მოიყვანს აზრზე.

30 წელი მაინც არის, რაც სხვისი მოღრიტინე გახდა საქართველოს ყველა ხელისუფალი, დავდივართ ოლია მათხოვარივით „ფუჩეჩი, ფუჩეჩის“ ბუტბუტით. ჰოდა, ვიღებთ კიდეც ფუჩეჩს — სერიოზული პოლიტიკური გადაწყვეტილებები და სიტყვებით შეპირებული ისეა ერთმანეთისგან დაშორებული, როგორც ცა და დედამიწა. ჰოდა, ვართ ასე მარადიული მათხოვრობისთვის განწირული საქართველო, შეშინებული ბაჭიასავით...

რაც ახლა აღმოსავლეთ ნახევარსფეროს ევროპულ ნაწილში ხდება, მხოლოდ იმაზე მიგვანიშნებს, რომ მათხოვრობის ნაცვლად თავიც უნდა გავანძრიოთ, ხელიც, ფეხიც, შევწყვიტოთ გაზეპირებული „ფუჩეჩის“ ბუტბუტი და მოშვებული სხეული რამენაირად ავითრიოთ, კმარა მათხოვრობა!

გავეშებული რუსული დათვი აშვებულია, ტორავს და გლეჯს, რაც წინ ეღობება თავის „პოსტსაბჭოთა ტყეში“. დამთავრდა იმ ტყეში ვინმეს ნეტარებაც და ნეტარებაზე ფიქრიც... როცა გაპეზანებულ ევროპასა და გრიზლი-აშშ-ს ვერაფერი დაუკლია მისთვის, დაგლახაკებულ ოლია მათხოვარს რისი იმედი აქვს, ნეტავ, იმ სარისა, ზედ რომ დაყრდნობია? — მოუტრიალდება ის დათვი და მოუძებნის იმ სარს ნამეტანი ცუდ ადგილს...

გასული საუკუნის 90-იან წლებში, როდესაც საქართველომ თვალები აუჟუჟუნა სანუკვარ „დასავლეთს“, მაშინ ის „დასავლეთი“ დასავლეთობდა, რუსეთი კი ერთი ძირგამომპალი ლოთბაზარა „პრასიტუტკა“ ქვეყანა იყო, მაგრამ პირდაპირ მაინც ვერ უდგებოდნენ ევროპელი კოპწიები და ახლა, როცა აზრზე მოვიდა და მოფერიანდა, ამ ყოვლად თავზეხელაღებულის შემბოჭველია ვინმე?

სოციალურ ქსელში მოკლე ალეგორიული „მულტიკ-როლიკი“ ტრიალებდა რუსული გახმოვანებით: მონადირე დათვის ბუნაგს გადააწყდება და არ მოასვენებს მძინარ დათვს, თოვლის გუნდების სროლით გამოაგდებს ბუნაგიდან, მაგრამ თოფი უმტყუნებს, დათვი გააუპატიურებს და ცოცხალს გაუშვებს. გამწარებული მონადირე სახლში გაიქცევა და ამჯერად ავტომატით მიუბრუნდება, დაცლის მთელ მჭიდს და ხარობს, ხომ ჩავცხრილეო, მაგრამ უცებ გვერდში დათვი ამოუდგება, ვიცოდი, მობრუნდებოდიო და იგივე განმეორდება. გამწარებული მონადირე ამჯერად ასაფეთქებელს მოიტანს და ბუნაგში შეუგდებს. აიწევა ჰაერში დათვის ბუნაგი, მაგრამ რად უნდა, ამოუდგება ისევ გვერდზე დათვი, შემოხვევს ხელს და კმაყოფილი ეუბნება: ვერ გავიგე, **МУЖИК, ТЫ ОХОТНИК ИЛИ ПИДОР@С** და აკანკალდება საწყალი მონადირე...

ახლა 2022 წელია და საქართველომ პრინციპული გადაწყვეტილება უნდა მიიღოს, ჩამოყალიბდეს, რა უნდა — მუდმივად არაფრისმომცემ დოკუმენტებზე ხელმოწერები და უშედეგო სტუმარ-მასპინძლობანას ფორმატი, თუ რაღაც აზრიანი და შედეგის მომცემი მოქმედება. შავ დღეში ვართ! კი არის ახლა გუგულივით კრემლი და ასეც იქნება, სანამ მისთვის „წითელ ხაზებს“ არ გადავკვეთავთ, მაგრამ ჩვენ როდემდე უნდა ვიყოთ ასე დაბოლილ პოზიციაზე, როცა მხოლოდ პოზა გვიჭირავს, თორემ რეალურად ვერ ვბოლდებით?

საქართველოს გეოწყობა ისეთია, გვინდა თუ არ გვინდა და უნდათ თუ არ უნდათ, ჩვენს ყველანაირ პარტნიორსა და მეზობელთან ღია კომუნიკაცია უნდა გვქონდეს. წარმოუდგენელია, სახელმწიფოები მკითხაობის დონეზე ასკვნიდნენ, ვის რა უნდა, ვინ ვისგან რას ითხოვს თუ მოითხოვს. ყველა ქვეყანას საკუთარი ინტერესი აქვს და ეს ინტერესები უნდა გაიცვალოს ერთმანეთში. „ამირან გულში მღეროდეს“, ასე ვერ გაგრძელდება, მის უკან ჩიხია — კიდევ ჩიხი და შლაგბაუმები გვეჭირვება თავისი მავთულხლართებიანად?

ამ პატივცემულ დასავლეთს, ჩვენს სტრატეგიულ პარტნიორებსა და ათასი ჯურის კეთილისმყოფელს ხომ შეიძლება დიპლომატიურ ენაზე კატეგორიულად მოვთხოვოთ პასუხი კითხვაზე: როდის დასრულდება ჩვენი მათთან ფორმალური ინტეგრაციის პროცესი; რომ ძალიან მოგვწყინდა ცრუ დაპირებები და გაურკვევლობაში ყოფნა; რომ არ გვესმის, რას გვიკრძალავენ და რატომ... ნამდვილად არ გვესმის, რადგან სიტყვითა და დოკუმენტებით არ გვიკრძალავენ რაღაცებს, მაგრამ „იმ რაღაცების“ ამკრძალავად დაქირავებული ინსტიტუტები ჰყავთ, მათ კი, თავის მხრივ, ისეთი დაქირავებული „მყვირალები“, გარკვეული ანაზღაურების ფასად იმ ქვაბშიც რომ სიხარულით მოისაქმებენ, საიდანაც იკვებებიან...

ყველანაირ ურთიერთობაში უპირველესია ორმხრივი სურვილი, რომ ერთმანეთს მეტად დაუხლოვდნენ, შემდეგ კი ერთმანეთის სურვილებისა თუ ოცნებების გათვალისწინებას მოსდევს გარკვეული დათმობები მანამდე გადაუჭრელ პრობლემადქცეულ საკითხებზე.

ფართო მასშტაბით რომ შევხედოთ, აშშ-მ და ევროპამ ძალზე აცდენილი სვლა გააკეთეს უკრაინაში რუსეთთან დაპირისპირებით, რადგან, ბირთვულ კონფლიქტში გადაზრდის შემთხვევაში, არც გამარჯვებული იქნება ვინმე და არც დამარცხებული, დედამიწაზე ერთიანად გაპარტახებული და სრულად მკვდარი ადგილები გაჩნდება მრავალწლიანი სიცარიელის გარანტიით, ხოლო ჩინეთი ორივესგან დარჩენილი ნაცარტუტასგან ბრინჯის სასუქს გამოიყვანს — ეს კი არც ერთს აწყობს და არც — მეორეს...

შავ დღეში ვართ-მეთქი! ერთ მხარეს მგელია, მეორე მხარეს — მგლისფერი ძაღლი, ჩვენ მათ შორის ვართ გალაჯული. ჩვენთვის რა მნიშვნელობა აქვს, რომელი დაგვკბენს, დაგვტკვირავს და შეგვჭამს? თუ რაო, ევროპულად შეჭმული ნეტარად გარდავიცვლებით როგორც ერი და რუსულად — ვაებით? რანაირად მოვახერხოთ, რომ ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნოდეს?

უდავოდ დიდი მადლობა ეკუთვნის საქართველოს დღევანდელ ხელისუფლებას, რომ სრულიად საქართველოს უკვე წესი არ აქვს აგებული, მაგრამ როდემდე უნდა ვისხდეთ საშინელების მოლოდინში, რა გახდა საქართველოსთვის ერთი გარანტირებული და პრინციპული კუდის მოქნევა?

**ზურაბ ოძხერელი**



# დასავლეთის მიერ მსოფლიოს დაპყრობის „მშვიდობიანი გეგმა“ და განათლების სისტემის დეგრადაცია

**2020 წლის დეკემბერში გაზეთში „საქართველო და მსოფლიო“ გამოქვეყნდა კურჩატოვის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის პრეზიდენტის, აკადემიკოს მიხაილ კოვალჩუკის ძალიან საინტერესო წერილი, სადაც იგი გასაგებად და მარტივად ხსნის სიონისტ მასონთა მიერ მსოფლიო მთავრობის ჩამოყალიბების მათეულ იდეას და ამ ხელისუფლების სათავეში ამერიკელების მოყვანის გულმოდგინე მცდელობას.**

**გთავაზობთ საბჭოთა და რუსი ფიზიკოსის, რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრის, კურჩატოვის სახელობის ფიზიკის ინსტიტუტის პრეზიდენტის, აკადემიკოს მიხეილ კოვალჩუკის გამოსვლას რუსეთის თავდაცვის სამინისტროში გამართულ ფორუმზე სახელწოდებით „ფსიქოლოგიური თავდაცვა. ბრძოლა ისტორიისათვის - ეს არის ბრძოლა მომავლისათვის“.**



„მშვენივრად გესმით, რომ ეკონომიკა ე.ი. პოლიტიკაც, ყოველთვის, ცივილიზაციის განვითარების დასაწყისიდანავე, ტექნოლოგიებით განისაზღვრებოდა. დღეს მეცნიერების დონე ისე ამაღლდა, რომ ჩვენ, ფაქტობრივად, ჩავერიეთ, ასე ვთქვათ, ღმერთის საქმეში. ჩვენ დღეს რეალურად ვცხოვრობთ ომის პირობებში. პირველ ეტაპს დავარქმევდი ომისწინა ჰიბრიდულ „ცივ“ ომს. **სამიზნეში იღებენ სახელმწიფოს, შემდეგ იწყება ამ სახელმწიფოს მაქსიმალურად დასუსტება. უტევენ ყველა სფეროს: განათლებას, კულტურას, ეკონომიკას, მეცნიერებას, თავდაცვას, უსაფრთხოებას - ყველაფერს. დღეს მიმდინარეობს ამ ომის მოსამზადებელი მეორე ეტაპი - ეს არის პირდაპირი დაპყრობა.**

დღეს ვითარება ასეთია: **კოლონიალიზმით დაპყრობა შეიცვალა ტექნოლოგიებით დაპყრობით.** უწინ ეს კეთდებოდა სამხედრო ძალით, დღეს კი ეს შესაძლებელია ტექნოლოგიებით. მოვიყვან მაგალითს: ინტერნეტი. **რა არის ინტერნეტი? - ეს არის ციფრული „გულაგი“ („გულაგი“- საბჭოთა პერიოდში შრომა-გასწორების ბანაკების სამმართველო) სუფთა სახით. ოღონდ, „გულაგისაგან“ განსხვავებით, სადაც დაპატიმრებულ ადამიანებს მავთულხლართებით შემოღობილ ტერიტორიაზე გამოამწყვდევდნენ ხოლმე, ინტერნეტის ამ ციფრულ გულაგში ადამიანები თვითონ მიდიან და იქ კომფორტულად ცხოვრობენ.**

**როდესაც ადამიანებს ეუბნებიან, რომ სწავლა საჭირო არ არის, რადგან ვიკიპედიაში ყველაფერი წერია და ინტერნეტში ყველაფერია, საზოგადოებას იმ ადამიანებისაგან აშენებენ, რომლებსაც ჩამრაზის („რუბილნიკის“) ერთი გადაწევით, ანუ ინტერნეტის გათიშვით, მოაჭრიან თავს.** მეორე საკითხი კოგნიტურია. მარტივი ენით ვიტყვი: **ნებისმიერი „ფერადი რევოლუცია“ - ეს არის კოგნიტური ტექნოლოგიების გამოყენებით ცნობიერების მასობრივი მართვა. რა არის ამისათვის საჭირო? ამისათვის, თავდაპირველად, საჭიროა, ბრიყვად გაქციოთ; გაგიმარტივოთ თქვენი განათლების სისტემა ისე, რომ თქვენ მხოლოდ ტესტებზე პასუხობდეთ, გაგასულელოთ მაქსიმალურად, შემდეგ დაგირიგოთ აიფონები, კოსმოსში გავუშვათ თანამგზავრები და მორჩა.**

დღეს ცივილიზაციის ისტორიაში პირველად გაჩნდა **მომსახურე ადამიანის** გამოყვანის ტექნოლოგიური შესაძლებლობა. ამის საშუალებას იძლევა **გენომური რედაქტირების ტექნოლოგია.** წარმოიდგინეთ ასეთი რამ: ვიღებთ ხელოვნურ საშვილოსნოს, როგორც წიწილების გამოსაყვან ინკუბატორს, შემდეგ ხელოვნური განაყოფიერების სინჯარიდან მასში ჩავნერგავთ იმას, რაც მოგვესურვება, გენომური რედაქტირების ტექნოლოგიის გამოყენებით შევუკვეცავთ ფუნქციებს და მივიღებთ ადამიანს, რომელსაც მხოლოდ მოსამსახურის ფიზიკურ-ფსიქიკური შესაძლებლობები ექნება. დღეს ეს შესაძლებელია და ეს აბსოლუტური ფაქტია! ეს ტექნოლოგიურად შესაძლებელია. **ძმებმა დალესებმა, ერთმა ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს დირექტორმა, მეორემ - სახელმწიფო მდივანმა, როკფელერის ფინანსური მხარდაჭერით დაიწყეს ის, რაც დღეს ჩვენს წინააღმდეგ მოქმედებს. მათ შექმნეს „WORLD HEALTH ORGANIZACION“-ი ჯანმრთელობის დაცვის საერთაშორისო ორგანიზაცია შექმნეს არა იმისათვის, რომ ადამიანებისათვის ემკურნალათ, არამედ იმისათვის, რომ გაეკონტროლებინათ მსოფლიოს მოსახლეობის ჯანმრთელობის მდგომარეობა და ვაქცინაციისა და ნებისმიერი სხვა გზითა დამიანებზე გავლენა მოეხდინათ.** ამ ორგანიზაციის პირველ პრეზიდენტად 1948 წელს როკფელერის თანამებრძოლი და უახლოესი მეგობარი **ბროკ ჩისჰოლმი დანიშნეს.**

აი მისი ციტატა: **„მსოფლიო მთავრობის ჩამოყალიბებამდე რომ მივიდეთ, საჭიროა, ადამიანების ცნობიერებიდან განვდევნოთ მათი ინდივიდუალობა, ოჯახური ტრადიციებისადმი ერთგულება, ეროვნული პატრიოტიზმი და რელიგიური დოგმები... განადგურება ცნებებისა - „ჭეშმარიტება“ და „სიცრუე“, რომლებიც ბავშვის აღზრდის საფუძველია, უფროსების გამოცდილებისადმი რწმენის შეცვლა რაციონალური აზროვნებით - აი, შორეული მიზნები, რომლებიც საჭიროა ადამიანის ქცევების შესაცვლელად“.**

ეს არის 1948 წლის მემორანდუმი. შემდეგ იყო ამერიკის შეერთებული შტატების ეროვნული უსაფრთხოების 1974 წლის მემორანდუმი:

**„პოლიტიკა ხალხის განსახლების სფეროში ძალიან მნიშვნელოვანი ხდება აშშ-ის ეკონომიკური ინტერესებისათვის. უნდა შეიქმნას სოციალური და ფსიქოლოგიური წინამძღვრები შობადობის თითქმის სტიქიურად შესამცირებლად... ჩვენ უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ ჩვენი მოღვაწეობა განვითარებადმა ქვეყნებმა არ აღიქვან, როგორც ამ ქვეყნების წინააღმდეგ მიმართული განვითარებული ქვეყნების პოლიტიკა“.**



ამ მემორანდუმის შემდეგ დაიწყო ჟურნალ „ფლეიბოი“-ს გამოცემა, რომელმაც ხელი მიჰყო მორალის განადგურებას. აი, ეს მომავალი იწყება დღეს.

ამ ყველაფრის პარალელურად მიმდინარეობს შობადობის შემცირება მასობრივ ცნობიერებაში ისეთი წარმოდგენების ჩანერგვით, რომ უარყონ გამრავლება ბუნებრივი გზით. უკვე თითქმის ყველაფერი შეიცვალა და ეს, ასე ვთქვათ, დაგვიანებული მზერაა უკან, ჩვენ კი წინ უნდა ვიყურებოდეთ და ვქმნიდეთ დღის წესრიგს, თუ გვსურს, ვიყოთ დიდი ქვეყანა, როგორიც ყოველთვის ვიყავით“.

ძვირფასო მკითხველო, ბ-ნი კოვალჩუკის ამ გამოსვლის შინაარსის გაცნობიერების შემდეგ, ძნელი ნამდვილად არ არის, გააანალიზო და სიღრმისეულად აღიქვა ყველა ის მოვლენა, რაც ჩვენდა სამწუხაროდ, ამ ბოლო 30 წლის განმავლობაში ჩვენს ქვეყანაში ხდება. ძნელია, არ დაეთანხმო კოვალჩუკს და მისი მოსაზრება არ გაიზიარო შობადობის შემცირების საკითხში მაშინ, როცა ქვეყანაში გვყავს ბაია პატარაია და მისი თანამოაზრე ფემინისტი ქალბატონები თავიანთი „უკვდავი“ ლოზუნგებით: „ჩემი ფუჩუ ჩემია“ და „ორგაზმი კაცების გარეშე“. რაც შეეხება განათლების სისტემის გამარტივებას, ფაქტი სახეზეა. საქართველოს განათლების სისტემაში სოროსის ფონდის შემოსვლამ და შემდეგ ბოლონიის პროცესთან მიერთებამ, დილეტანტი და მოღალატე კახა ლომაიას თაოსნობით, მოისპო და დაანგრა ჩვენი საგანმანათლებლო სისტემა, რადგან ძირფესვიანად შეიცვალა ჩვენთან დანერგილი და საკმაოდ შედეგიანად მომქმედი მსოფლიოში ცნობილი გერმანია-ავსტრიის მოდელზე შექმნილი საბჭოთა განათლების სისტემა. ის შეცვალა გამარტივებულმა განათლებამ და მიღებული ცოდნის ტესტური შეფასებებით გაზომვამ, რამაც საგრძნობლად დააქვეითა სწავლის ხარისხი და პროფესიონალ სპეციალისტთა მომზადების დონე. ამის დასტურია მასწავლებელთა სასერტიფიკაციო გამოცდები, სადაც მასწავლებელთა 80-87% გამოცდას ვერ აბარებს და იჭრება. სახელმწიფო საგამოცდო კომისიის მიერ მინიჭებული კვალიფიკაციისა და გაცემული დიპლომის პატრონ პედაგოგს, რატომ უნდა სჭირდებოდეს სერტიფიკატი. თავისი ხარისხით დიპლომი ათი თავით მაღლა დგას, ვიდრე სერტიფიკატი. რატომღაც იმ უმაღლეს სასწავლებელს, რომელიც პედაგოგთა მომზადების ძირითად კერას წარმოადგენს და ასეთი დაბალი ხარისხის პედაგოგებს ამზადებს, არავინ საყვედურობს და კრიტიკის ცეცხლში არ ატარებს. რადგან ეს ნაციონალების ბუდედ ქცეული ცნობილი უნივერსიტეტი „ილიაუნია“, სადაც ლექციებს თუთბერიძეები, ბერძენიშვილები, რატიანები და ძმანი მათი კითხულობენ, სადაც პროფესორ-მასწავლებელთა ხელფასები ბევრად აღემატება სხვა სახელმწიფო უნივერსიეტებში მოღვაწე პროფესორების ხელფასს. საიდან ღებულობენ, ან როგორ ახერხებს ეს უნივერსიტეტი დამატებითი ფინანსების მოპოვებას და ასე მსუყე ხელფასების გაცემას, ჩემთვის გაუგებარია. ვეჭვობ, რომ ჩვენი „კეთილისმსურველების“ მიერ ამ უნივერსიტეტში ბონუსის სახით მიცემული დამატებითი დაფინანსების მიზანი ასეთი დაბალი ხარისხის სპეციალისტების მოამზადება უნდა იყოს. ამით საქართველოში რომ განათლების დონე მკვეთრად დაეცეს და მაცხოვრებელთა დიდი ნაწილი **„მომსახურების ფიზიკურ-ფსიქიკური შესაძლებლობის“** ადამიანებად გადააქციონ. სკოლებში დაამატეს არაფრისმქნელი მე-12 კლასი, სადაც სწავლა, ფაქტობრივად, არ მიმდინარეობს და ტყუილად იკარგება ერთი წელი. მიწასთან გაასწორეს მასწავლებლის ავტორიტეტი. ფაქტობრივად, მათ წაართვეს მოსწავლეებთან აღმზრდელობითი მუშაობის ჩატარებს უფლება. წინ წამოწიეს **„მოსწავლეთა უფლებები“** და **„მოსწავლე ყოველთვის მართალია“** ძახილი, რასაც მოჰყვა

ლომაიასმიერ სკოლებიდან ავტორიტეტული და დამსახურებული პროფესიონალი მასწავლებლებისა და დირექტორების, ხოლო უმაღლესი სასწავლებლებიდან ცნობილი მეცნიერი-პროფესორების გაყრა, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ჩანაცვლება კი, „კმარას“ ახლადგამომცხვარი უწიგნური და დილეტანტი აქტივისტი გოგო-ბიჭებითა მოხდა. შაშკინი უფრო შორს წავიდა და სკოლებში მანდატურებად სასჯელაღსრულების სამსახურიდან ციხის ზედამხედველები მოიყვანა. ვინც თავი გამოიჩინა და მეტი „ჩამშვები“ ინფორმაცია მიაწოდა მინისტრს, სკოლაში არსებულ მდგომარეობაზე, თითქმის ყველა მათგანი სკოლის დირექტორებად დანიშნა. ასე დააბინძურეს, გააბითურეს და გააუბრალოეს სკოლების ინსტიტუტი, რასაც სკოლებში სასწავლო და საშემსრულებლო დისციპლინის მოშლა, მასწავლებელთა და სკოლის დირექტორების ავტორიტეტის დაცემა და მიწასთან გასწორება მოჰყვა. ამიტომ, პირველ რიგში, სკოლისა და მასწავლებლის ავტორიტეტის ამაღლება და მასწავლებლების უფლების დაცვაზე ზრუნვაა საჭირო. მთელი ყურადღება სკოლებში სწავლისა და საშემსრულებლო დისციპლინის განმტკიცებისა და სწავლების ხარისხის ამაღლებაზე უნდა იქნას გადატანილი.

საბჭოთა განათლების სისტემის უპირატესობა 1961 წელს ამერიკის პრეზიდენტმა ჯონ ფიცჯერალდ კენედიმაც კი აღიარა.

ახლა იმ **„ურწმუნო თომების“** გასაგონად მინდა ვთქვა, რომლებსაც მართლა სჯერათ, რომ ამერიკა და კოლექტიური დასავლეთი ჩვენზე ზრუნვით აღარ არიან და, დღე და ღამე იმის ფიქრი არ ასვენებთ, რომ ქართველებს არაფერი მოაკლდეთ და უზრუნველად იცხოვრონ. მსოფლიოში უფასო არაფერია, ყველაფერს თავისი ფასი აქვს.

ისინი არასოდეს დააფინანსებენ ისეთ პროექტებს, რომლის ფასი სარგებელზე მეტი იქნება. მინდა, კიდევ ერთხელ განვაცხადო, რომ იმას, რასაც დასავლეთი ვითომ გვჩუქნის და გვეხმარება, თავისი ფასი, მიზნები და დროში გათვლილი სარგებელი აქვს.

ძვირფასო ოპოზიციავ, სხვისი ფულით დაფინანსებულო არასამთავრობო ორგანიზაციებო და დასავლეთისაკენ კისრისტეხით მორბენალო „მოევროპელო“ ქალბატონებო და ბატონებო, ნუთუ ერთი წუთით მაინც არ დაფიქრებულხართ, რატომ აფინანსებენ ასეთ პროექტებს უცხო ქვეყნის სხვადასხვა ორგანიზაციები? თქვენ რა, სერიოზულად გჯერათ, რომ ისინი ამას ჩვენზე ზრუნვით აკეთებენ და მხოლოდ იმაზე ფიქრობენ, რომ ქართველების კეთილდღეობას არაფერი მოაკლდეს და აყვავებულ ქვეყანაში იცხოვრონ?

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ „დაყავი და იბატონეს“ პრინციპით, არხეინად აგრძელებენ ამ დაშლილი ქვეყნების ძარცვას და, მათი გაღატაკების ხარჯზე კიდევ უფრო მდიდრდებიან. ვინც კი საბჭოთა კავშირზე და რუსეთზე რაიმე კარგს, უფრო სწორად სიმართლეს იტყვის, მაშინვე რუსეთის აგენტად და პუტინის მონებდ მონათლავენ, ამერიკა-ევროპის მონობა კი ღირსეულ საქმედ მიაჩნიათ. მონა, მონაა და იგი ყოველთვის მონური მსოფლმხედველობით, ჩაცუცქული, ლუკმის გადმოგდების მოლოდინში პატრონის ხელშემყურე ცხოვრობს. აი, ესაა ყველაზე დიდი უბედურება, როდესაც შენი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ტრადიციებისა და ღირსების დაცვის ნაცვლად, ყალბ ევროპულ ფასეულობებს გამოკიდებული ქართველი ახალგაზრდობის ნაწილი სულს ეშმაკს მიჰყიდის და მცირე სარგებლის სანაცვლოდ, ყველაფერზე მიდიან. სამწუხაროდ, ამ ტენდენციამ ახალგაზრდობაში ისე მყარად მოიკიდა ფეხი, რომ მისი დაძლევა მომავალში უფრო და უფრო გაძნელდება.

ამ წერილის მიზანიც ისაა, რომ იოლი ავტორიტეტისა და უშრომელად კარგი ცხოვრებისაკენ მიდრეკილი ახალგაზრდების ზერელე აზროვნება საღი აზროვნებით შევცვალოთ და მათი ილუზიები იმის შესახებ, რომ ამერიკა-ევროპა ოქროს კოშკებს დაგვიდგამს და უზრუნველად ვიცხოვრებთ, დავამსხვრიოთ. ჩვენმა ახალგაზრდა თაობამ ღირსეულად უნდა იცხოვროს, მაგრამ არა სხვისი ხელშემყურე და მათი გადმოგდებული გროშების, არამედ თავიანთი სწავლით, ნიჭისა და ალალი შრომის ფასად უნდა მიაღწიონ დასახულ მიზანს, რისი უნარი და შესაძლებლობაც მათ ნამდვილად გააჩნიათ.

**ომარ გოცაძე.**
**ივლისი-აგვისტო 2022წ.**
555 33 55 36



# კულტურათა დიალოგი ანაკლიაში

2017 წლიდან სსიპ ჩერქეზული კულტურის ცენტრისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის გამგეობის ხელშეწყობით, ქალაქ-კურორტ ანაკლიაში საფუძველი ჩაეყარა კავკასიელ ხალხთა ლიტერატურულ ფესტივალს, რომელიც აერთიანებს მწერლებსა და შემსრულებლებს კავკასიის ყველა კუთხიდან.




„საერთო გაზეთი“ დაინტერესდა ამ მეტად მნიშვნელოვანი ღონისძიებით, რომელიც ღირებული და ძალიან მნიშვნელოვანია მონაწილე სტუმრებისთვის. ამის ნათელი დასტურია ის, რომ ლარსის სასაზღვრო-გამშვებ პუნქტთან გრძელ რიგსა და ხანგრძლივ პროცედურას რომ არ დაებრკოლებინა და ანაკლიაში დროულად ჩასულიყო, სტუმარმა ქალბატონმა 22 კმ ფეხით იარა.

„საერთო გაზეთი“ სტუმრად ეწვია ჩერქეზული (ადიღეური) კულტურის ცენტრის დირექტორს, პროფესორს მერაბ ჩუხუას, დეტალურად გაარკვია ფესტივალის ფორმატი და, როგორც პოეტის გაზეთი, რომლის სულიც აგერ სულ ახლა შეუერთდა ზეციურ პოეტთა დასს, მათი გარჯით შექმნილი გამოცემებით დაინტერესდა.

— 2019 წელს „კავკასიური პოეზიის კრებულის“ გამოცემა ფესტივალის ბუნებრივ გაგრძელებად იქცა. კრებულმა ერთ წიგნში გააერთიანა ქართველ, ჩერქეზ, აფხაზ, ჩეჩენ, ინგუშ, ხუნძ, დარგუელ და ოს პოეტთა საავტორო ლექსები/პოემები. ასევე მათი, თარგმანები კავკასიის სხვადასხვა ხალხთა ენებზე. კრებულის შექმნის იდეა მჭიდრო თანამშრომლობის პროცესში ჩაისახა. სახელმწიფოს მხრივ პროექტს ჩვენთან ერთად აფინანსებს ზუგდიდის მერია, რომელმაც ლომის წილის გაიღო ფინანსურად ამაში და საქართველოს ფოლკლორული ჯგუფები, ვთქვათ, წელს ზუგდიდის „ოდოია“, ახალგაზრდებისა და ნორჩი შემოქმედების ჯგუფი იყვნენ ჩვენი მასპინძლები.

ჩვენ, ფესტივალის ორგანიზატორები, ბუნებრივია, სიამოვნებით მივიღებთ ინოვაციურ წინადადებებს და გავითვალისწინებთ საქმიან შენიშვნებს ანაკლიის აწ უკვე ტრადიციად ქცეული ფორუმის შემდგომი სრულყოფისათვის.

მომდევნო, 2020 წელს, უნიკალურმა გამოცემამ „კავკასიური პოეზია“, წიგნად გააერთიანა ქართველ, ჩერქეზ, ჩეჩენ, აფხაზ, ინგუშ, ოს, ბალყარელ, ყარაჩაელ, აზერბაიჯანელ, ყალმუხ, ავარელ, დარგუელ, აღულელ, თაბასარანელ, ლაკ, ნოღაელ, რუთულელ, წახურელ, თათელ, ყუმიკ პოეტთა საავტორო ლექსები, პოემები, ლექსები პროზად. ასევე მათი თარგმანები კავკასიის ხალხთა ენებზე. კრებულში წარმოდგენილ ავტორთა შემოქმედება შთაგონებულია მრავალი თემით. ხასიათთა მრავალწახნაგოვნების მიუხედავად, კავკასიის ხალხები ოდითგანვე ძალიან ახლოს იყვნენ ერთმანეთთან გენეტიკურად, სულიერად, ზნეობრივად. ეს სიახლოვე უმძაფრესად იგრძნობა შემოქმედებაში — კრებულში წარმოდგენილ ლექსებსა და პოემებში.

კავკასიის ხალხებს მრავალი განსაცდელი დასტყდომიათ თავს: გენოციდი, მშობლიური ადგილებიდან გასახლება, იძულებითი ასიმილაცია, ადგილობრივი ენების დევნა, თვითმყოფადობისა და იდენტობის წაშლის მცდელობა და სხვა მრავალი ნეგატიური პროცესი.

ყოველივე ზემოთქმულს შეიძლება წინ აღვუდგეთ მხოლოდ ისტორიული გამოცდილებითა და მასზე დაფუძნებული პოლიტიკით მოძმე ერებს შორის. ლიტერატურა ზემოაღნიშნულის უმკვიდრესი ლიბოა...

ფესტივალის ოფიციალური სამუშაო ენებია: ქართული, ჩერქეზული, აფხაზური, ინგუშური, ჩეჩნური, ხუნძური, დარგუული, ოსური, ბალყარული და ინგლისური.

წელს 54 მონაწილე გვყავდა. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის, რომ ოსებიც არ ერიდებიან მონაწილეობას. ილია ჭავჭავაძის მუზეუმის დირექტორმა, ცნობილმა პუბლიცისტმა და ლიტერატურათმცოდნემ, ბატონმა ანდრო ბედუკაძემ, რომელიც წელს ჩვენი სპეციალური სტუმარი იყო, დიდი სურვილი გამოიქვა, რომ ფესტივალი გაგრძელდეს და ამ დონის ლიტერატორები შევიკრიბოთ უკვე საგურამოში, ილია ჭავჭავაძის მუზეუმში. ანაკლია და საგურამო საქართველოში კავკასიური შემოქმედების: პოეზიის, პროზის, მუსიკის, ხელოვნების, ცეკვის და ფოლკლორის ცენტრები გახდება. ყოველწლიურად, სექტემბრის ბოლო შაბათ-კვირას აქ მოვა სხვადასხვა შემადგენლობა, ასე დავნერგეთ და ამ დადგენილ დროს არ ვღალატობთ, რა თქმა უნდა. ფესტივალზევე წინასწარ ვაცხადებთ, რომ მომავალ წელს ისევ იმავე დროს შევიკრიბებით და ეს ყველა მონაწილემ იცის. წელს თურქეთიდან ჩამოსულმა სტუმრებმა, აფხაზებმა და ჩერქეზებმა დიდი სიხარულით განაცხადეს, რომ სპეციალურად ამ შეხვედრისთვის მოემზადებიან და მომავალ წელს აუცილებლად მიიღებენ მონაწილეობას.

ეს არის კულტურათა დიალოგის შესაძლებლობა, როდესაც დიდწილად ლიტერატურა არის ამაში ჩართული. სახელმწიფოებრივად, ჩვენს პოეტებს, კავკასიის მასშტაბით ვამბობ, არ აქვთ შესაძლებლობა, რომ ამ ფესტივალში მიიღონ მონაწილეობა, სპეციალური ფორმატია, ამიტომ, ჩვენ ვცდილობთ, რომ მასშტაბები გავზარდოთ. რა თქმა უნდა, სახალხო დიპლომატიაა, როდესაც აქ ჩამოვა აფხაზი პოეტი, ოსი პოეტი... საკმაოდ სერიოზული ჩანაფიქრი გვქონდა, მაგრამ უკრაინაში მიმდინარე საომარი მოქმედებების გამო რუსეთმა ჩაკეტა საზღვარი. არ ვიტყვი ვინაობას, ფესტივალზე მონაწილეობის მისაღებად გადმოდიოდა საზღვარზე აფხაზური მასშტაბებით უმაღლესი რანგის მომღერალი და შემოქმედი, მაგრამ არ გამოუშვეს, საშვი არ მისცეს. იქ ხომ იწერება, სად მიდის. რადგან ანაკლიის ლიტერატურულ ფესტივალზე მოდიოდა, არ მისცეს! მიუხედავად ამისა, ჩვენ ვაგრძელებთ ვირტუალურ კონტაქტს.

თქვენს მოსვლამდე აქ იყო აფხაზი ისტორიკოსი, რომელსაც სურვილი აქვს, რომ მჭიდროდ ვითანამშრომლოთ — სახელს არ გეტყვით, მაგრამ გვარად მარშანიაა. ვინც იცის ქართული ლიტერატურის ისტორია, კარგად ახსოვს, მარუშიძე ვინ არის — მარშანია არის მარუშანი. ეს ჩვენი ქართველური, აფხაზური საერთო გენეტიკაა, რომელსაც ვეძებთ და ვპოულობთ კიდეც. სხუ არის აფხაზეთის ერთ-ერთი ყველაზე მაღალი დასახლება, იქ დაბადებული ადამიანი რომ შენთან მოდის, მონაწილეობას იღებს ფესტივალში, თუნდაც ინკოგნიტოდ, მგონია, რომ დიდი მიღწევაა. აი, ამ გზით მივდივართ და როცა მეკითხებით, სამომავლო გეგმები რა გვაქვს, გპასუხობთ, რომ დიდი სურვილი გვაქვს, გავზარდოთ ამ ფესტივალის მასშტაბები.

ჩვენი მიზანია არა მხოლოდ სახალხო დიპლომატია, არამედ, ამ ენების სტატუსის ამაღლება. გვსურს, ვაჩვენოთ, რომ ეს არის მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის ნაწილი, რომელზეც დღემდე იქმნება ლიტერატურული პროდუქცია. ფოლკლორული ნიმუშები რომ ცოცხლობს და ახალიც იქმნება, ეს ხომ იმას ნიშნავს, რომ მათ დროს გაუძლეს. ამას ყველაფერს თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს საქართველოს ყოველდღიურობაში. კავკასიური პოეზია დღეს მხოლოდ ანაკლიაშია, მაგრამ მჯერა, რომ იქნება საგურამოშიც, იქ, სადაც დიდი ილიას სულია დავანებული და გარემოც შესაფერისი იქნება.

**მაკა ჯაყელი**

# ჰენრი კისინჯერი: გაუგებარია, თუ რა ხდება თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაში

„ევროპაში იციან, ვინ განახორციელა „ჩრდილოეთის ნაკადის“ გაზსადენებზე დივერსია, მაგრამ ხმამაღლა განცხადების ეშინიათ“, — აცხადებენ ექსპერტები ამერიკის შეერთებულ შტატებში. მათივე მტკიცებით, აშშ-ის თანხმობისა და ნებართვის გარეშე ვერავინ გაბედავდა გაზსადენების აფეთქებას. ამიტომაც დღემდე ბურუსით არის მოცული განხორციელებული ტერაქტების დეტალები. შვედეთმა, რომელიც შემთხვევას იძიებდა, მოპოვებული მასალების გასაჯაროებაზე უარი განაცხადა. ამით კიდევ უფრო გაამყარეს ეჭვები, რომ დივერსია კარგად დაგეგმილი ოპერაცია იყო. შვედებს არ სურთ, საჯაროდ დაასახელონ ტერაქტის შემკვეთები და შემსრულებლები.

საგანგაშო ინფორმაცია გაავრცელა გასულ კვირას აშშ-ის პრესამ. ანონიმ მაღალჩინოსნებზე დაყრდნობით აცხადებენ, რომ პენტაგონი დეკემბერში ევროპაში თერმობირთვული ბომბების განთავსებას აპირებს. რომელ ქვეყანაში გეგმავენ იარაღის დადგმას, არ ასახელებენ. საყოველთაოდ ცნობილია, რომ აშშ-ის ატომური ბომბები იტალიაში, გერმანიაში, თურქეთში და კიდევ რამდენიმე ქვეყანაშია განთავსებული. ახლა მათ გაცილებით ძლიერი მუხტის ქობინები დაემატება. ამას გარდა, გასულ კვირას აშშ-ში დემონსტრატიულად გამოსცადეს ახალი ზებგერითი ბალისტიკური რაკეტა, რაზეც რუსეთმა ანალოგიურად უპასუხა.




გამწვავებულ პოლიტიკურ სიტუაციას მსოფლიოს პოლიტიკოსები შეშფოთებული ადევნებენ თვალს. დემოკრატიული პარტიის 30-მა კონგრესმენმა მოუწოდა პრეზიდენტ ჯო ბაიდენს, დაუყოვნებლივ დაიწყოს მოლაპარაკება რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმირ პუტინთან. შეისმენს თუ არა ბაიდენი თანაპარტიელების მოწოდებას, ძნელია თქმა. ბაიდენმა ჟურნალისტის კითხვას: „პუტინის განცხადებით, იგი არ აპირებს ქიმიური ან ბირთვული იარაღის გამოყენებას. გჯერათ მისი?“ კითხვითვე უპასუხა: „თუ არ აპირებს, მაშინ რატომ ლაპარაკობს ამ თემაზე?“

მყიფე მშვიდობის შენარჩუნება სამყაროში რთულდება. აშშ-ის ერთ-ერთი უდიდესი ავიამზიდი „ჯორჯ ბუში“ ევროპის წყლებში, ადრიატიკის ზღვაში იმყოფებოდა, ახლა ბრიტანეთშია. ნატოს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი ესტუმრა გემს და იქიდან დაემუქრა რუსეთს. „ავიამზიდის პირადი შემადგენლობა მზად არის, ებრძოლოს რუსეთს“, — განაცხადა მან. სამხედროების თქმით, ისინი ჯარისკაცები არიან და რასაც უბრძანებენ, შეასრულებენ. ნატო, ტრადიციულად, ოქტომბრის ბოლოს ევროპაში წვრთნებს ატარებს. რთული პოლიტიკური სიტუაციის მიუხედავად, წვრთნები წელსაც ჩაატარეს. სტოლტენბერგის განცხადებით, წვრთნების გადადება რუსეთისთვის თავის დახრად შეფასდებოდა. თავის მხრივ, რუსეთმა სარაკეტო წვრთნები ჩაატარა. პენტაგონში თავშეკავებული განცხადება გააკეთეს: ჩვენ წინასწარ გაგვაფრთხილეს მოსალოდნელი სწავლების შესახებ, მოულოდნელი და საგანგაშო არაფერიაო.

რუმინეთში აშშ-ის საგანგებო დივიზიის გადასროლის შესახებ ინფორმაციის გავრცელების შემდეგ რუმინეთის თავდაცვის მინისტრი თანამდებობიდან გადადგა — არ მინდა, ქვეყანა სამხედრო პოლიგონად გადაიქცესო. ამის შემდეგ აშშ შეიყვანს თუ არა ჯარს რუმინეთში, უცნობია.

შუალედურ არჩევნებამდე აშშ-ში ხუთი დღეა დარჩენილი. თუმცა, იქაური კანონის მიხედვით, ხმის მიცემის პროცედურა ერთი კვირით ადრე იწყება. ჯო ბაიდენმა შვილიშვილთან ერთად უკვე გააკეთა არჩევანი. პოლიტოლოგების შეფასებით, დამოკრატები დიდი ალბათობით დათმობენ პოზიციებს და უმცირესობაში გადაინაცვლებენ. საინტერესოა, რომ წინა არჩევნებზე დემოკრატები რესპუბლიკელებს ემუქრებოდნენ, რომ ათწლეულების განმავლობაში არ დაუთმობდნენ უმრავლესობას კონგრესსა და სენატში. ახლა ვითარება რადიკალურად შეიცვალა. დემოკრატები იძულებულნი გახდნენ, სააგიტაციოდ ყველა საშუალება გამოიყენონ. კამპანიაში ყოფილი პრეზიდენტი ბარაკ ომაბაც ჩართეს, მაგრამ არსებული ვითარებით უკმაყოფილო ამომრჩევლები შეძახილებით აწყვეტინებდნენ სიტყვას. მოსახლეობა უნდობლად არის განწყობილი. ფიქრობენ, რომ ეს არჩევნებიც საპრეზიდენტო არჩევნების მსგავსად გაყალბდება.



გამოცემა „ბლუმბერგის“ ინფორმაციით, აშშ-ში ხანგრძლივი ეკონომიკურ-პოლიტიკური კრიზისი დაიწყო. უხუცესი და უძლიერესი პოლიტიკოსისთვის, ჰენრი კისინჯერისთვისაც გაუგებარია, თუ რა ხდება თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკაში, რა თამაშს ეწევიან აშშ-ში მოქმედი პოლიტიკოსები. ამერიკაში განსაკუთრებით ჯო ბაიდენის მოქმედებები აშფოთებთ. გასულ კვირას თეთრი სახლის ბაღში ხის დარგვის შემდეგ რეზიდენციისკენ მიმავალი გზა აებნა და დაცვის დახმარება დასჭირდა. პენსილვანიის შტატში ამომრჩეველთან შეხვედრაზე ბაიდენმა მოულოდნელად შეწყვიტა სიტყვა და საზოგადოებას თავისი წინდები აჩვენა. მერე სცენიდან პარტერში ჩახტომა დააპირა, რითიც ვიცე-პრეზიდენტი კამალა ჰარისი შეაშინა.

ვითარება გართულდა უკრაინაში, სადაც, ევროპელი ჟურნალისტების თქმით, წყვდიადმა დაისადგურა. ქვეყანაში უკვე განადგურებულია ენერგოსისტემის თითქმის 45%, თუ რუსეთი კვლავ განაგრძობს შეტევებს ელექტროსადგურებზე და თუ დანაკარგი 60%-ს მიაღწევს, უკრაინაში სრული კოლაფსი დაისადგურებს. შემცირდა მოკავშირე ქვეყნების მიერ უკრაინელებისთვის დახმარების რაოდენობა. გასულ კვირას ჯო ბაიდენმა უკრაინისთვის დახმარების სახით 270 მლნ დოლარი გამოყო, რაც საგრძნობლად ნაკლებია წინა დაფინანსებებთან შედარებით. ისრაელის პრეზიდენტი იცხაკ ჰერცოგი გასულ კვირას ვიზიტით აშშ-ში იმყოფებოდა. მან ბრიფინგზე ღიად განაცხადა, რომ ისრაელს ფიზიკურად არ შეუძლია, გადასცეს უკრაინას ჰაერსაწინააღმდეგო დანადგარები, რადგან მაშინ თვითონ დარჩებიან დაუცველები.

კვლავ აქტუალურია უკრაინაში რუსეთის მხრიდან ბირთვული იარაღის შესაძლო გამოყენება. რუსები უკრაინელებისკენ იშვერენ ხელს. ამასთან, გაასაჯაროეს დაზვერვის ინფორმაცია, რომ უკრაინელებმა დაამზადეს რაკეტა „ისკანდერის“ მულიაჟი, რომელსაც პროვოკაციისთვის გამოიყენებდნენ. მსოფლიოს ატომური სააგენტოს თანამშრომლები უახლოეს პერიოდში ჩავლენ უკრაინაში და ინსპექციას ჩაატარებენ. სამაგიეროდ, ავსტრალიის ხელისუფლების გადაწყვეტილებით, უკრაინელი მებრძოლების მოსამზადებლად ბრიტანეთში სამხედრო მოსამსახურეთა ასეულს გადაისვრიან. ასევე, მიაწვდიან სამხედრო ტექნიკას.




გასულ კვირას გერმანიაში უკრაინის აღდგენის კონფერენცია გაიმართა. უკრაინის პრეზიდენტი ვლადიმერ ზელენსკი ღონისძიებაში დისტანციურად ჩაერთო და მონაწილეებს 17 მილიარდი აშშ დოლარის დახმარება სთხოვა. თუმცა იქვე აღნიშნა, რომ თანხას ენერგოსისტემის აღდგენაში არ დახარჯავენ. საინტერესოა, რატომ არ სურს უკეაინის ხელისუფლებას ენერგეტიკის ინფრასტრუქტურის აღდგენა.

ევროპაში შეშფოთებულები არიან მზარდი ინფლაციით და გამოსავალს ეძებენ. ამ ფონზე რამდენად რეალურია უკრაინისთვის 17 მილიარდის გადაცემა, ძნელი წარმოსადგენია.

საფრანგეთში ხანმოკლე ვიზიტით ჩავიდა გერმანიის კანცლერი ოლაფ შოლცი. რაზე ისაუბრა პრეზიდენტ ემანუელ მაკრონთან, უცნობია. გამოცემა „ფიგაროს“ ინფორმაციით, პარიზი და ბერლინი სტრატეგიულად ვერ შეთანხმდნენ და ერთმანეთს განაწყენებულები დაშორდნენ. მაკრონს და შოლცს ერთობლივი ბრიფინგი არ გაუმართავთ. ტრადიციულად ენაწყლიან მაკრონს პრესასათან კომენტარიც არ გაუკეთებია. განხეთქილების მიზეზად ევროპელი ჟურნალისტები ენერგომატარებლებზე ფასზე შეუთანხმებლობას ასახელებენ.

გერმანიის პრეზიდენტმა ვალტერ შტაინმაიერმა მოსახლეობას მოუწოდა, მოკრძალებულ ცხოვრებას მიეჩვიონ. შოლცი მზად არის, განაგრძოს უკრაინისთვის დახმარების გაწევა.

ბრიტანეთის ახალმა პრემიერ-მინისტრმა რიში სუნაკმა, რომელიც თანამდებობაზე 192-მა დეპუტატმა დანიშნა, მისი წინამორბედის მსგავსად, პირველი სატელეფონო საუბარი ზელენსკისთან გამართა, რომელსაც დახმარება და რუსეთზე ზეწოლის გაგრძელება აღუთქვა. იგივე გაიმეორე ჯო ბაიდენთან საუბრისასაც. ერთ კვირაში ახალმა პრემიერმა უკვე დაიმსახურა თანაპარტიელებისა და მოსახლეობის უკმაყოფილება. ბრიტანელი ჟურნალისტები არ გამორიცხავენ, რომ ახალმა პრემიერმა წინამორბედის, ლიზ ტრასის ბედი გაიზიაროს და მალე დატოვოს თანამდებობა.

გასულ კვირას მოსკოვში „ვალდაის“ სადისკურიო კლუბში გამართული კონფერენციის მონაწილეებს სიტყვით რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა მიმართა: „...მიუხედავად დაძაბული ურთიერთობისა, დასავლეთის ქვეყნებს და აშშ-ს მტრებად არ მივიჩნევთ... ერთპოლუსიანი სამყარო დასრულდა. წინ გვაქვს მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ყველაზე მძიმე და სახიფათო ათწლეული... ვიდრე არსებობს ბირთვული იარაღი, იარსებებს მისი გამოყენების საფრთხეც... ბირთვული იარაღის გამოყენება ჩვენ არ გვჭირდება არც პოლიტიკური და არც სამხედრო თვალსაზრისით“. ვფიქრობთ, დამაფიქრებელი გამონათქვამებია, რაზეც მოყვანილი ციტატაც მეტყველებს.

დინჯად, ემოციების გარეშე უნდა დავფიქრდეთ ქართველები მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე და ისეთი დასკვნები გამოვიტანოთ და ისე ვიმოქმედოთ, ჩვენს ქვეყანას რომ წაადგება.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# ირღვევა თუ არა დღეს ადვოკატთა უფლებები?

## რა გამოწვევების წინაშეა საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია



ქართველ ადვოკატებს კარგად ახსოვთ „ნაციონალური მოძრაობის“ რეჟიმის სუსხი. ის დრო, როდესაც ადვოკატის პროფესია, ფაქტობრივად, უფუნქციოდ დარჩა და ელემენტარული სამართლებრივი პროტესტისთვისაც მრავალი წლით ციხეში სვამდნენ.

იმ მძიმე წარსულის ფონზე არ შეიძლება არ გავიხსენოთ ადვოკატთა ასოციაციის მაშინდელი თავმჯდომარის, ბატონ



ზაზა ხატიაშვილის გმირობაც, რომელიც ქართული ციხეებიდან კოლეგა-ადვოკატების გამოსახსნელად უსამართლობას ევროპაშიც კი აპროტესტებდა. შედეგად, სამართლიანობა მძიმედ, მაგრამ, უმეტეს შემთხვევაში, მაინც დგებოდა. ფაქტია, რომ ადვოკატთა ასოციაცია, როგორც მართლმსაჯულების ინსტიტუტი, რეპრესიებისა და სამართლის სრული იგნორის მიუხედავად, მაშინ მაინც გადარჩა.

როგორც ცნობილია, ამჟამად საქართველოს ადვოკატთა ასოციაციას უკვე მეორე ვადით არჩეული ბატონი დავით ასათიანი ხელმძღვანელობს. ამ თანამდებობაზე მის მოღვაწეობას თვალი რომ გადავავლოთ, იგი მკვეთრად განსხვავდება წინამორბედისგან აკადემიური ქმედებებით. საქართველოს ადვოკატთა ასოციაციაში დღეს მოქმედებს ადვოკატთა უფლებების დაცვის კომიტეტი, რომელიც კოლეგა-ადვოკატებს აერთიანებს და ხშირად ეფექტიანად იცავს მათ.

**რამ განაპირობა ადვოკატთა უფლებების დაცვის კომიტეტის შექმნა? ამასთან დაკავშირებით გთავაზობთ კომიტეტის ხელმძღვანელთა მცირე კომენტარებს.**

**ლაშა ცუცქირიძე**, ადვოკატების პროფესიული უფლებების დარღვევის ფაქტებზე ადვოკატთა ასოციაციაში ჩვენი კოლეგების მომართვიანობის გაზრდამ კომიტეტის შექმნის საჭიროების წინაშე დაგვაყენა.

კომიტეტი თავისი უფლებამოსილების ფარგლებში, ადვოკატის ზეპირი ან წერილობითი განცხადების საფუძველზე, შეისწავლის ადვოკატთა პროფესიული უფლებების დარღვევის კონკრეტულ ფაქტებს, ასოციაციის თავმჯდომარესა და აპარატთან კოორდინაციით ახდენს შესაბამის რეგირებას, შეისწავლის და შეიმუშავებს მის მიერ მიღებულ დასკვნებს და წარუდგენს ყველა შესაბამის ორგანიზაციას, ან სახელმწიფო ორგანოს, მათ შორის, სასამართლოს.



უმეტეს შემთხვევაში, პროკურატურა ადვოკატებს ედავება 180-ე (თაღლითობა), 182-ე (მითვისება ან გაფლანგვა) და 239-ე (ხულიგნობა) მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენას. რაც შეეხება ბრალის დასაბუთების ნაწილს, უმეტეს შემთხვევაში, პროკურატურის მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ არის საკმარისად დასაბუთებული, რაზეც, პირველ რიგში, სასამართლოს მიერ ბოლო დროს გამოტანილი გამამართლებელი განაჩენებიც მეტყველებს.

შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ დანაშაულის ჩამდენ ადვოკატს რაიმე დამატებითი იმუნიტეტი უნდა იცავდეს. დამნაშავე დამნაშავეა, ვინც უნდა იყოს იგი! ადვოკატთა კომიტეტის პრაქტიკიდან გამომდინარე, ხშირია შემთხვევები, როდესაც პროკურატურის ბრალდება ადვოკატის მოქმედებას ვერ მიჯნავს კლიენტისაგან და მას აიგივებს დამნაშავესთან რაც უარყოფითად აისახება, მათ შორის ბრალდების, როგორც სახელმწიფო ინსტიტუტის, პრესტიჟზეც.

**ადვოკატთა დაცვის კომიტეტის ხელმძღვანელმა ბ-ნმა ონისე მარგიანმა** აღნიშნა, რომ „საქართველოს ადვოკატთა ასოციაციასა და პროკურატურას შორის ადვოკატთა უფლებების დაცვის მიზნით გაფორმდა მემორანდუმი ურთიერთთანამშრომლობის შესახებ. თუმცა, როგორც პრაქტიკა გვიჩვენებს, ეს არ არის გარანტი ადვოკატის პროფესიული უფლებების დაცვისთვის. საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია მრავალი წელია მუშაობს საკანონმდებლო დონეზე ადვოკატის პროფესიოთა თვითორგანიზების უფლება გარანტირებულია კანონით. სისხლის სამართლის კოდექსის 364-ე და 365-ე მუხლებში 2016 წელს ადვოკატთა ასოციაციის ძალისხმევით შევიდა ცვლილება, რომლის მიხედვითაც, დაცვის განხორციელებაში ხელის შეშლის მიზნით ადვოკატის საქმიანობაში ამა თუ იმ ფორმით უკანონო ჩარევა, ასევე, ადვოკატის მიმართ სიცოცხლის მოსპობის, ჯანმრთელობის დაზიანების, ანდა ქონების განადგურების ან დაზიანების მუქარა სისხლისსამართლებრივად დასჯადი გახდა.“

გადაჭარბების გარეშე შეიძლება ითქვას, რომ დღეს ადვოკატთა ანგარიშგასაწევი ძალა გახდა. ასოციაციას სულ მალე თბილისის საქალაქო სასამართლოს გვერდით ახალი საკუთარი მრავალსართულიანი შენობა ექნება, რომელიც სრულად უზრუნველყოფს თანამედროვე სტანდარტებს. ქართული ადვოკატურის ისტორიაში პირველად, 2018 წელს, ევროპელ ადვოკატთა ხმათა უმრავლესობით, ბ-ნი დავით ასათიანი ევროპის ადვოკატთა ასოციაციის თანათავმჯდომარე გახდა, რამაც საერთაშორისო დონეზე ევროპელების ჩვენდამი ინტერესი მნიშვნელოვნად გაზარდა.

ასოციაციაში შვიდი ათასამდე წევრია. აქ მოქმედებს ადვოკატებისაგან შემდგარი სხვადასხვა ქვეკომიტეტი და მოქალაქეების ინტერესებზე მორგებული იურიდიული დახმარების ცხელი ხაზი. ასევე, ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ასოციაციაში ეფექტიანად იხილება მოქალაქეების საჩივრები ადვოკატთა პროფესიულ გადაცდომებზე და ამ მხრივ ადვოკატთა ეთიკური სტანდარტი საკანონმდებლო სახით იზრდება და ვითარდება. ხშირად ადვოკატები ხუმრობენ კიდეც, რომ ადვოკატთა ასოციაციაში მოქმედი ეთიკის კომისია, რიგ შემთხვევაში, უფრო მოქალაქის უფლებებს იცავს, ვიდრე თავად ადვოკატისასო. ეს იუმორნარევი ხუმრობაც დასტურია იმისა, რომ ადვოკატთა ასოციაციაში, როცა მოქალაქის პრეტენზიები სამართლიანია, შერჩევითი სამართალი არ მოქმედებს!

მთელ მსოფლიოში მართლმსაჯულების ხერხემალი ადვოკატთა ინსტიტუტია და მისი უფლების განმტკიცება თითოეული მოქალაქის კეთილდღეობაზე გადის, სამწუხაროდ, ადვოკატთა ასოციაცია საქართველოში კვლავ სერიოზული გამოწვევების წინაშე დგას ადვოკატთა უფლებების დაცვის კუთხით, რაც ნათლად ჩანს იმ საქმეებიდანაც, რომლებიც დღეს სასამართლოში განიხილება.

ამჯერად მხოლოდ იმ ზოგადი პრობლემებით შემოვფარგლეთ, რომლებიც ქართული ადვოკატურის წინაშე დგას და სახელმწიფოს ორგანოების მხრიდან მეტ ყურადღებას იმსახურებს.

იმედია, სახელმწიფოსა და ასოციაციას შორის ადვოკატთა უფლებების დაცვისა და მათი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით, მჭიდრო თანამშრომლობა კვლავაც გაგრძელდება.

**ლევან ჭილლაძე**

---

**„საერთო გაზეთი“ მწუხარებით იუწყება, რომ ჩვენს თანამშრომელს, ჟურნალისტ გია ბურდულს გარდაეცვალა მამა**

**ვალიკო ბურდული**

**და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.**

**პანაშვიდი ოთხშაბათს, 2 ნოემბერს, 17.00 საათზე, დაკრძალვა ხუთშაბათს, 3 ნოემბერს, 14.00 საათზე.**

**მისამართი, თბილისი, მოსკოვის გამზირი, მე-4 კვარტალი, მე-3 კორპუსი, მე-5 სადარბაზო.**

# ქართული ჭადრაკის აღზევების 60 წლისთავი

1962 წლის 17 ოქტომბერს, დილის 10 საათსა და 58 წუთზე, მოსკოვის ტექნიკის სახლში მსოფლიოს სამგზის ჩემპიონმა, მოსკოველმა ელიზავეტა ბიკოვამ მე-11 გადადებულ პარტიაში თავი დამარცხებულად ცნო და ანგარიში გახდა 9:2 პრეტენდენტის, ნონა გაფრინდაშვილის სასარგებლოდ. პრესამ და რადიოტელევიზიამ ქვეყნიერებას ახალი მსოფლიო ჩემპიონის დაბადება აუწყეს. საჭადრაკო ტახტზე ავიდა ახალი „მეფე“ - 21 წლის ნონა გაფრინდაშვილი. მან მსოფლიოს სამგზის ჩემპიონს 7 პარტია მოუგო და 4 ყაიმით დაამთავრა.



მსოფლიოს საჭადრაკო საზოგადოებრიობა სიხარულით შეხვდა ნიჭიერი მოჭადრაკის ისტორიულ გამარჯვებას.

ამ მატჩის მსვლელობისას თბილისში სხვა სალაპარაკო თემა არ არსებობდა, ორი ნაცნობი ერთმანეთს რომ ხვდებოდა, პირველი შეკითხვა ნონას წარმატებებს ეხებოდა. მთელი ქალაქი განიცდიდა და მოუთმენლად ელოდნენ მატჩის დასრულებას, თუმცა ასაღელვებელი არაფერი იყო, ნონა დიდი უპირატესობით იგებდა. ძნელი დასაჯერებელი იყო,რომ ეს პატარა გოგონა ასე ადვილად ახერხებდა მრისხანე და ტიტულიან მეტოქესთან გამკლავებას.

18 ოქტომბერს ზვავივით წამოვიდა მილოცვები. პირველი თბილისში დაბადებული მსოფლიო ჩემპიონის, ტიგრან პეტროსიანს მისალოცი იყო. ნონას ულოცავნდნენ მოსკოვიდან, კიევიდან, რიგიდან, ტალინიდან, თბილისიდან, ზუგდიდიდან, ჭიათურიდან და რუსთავიდან. მას გულითადი მოსალოცი გაუგზავნეს თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელთა გუნდის სახელით ალიოშა კოტრიკაძემ და შოთა იამანიძემ: „გვიხარია, გილოცავთ, გკოცნით მთელი გუნდი“. ნონას გამარჯვება მიულოცეს ქართული ინტელიგენციის თვალსაჩინო წარმომადგენლებმა: სახალხო არტისტი სანდრო ჟორჟოლიანი, პოეტები ხუტა ბერულავა, იოსებ ნონეშვილი და მწერალი ნოდარ დუმბაძე.

მსოფლიო ჩემპიონის ტიტულმა 21 წლის ნონა გაფრინდაშვილს უდიდესი პასუხისმგებლობა დააკისრა. მასზე იყო ზედგამოჭრილი ცნობილი პიანისტის ჰენრიხ ნეიჰაუზის სიტყვები „ვისაც წილად ხვდა, მხრებით ატაროს მაღალი ხელოვნების „მსუბუქი ტვირთი“, არასოდეს მიეცემა თვითკმაყოფილებას“. „პირადად ჩემთვის არ არის მოულოდნელი ნონა გაფრინდაშვილის გამარჯვება, მისი ჩემპიონობა სრულიად კანონზომიერია“, - ეს სიტყვები სახელგანთქმული მოჭადრაკეს, მიხაილ ბოტვინიკს ეკუთვნოდა.

უძველესმა ტრადიციამ განაპირობა, რომ ჭადრაკი საქართველოში ჭეშმარიტად სახალხო თამაშად იქცა. ნონას გამარჯვებამ თბილისი ჭადრაკის დედოფლის სატახტო ქალაქად აქცია. ათწლეულების განმავლობაში საქართველო მსოფლიო საჭადრაკო არენაზე წარმოუდგენელ შედეგებს აღწევდა. ნონამ საქართველო საჭადრაკო მექად აქცია. მისი წარმატებები სახელოვანი აღმზრდელების ვახტანგ ქარსელაძისა და მიხეილ შიშოვის დამსახურებაა. ნონა გაფრინდაშვილმა ყველაზე მთავარი, ხალხის უსაზღვრო სიყვარული კარგა ხანია, დაიმსახურა. დიდი ძალისხმევა დასჭირდა ნონას, რომ საჭადრაკო ტახტზე 17 წელიწადი ყოფილიყო ქალთა ჭადრაკის ღირსეული წარმომადგენელი და წინამძღოლი. ამ დროის განმავლობაში ვინ იცის, რამდენი უძილო ღამე, რამდენი ვარიანტის გაანგარიშება (დაფასთან თუ მის გარეშე), რამდენი ამ ქვეყნიური სიამტკბილობის მოკლება მოუწია სახელოვან მოჭადრაკეს.

ჭადრაკის მრავალსაუკუნოვანი ისტორიისთვის 25 წელი, როგორც იტყვიან, ზღვაში წვეთია, მაგრამ თუ ვიტყვით, რომ მსოფლიო ჩემპიონის ტიტული 1927 წლიდან შემოიღეს, მაშინ ქართველი მოჭადრაკე ქალების მეოთხედსაუკუნოვანი ჩემპიონობა შთამბეჭდავად ჟღერს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ისინი მოღვაწეობდნენ ჭადრაკის დიდი აყვავების პერიოდში, მაშინ მათ დედოფლობას ჭეშმარიტად საშვილიშვილო ღირებულებები აქვს.

როცა ნონა გაფრინდაშვილის ფენომენზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა დავაფასოთ მისი, როგორც ეროვნული მოღვაწის, ოლიმპიური კომიტეტის ერთ-ერთი დამფუძნებლისა და მისი პირველი პრეზიდენტის ღირსეულად გატარებული წლები. თამამად შეიძლება ითქვას, რომ ნონას მრავალწლიანი წარმატებული საქმიანობა სასკოლო სახელმძღვანელოებით უნდა შეისწავლონ მომავალმა თაობებმა, მით უმეტეს, რომ წლევანდელი სასწავლო წლიდან განათლების სამინისტრომ სკოლებში საჭადრაკო გაკვეთილები დააკანონა.

საყურადღებო განცხადება გააკეთა ფიდეს მაშინდელმა გენერალურმა მდივანმა, ჰოლანდიელმა ინესა ბაკერმა. „საქართველო რომ არა, ქალთა ჭადრაკის სამშობლო, ალბათ, არსად იქნებოდა. თქვენი ქალების წვლილი ბრძნული თამაშის განვითარებაში განუზომელია. მინდა, მადლობა უთხრა საქართველოს, რომ თავისი საუცხოო ასულები აჩუქა ჭადრაკს“, - ეს ითქვა მაშინ, როცა ჯერ არავინ იცოდა, რომ სწორუპოვარ ნონა გაფრინდაშვილს საჩემპიონო ტახტზე თანამემამულე, 17 წლის მაია ჩიბურდანიძე შეცვლიდა .





ნონა გაფრინდაშვილი არის მსოფლიოს ქალთა ჭადრაკის ღისრეული წარმომადგენელი. მისი გამარჯვებებს სათვალავი არ აქვს. აღვნიშნავ ყველაზე ღირსეულ წარმატებებს და აღიარებებს: პირველი მოჭადრაკე დიდოსტატი (1978 წ.); მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი (1962-78 წ.წ.);

საჭადრაკო ოლიმპიადების 11 გუნდური 9 პირადი ოქროს მედლის მფლობელი; ფიდეს ქალთა კომისიის თავმჯდომარე (1980-86 წ.წ.); საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პირველი პრეზიდენტი (1989-96 წლები); 1996 წლიდან სეოკის საპატიო პრეზიდენტი; საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი (2000-2002 წ.წ.); 1997 წელს ფიდეს 68-ე კონგრესის გადაწყვეტილებით დაწესდა ნონა გაფრინდაშვილის სახელობის თასი; არის ექვსგზის მსოფლიო და ექვსგზის ევროპის ჩემპიონი (65 წელს ზემოთ) სენიორებს შორის. 2001 წელს ნონა გაფრინდაშვილის სახელი მიენიჭა თბილისის ჭადრაკის სასახლეს. აქვს სახელმწიფო ჯილდოები, არის ვახტანგ გორგასლის პირველი ხარისხისა და ღირსების ორდენების კავალერი.

ქალბატონი ნონა მუდამ თავისი ხალხის გვერდით იდგა, რომელთა გასახარებლად ზღვა სითბო და სიყვარული არ დაიშურა. ტიტულოვან და აღიარებულ, ყველასგან პატივცემულ ერის სიამაყეს თავისუფლად შეეძლო ესარგებლა ყველანაირი შეღავათებით, თუმცა იგი უპრეტენზიო, უბრალო ადამიანად დარჩა, ვერანაირმა საჩემპიონო ტიტულებმა ვერ შეცვალა მისი წესიერი და კეთილშობილური ხასიათი. იგი საქართველოს მარადიულ დედოფლად დარჩება.

ნონა გაფრინდაშილი თანამედროვე საქართველოს ღირსება და სინდისია. მისი სახელი ქართველი ერს მუდამ გულისფიცარზე ეწერება. ასე იქნება, ვიდრე საქართველო და ქართველი ხალხი იარსებებს. ნონა არის ქართული ტრადიციული ოჯახის სანიმუშო დიასახლისი, მოსიყვარულე დედა და განუმეორებელი ბებია.

ხალხის უდიდესი სიყვარულის და პატივისცემის 60 წელი გავიდა. მადლობა, ქალბატონო ნონა, რომ შორს გაიტანე ქართული საჭადრაკო სკოლის სახელი. ჯანმრთელობას და დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ, ჩვენო საამაყო და სასიქადულო მამულიშვილო. უფლის წყალობა და მფარველობა არ მოგკლებოდეთ თქვენს დიდ, საყვარელ ოჯახთან ერთად.

**ბეჟან ჩხეიძე**
საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე
555 41 97 33

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

„საერთო გაზეთი“
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა 599 03 43 06
ნომრის რედაქტორი: ბელა გველესიანი
სარედაქციო კოლეგია: თამარ ბერძენიშვილი (გამომცემელი) 555 33-44-14; თამარ შველიძე, გია ბურდული, ზურაბ ოშხერელი, ლევან ბოჭორიშვილი (კომპ. უზრუნველყოფა), ბელა გველესიანი, მთვარისა კევლიშვილი, ლევან ჭიღლაძე (სამართალი); თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი: 599 58-72-50).

მის: თბილისი, ტაშკენტის ქ.18;
ტელ.: 593 44-04-01 (რედაქცია); 555 33-44-14.
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertogazeti.ge
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით +995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISSN 2233-3983
ISBN 977-22333-9800-1

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99